[საქარ]თველოს
პარლამენტის
ეროვნ[ული]
ბიბლ[იოთეკა]

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№036 (12 413)

14 თებერვალი ხუთშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტის, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის

**არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ "ლელოს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს

**ბადრი პატარკაციშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# რონალდო მორჩა?

## საბედისწერო ოთხი წუთი

გუშინდელ ნომერში ვწერდით, **რონალდო** პენსიაში გასვლას აპირებს-თქო. პერმანენტული ტრავმები "ფენომენს" თითქოს აიძულებდა, ბუცები ლურსმანზე ჩამოეკიდა, თან "მილანიც" ეჭვქვეშ აყენებდა მისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას. შიდა გვერდში წაიკითხავთ მასალას, რომელშიც **კარლო ანჩელოტი** იმედოვნებს, რომ "კიჟა" კიდევ შეძლებს ქომაგების გახარებას, რაც, თავისთავად, ხელშეკრულების გაგრძელების წინაპირობა იქნება...

მაგრამ გუშინ, "მილანსა" და "ლივორნოს" შორის დეკემბრიდან გადმოტანილ მატჩში, რონალდომ მძიმე ტრავმა მიიღო და ვგონებთ, წერტილიც დაუსვა კარიერას. ის მეორე ტაიმის 58-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და ოთხ წუთში პენალტიც გამოიმუშავა. 11-მეტრიანი **პირლომ** შეასრულა და ანგარიში გათანაბრდა (1:1, მატჩი ასეც დასრულდა). რონალდოს კი თამაში აღარ გაუგრძელებია. ექიმთა პირველადი დასკვნა სავალალოა: დიდი შანსია, რომ "ფენომენის" საფეხბურთო თავგადასავალი დასრულებულია...



გუშინ, მილანში. რონალდოს განსაცდელი

## ქალაქეს ცოტა დააკლდა

4

## ირლანდია ტრაპატონის მოჰყავს

გუშინ მაესტრო ჩვენი მეტოქის მწვრთნელად დაამტკიცეს

2



## ტოპმიოლერის მკაცრი კონტრაქტი

2

თუ ნაკრები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ დააგროვებს ქულების განსაზღვრულ რაოდენობას, ფედერაციას უფლება ექნება, კონტრაქტი გაწყვიტოს...



## ემპოლი: ჩვენ გვჯერა ლევანის

მჭედლიძე ინტერის წინააღმდეგ

4



## მეორე კალათში

**კალათბურთი.** ვენეციაში FIBA-ევროპის მამებმა ევრო-2009-ის შესარჩევი ციკლის წინ გუნდები კალათებში გაანაწილეს. კენჭისყრა კი ამავე ქალაქში 16 თებერვალს გაიმართება და ის შეეხება როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ნაკრებებს ყველა დივიზიონში. დღეს მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო, B დივიზიონის განთესვას შემოგთავაზებთ. გუნდები განაწილდებიან სამ ხუთგუნდიან ჯგუფში. ტრადიციულად, ორი საუკეთესო ნაკრები შესარჩევი ციკლის ბოლოს A დივიზიონის საგზურს მოიპოვებს.

საქართველო, რომელმაც შარშან კვლავ ვერ მოიპოვა ზედა დივიზიონის საგზური, კიდევ ერთხელ შეეცდება ჭაობიდან თავის დაღწევას. ჩვენი გუნდი მეორე კალათში განთესეს. ასე რომ, აქედანვე ცნობილია: შვეიცარიისა და ჰოლანდიის ნაკრებებს არ შევხვდებით. ისინი ასევე მეორე კალათში არიან განთესილნი. პირველ კალათში არიან A დივიზიონიდან დაქვეითებული შვედეთი და დანია, ასევე რუმინეთის ნაკრები. მესამე კალათში მოხვდნენ: ბელარუსი, სლოვაკეთი და ისლანდია. მეოთხე კალათში გაანაწილეს: ავსტრია, ირლანდია და კვიპროსი. დაბოლოს, მეხუთე კალათი: ალბანეთი, ლუქსემბურგი და ჩერნოგორია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## მოიტანს კოკაია წყალს?

რას იზამს ზესტაფონი?

ინტერვიუ პროფლიგის გენმდივან პაატა ბურჯალიანთან

2

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ტოპმიოლერი და ახალკაცი ერთმანეთს გერმანიაში შეხვდებიან

# პრეზიდენტის პრევენცია

## ტოპმიოლერს ქულებს ადრევე დაუთვლიან

რატომ ჭიანურდება კონტრაქტის გახანგრძლივება კლაუს ტოპმიოლერთან? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ იძლევა, თუმცა საქმის არსში გარკვევა მაინც მოხერხდა.

ტოპი იმ თამაშს თამაშობს, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა უკვე ცნობილი და გამოცდილია. ფეხბურთის ფედერაციას და ხელისუფლებასაც აღარ სურთ კაპიტულანტური კონტრაქტის გაფორმება გერმანელთან.

"ლელო" ადრეც იუწყებოდა, ახალ კონტრაქტში ფედერაციას დამცავი მექანიზმები აუცილებლად ექნებოდა. ეს მექანიზმი მხოლოდ იმას არ გულისხმობს, რომ მოჭრილი ხელფასის გარდა ტოპის ბონუსებიც ექნება, რომელიც დამოკიდებული იქნება ჩვენი ეროვნული ნაკრების შედეგებზე დამდეგ შესარჩევში.

არის კიდევ ერთი დამცავი მექანიზმიც - თუ ნაკრები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ დააგროვებს ქულების განსაზღვრულ რაოდენობას, ფედერაციას უფლება ექნება კონტრაქტი გაუწყვიტოს ტოპის.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდად სასიხარულო ვერ იქნებოდა ჰერ კლაუსისთვის და საქმეც გაჯანჯლდა.

ახლა კი ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** გერმანიაშია და იქ არის ჩვენი უპირველესი გუნდის თავკაციც. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ახალკაცი და ტოპი კონტრაქტში ფედერაციის მიერ ჩადებულ დამცავ მექანიზმებზე შეთანხმდებიან და ხელშეკრულებაც ამის მერეღა გაფორმდება.

**დავით თავართქილაძე**

მეტოქე

# ირლანდიამ ტრაპატონი დანიშნა



ტრაპატონი თბილისში მეორედ ჩამოვა

როგორც მოსალოდნელი იყო, ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციასა და **ჯოვანი ტრაპატონის** შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და მხცოვანი იტალიელი სპეციალისტი ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაიბარებს. ეს კი მიმდინარე სეზონის ბოლოს მოხდება. მანამდე ტრაპატონი ავსტრიულ "ზალცბურგში" მუშაობას გააგრძელებს.

მისი ირლანდიური კონტრაქტი ორწლიანი იქნება, მიზანი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების გახანგრძლივებაზეც იქნება საუბარი. შეგახსენებთ, ირლანდიელები მომავალ საკვალიფიკაციო ციკლს თბილისში იწყებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# დღეს გადაწყდება

## პროფლიგას კოკაიასი ეიმედება



პაატა ბურჯალიანი

საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი "ზესტაფონი" აღარ აპირებს ეროვნულ ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობას - სკანდალური გადაწყვეტილების შესახებ გუშინწინ შევიტყვეთ - "ზესტაფონმა" ამის თაობაზე ოფიციალურად აცნობა პროფესიული ფეხბურთის ლიგას.

გუშინ კი პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს ვესაუბრეთ. ინტერვიუდან ჩანს, რომ არის შანსი, "ზესტაფონმა" გადაწყვეტილება შეცვალოს და ასპარეზობას დაუბრუნდეს.

მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს პროფლიგის გენმდივანი პასუხობს.

**- რაიმე ახალს ხომ ვერ გვეტყვით "ზესტაფონზე"?**

- ახლახან შევიტყვეთ, რომ გუნდი თბილისიდან აიბარგა და ზესტაფონში წავიდა, სადაც შეკრებას მოაწყობს.

**- თბილისიდან ზესტაფონში გადაადგილებით რა შეიცვლება?**

- თბილისში "ზესტაფონს" ბოლო ორი დღე არ უვარჯიშია, ზესტაფონში კი ვარჯიშს განაახლებს.

**- ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში უარის თქმის ოფიციალური ვერსია კლუბის უსახსრობაა - როგორ ფიქრობთ, ეს რეალური საფუძველია "ზესტაფონის" ამ ტურნირებიდან გასვლისთვის?**

- ოფიციალურ მიზეზად კლუბმა მართლაც უსახსრობა დაასახელა.

**- გასაგებია, მაგრამ პროფლიგა სეზონის წინ ყველა გუნდს სთხოვს საიმისო ფინანსურ გარანტიებს, რომ კლუბმა სეზონი უპრობლემოდ ჩაამთავროს. თუ "ზესტაფონმა" წარმოადგინა ფინანსური გარანტიები, ახლა რატომ ამბობს უარს უსახსრობის გამო ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაზე?**

- კითხვა მართლაც ლოგიკურია. "ზესტაფონის" მიერ წარმოდგენილი ფინანსური გარანტიები არსებობს. ჯერ ის უნდა ვთქვა, რომ "ზესტაფონმა" შარშან ევროტურნირზე იასპარეზა და უეფადან მიღებული თანხა აძლევს იმის საშუალებას, ერთი სეზონი უპრობლემოდ იარსებოს. ამას გარდა არსებობს კომპანია "ფეროს" საგარანტიო წერილიც, რომლის მიხედვით ეს ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას, დააფინანსოს "ზესტაფონი".

**- და მიუხედავად ამ ყველაფრისა, "ზესტაფონმა" ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. პროფლიგა არ ცდილობს, კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბარს, რათა გადაწყვეტილება შეაცვლევინოს?**

- რა თქმა უნდა, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზე გვაქვს საუბარი. ტელეფონით ველაპარაკე კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას. არის რაღაც პრობლემები, ყველას ესმის, რომ ჩვენს ქვეყანაში კიდევ ბევრი რამ დასალაგებელია. ფაქტია, "ზესტაფონმა" ინტენსიურად დაიწყო მზადება სეზონის მეორე ეტაპისთვის - იყო უცხოურ შეკრებაზე, ითამაშა საკონტროლო მატჩები, დაიმატა ახალი ფეხბურთელები და უცბად აცხადებს, რომ უსახსრობის გამო ჩემპიონატში და თასზე ვერ ითამაშებს. ფეხბურთში და საერთოდ ბიზნესში არის იმის პრეცედენტები, რომ გუშინ გაქვს ფული, დღეს კი - აღარ.

**- კოკაიასთან საუბრის შემდეგ "ზესტაფონისთვის" რა პერსპექტივას ხედავთ?**

- კოკაიამ მითხრა, ყველანაირად ვეცდები, ეს პრობლემა მოვაგვაროო.

**- თუ "ზესტაფონი" ამ პრობლემის გადაჭრას ვერ მოახერხებს ფეხბურთელებს ალბათ სამართლიანი პრეტენზიები გაუჩნდებათ კლუბის ხელმძღვანელობის მიმართ. ასეთ შემთხვევაში როგორი იქნება პროფლიგის პოზიცია?**

- არის იმედი, რომ "ზესტაფონი" გააგრძელებს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში გამოსვლას. მაგრამ, თუ გუნდი დაიშლება, მისი ყველა ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს - პროფლიგა მაქსიმალურად დაიცავს მათ ინტერესებს.

**- სეზონი რამდენიმე დღეში განახლდება - სადამდე აძლევთ ვადას "ზესტაფონს" პრობლემის მოსაგვარებლად?**

- სეზონი 17 თებერვალს განახლდება თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩებით. ვფიქრობ, "ზესტაფონის" საკითხი ხვალვე გადაწყდება. კოკაია ფეხბურთზე ფანატიკურადაა შეყვარებული, მართლაც დიდი ამაგი მიუძღვის "ზესტაფონზე" და ამ გუნდის საკითხი ისე უნდა მოგვარდეს, როგორც ყველას სურს - "ზესტაფონი" უნდა დარჩეს ქართულ ფეხბურთში.

**- მომავალ სეზონში უსახსრო, შესაბამისად არალიცენზირებული კლუბები ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ველარ ითამაშებენ - ამ საქმეს რა პირი უჩანს?**

- მაისამდე ჯერ კიდევ აქვთ დრო კლუბებს, რათა ლიცენზირებისთვის აუცილებელი პირობები დააკმაყოფილონ. ვინც ამას ვერ მოახერხებს, 2008-09 წლების სეზონში ვერ ითამაშებს - პროფლიგის პოზიცია კატეგორიულია. სამწუხაროდ, ამ დროისთვის ლიცენზირების შემძლე კლუბების რაოდენობა არ არის ისეთი, როგორიც გვინდა, რომ იყოს.

**დავით თავართქილაძე**

საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი"-ს გულშემატკივართა კლუბი

Fan-club of football club "Zestafoni"

საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი"-ს გულშემატკივართა კლუბის

მიმართვა

ჩვენთვის და მთელი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ს.კ. "ზესტაფონი"-ს ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება თვითლიკვიდაციის შესახებ. უკვე მერამდენედ ზესტაფონის საფეხბურთო ისტორიაში...

ოფიციალურ მიზეზად დასახელდა "უსახსრობა" ...

ჩვენ "ზესტაფონის" ფან-კლუბის წევრები შეშფოთებულნი ვართ ამ ფაქტის გამო, ეს არის ნამდვილი ტრაგედია ჩვენი ქალაქისა და მთლიანად საქართველოს ფეხბურთისათვის.

ს.კ. "ზესტაფონ"-მა ბოლო წლების განმავლობაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, რაც მისი პრეზიდენტის, ჩვენთვის საყვარელი ადამიანის, ბატონ ილია კოკაიას დამსახურებაა. მან მთელი გული და სული ჩადო გუნდის წარმატებაში. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ოფიციალური მიზეზი "უსახსრობა"(?!), რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია და აქ სულ სხვა, უფრო სერიოზულ მიზეზთან უნდა გვქონდეს საქმე ...

ჩვენ არ შევუდგებით ამ მიზეზების ძებნას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემები მალე საქართველოს ჩემპიონატის სხვა გუნდებსაც შეექმნებათ. ამით კი იზარალებს მთელი ქართული ფეხბურთი.

ს.კ. "ზესტაფონი"-ს ფან-კლუბი მიმართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას და ბატონ ილია კოკაიას თხოვნით - გამონახონ საერთო ენა იმისათვის, რომ ისეთი შესანიშნავი გუნდი, როგორიც ს.კ. "ზესტაფონია" არ გაქრეს საფეხბურთო სამყაროდან. მით უმეტეს, როცა ზესტაფონში საკმაოდ კარგი ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდა. (ს.კ. "ზესტაფონი"-ს ბაზაზე სხვადასხვა ასაკის 250-მდე ბავშვი ვარჯიშობს )

იმედს გამოვთქვამთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ჩვენ უმორჩილეს თხოვნას - შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება და დააბრუნოს ფეხბურთი ჩვენს საყვარელ ქალაქში.

ამ აზრს იზიარებს ზესტაფონის საზოგადოების უდიდესი ნაწილი.

13.02.2008 წ.

საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი"-ს გულშემატკივართა კლუბის წევრები:

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ცამეტეული საგაზაფხულო სტარტის წინ

ქართული სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. 17 თებერვალს საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალებია, 23-ში კი ჩემპიონატის მეორე წრეც დაიწყება.

ზამთრის შესვენებისას რამდენიმე კლუბის საქმე უკან წავიდა. "ამერს" ფინანსური პრობლემები აქვს, ბრძოლისუნარიანმა "ბორჯომმა" ვერც ძლიერი შემადგენლობა შეინარჩუნა და ვერც გამოცდილი მწვრთნელი, რეგიონულ ბიუჯეტებზე დამოკიდებული სხვა გუნდების ბედიც არაა სახარბიელო, "ზესტაფონმა" კი სულაც უარი თქვა ჩემპიონატსა და თასზე მონაწილეობაზე....

მოკლედ, რეალობა კიდევ უფრო დამძიმდა, სეზონი კი მაინც განახლდება. ჩვენ კი უმაღლესი ლიგის ბინადართა სადღეისო მდგომარეობა და შანსები შევაფასოთ მოკლედ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35-4 | 36 |
| **2. ზესტაფონი** | **13** | **11** | **1** | **1** | **26-6** | **34** |
| 3. ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25-8 | 31 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17-9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13-8 | 24 |
| 6. ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21-16 | 21 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14-19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16-17 | 15 |
| 10. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5-14 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7-23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8-21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7-24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5-28 | 4 |



დინამო და ზესტაფონი მეორე წრეს პრობლემებით ხვდებიან

## დინამო

თუ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება არ შეცვალა, შესაძლოა, "დინამომ" ჩემპიონობა ვადაზე ადრე გაინაღდოს. **უჰრინის** გუნდის ერთადერთ მოცილედ "ვიტ ჯორჯიალა" დარჩება, რომელიც "დინამოს" ყოველთვის წარმატებით ეთამაშება. საკითხავი მხოლოდ ისაა, შეძლებენ თუ არა ვეტერინარები მეორე წრის სტაბილურად ჩატარებას. "დინამოს" არავინ გადაუბირებია, მხოლოდ "ბორჯომში" განათხოვრებული ფეხბურთელები დაიბრუნა, **სანდრო კობახიძემ** კი უკრაინულ "დნეპრთან" გააფორმა კონტრაქტი.

საკითხავია, რა ბედი ელის კლუბს პრეზიდენტ **ბადრი პატარკაციშვილის** მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ.

*მიზანი:* ***ჩემპიონობა და თასი***

## ვიტ ჯორჯია

გუნდიდან **ნიკა გელაშვილი** წავიდა, მაგრამ წამყვანი მოთამაშეების გასხვისება "ვიტ ჯორჯიას" მნიშვნელოვნად არასდროს ასუსტებს. **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე** და უნივერსალი **ამირან ყველაშვილი** დაიმატა. სტაბილურობის შენარჩუნების შემთხვევაში, ვეტერინარებს ჩემპიონობისთვის ბრძოლის რეალური შანსი ექნებათ. მათთვის ვერცხლის მედლებიც წარმატება იქნება.

*მიზანი:* ***ჩემპიონობა, უეფას თასის საგზური***

## ბორჯომი

"ბორჯომი" უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ პირველ წრეში დაგროვილი ქულების წყალობით. სამხრეთელებთან მატჩში ყველა მეტოქე გამარჯვებას დაგეგმავს.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## ოლიმპი

რუსთაველებმა ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გაიარეს და დსთ-ის თასზეც ნორმალურად იასპარეზეს. რომ არა არასტაბილურად ჩატარებული პირველი წრე, "ოლიმპს" ჩემპიონობის შენარჩუნების შანსიც ექნებოდა, ამ შემთხვევაში კი **ანატოლი პისკოვეცის** გუნდის წევრები აქცენტს ალბათ, თასის მოპოვებაზე გააკეთებენ. მით უფრო, რომ თუ "ზესტაფონი" დაიშალა, ნახევარფინალში "ოლიმპი" უბრძოლველად გავა.

*მიზანი:* ***თასი, უეფას თასის საგზური***

## ამერი

ჩაგდებულ პირველ წრეს ფინანსური პრობლემები და **დავით ბოლქვაძის** "სიმურგში" წასვლა მოჰყვა. ღმერთმა ქნას, "ამერმა" ძველი ძალა დაიბრუნოს, თუმცა დღეს ეს ძნელი წარმოსადგენია. **გიორგი ჩიხრაძის** გუნდი აქცენტს, ალბათ, კვლავაც თასის გათამაშებაზე გააკეთებს.

*მიზანი:* ***თასი, უეფას თასის საგზური***

## მესხეთი

გუნდიდან ფეხბურთელთა ნაწილი წავიდა, ამის სანაცვლოდ, "მესხეთმა" დაახლოებით მათი დონის მოთამაშეები დაიმატა. ახალციხელებს სავარაუდოდ იმ დონის გუნდი უნდა ჰყავდეთ, როგორიც პირველ წრეში ჰყავდათ. ასე რომ, პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე "მესხეთს" არ უნდა დაემუქროს.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## მგლები

ზუგდიდელებზეც იმავეს თქმა შეიძლება. დღევანდელი პოტენციალით, "მგლები" უმაღლეს ლიგაში ასპარეზობას ნამდვილად იმსახურებს, ხოლო თუ კლუბის ნორმალურად დაფინანსება გაგრძელდა, მომავალი სეზონისთვის ალბათ, უფრო მაღალ მიზნებზე საუბარიც შეიძლება.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## სიონი

ბოლნისელები არცთუ ძლიერ, მაგრამ სტაბილურ გუნდს ინარჩუნებენ. შესაბამისად, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უახლოეს პერიოდში "სიონს" პრობლემები არ უნდა შეექმნას. საკადრო ცვლილებები გუნდში მრავლად მოხდა, თუმცა არა გვგონია, ამით ქვემოქართლელთა ძალა საგრძნობლად შეიცვალოს.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## სპარტაკი

ზამთრის პერიოდმა ბევრი რამ არც "სპარტაკისთვის" შეცვალა. **კობა ჟორჟიკაშვილმა** და მისმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა პირველ წრეშიც წარმოაჩინეს პოტენციალი და შესაძლოა, სეზონის მეორე ნახევარში "სპარტაკი" კიდევ უფრო მეტად ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## მერანი

სახიფათო ზონასთან ახლოს მყოფი თბილისელები მეორე წრისთვის ასე თუ ისე ნორმალურად ემზადებიან. ძნელი წარმოსადგენია, "მერანი" უახლოეს პერიოდში უფრო ძლიერი ვნახოთ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ამ გუნდისთვის რეალური ამოცანა უნდა იყოს.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## ლოკომოტივი

უცხოური შეკრებისა და ნორმალურ დონეზე წარმოებული სატრანსფერო პოლიტიკის წყალობით, უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი რკინიგზელებსაც აქვთ. სატურნირო ცხრილს ქვედა ნაწილში მყოფი გუნდების პირობაზე, "ლოკომოტივი" სეზონის განახლებას კარგად მომზადებული ხვდება.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## დილა

გორელებს გასული წლის ბოლოს მწვრთნელი შეეცვალათ, თუმცა შემადგენლობა ფაქტობრივად, არ გაძლიერებულა. თავისი წილი შანსი "დილასაც" აქვს, მაგრამ წესით, **ხორგუაშვილის** გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენა ძალიან უნდა გაუჭირდეს.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

## ბათუმი

ბოლოადგილოსანმა "ბათუმმა" შემადგენლობა ასე თუ ისე გააძლიერა, მაგრამ საკითხავია, შეძლებენ თუ არა აჭარლები კონკურენტებთან არსებული საგრძნობი სხვაობის გაბათილებას.

*მიზანი:* ***უმაღლეს ლიგაში დარჩენა***

**P.S**

*ჩემპიონატში ზესტაფონის მონაწილეობა ჯერ გარკვეული არ არის და ამ გუნდის მზადებისა და სამომავლო გეგმების შესახებ არაფერი დაგვიწერია.*

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge

ლეგიონერი

# ემპოლი: ჩვენ გვჯერა მჭედლიძის

## ქართველი ინტერის წინააღმდეგ


ლევან მჭედლიძე

ვიარეჯოს ტრადიციული ახალგაზრდული ტურნირის ფინალში გუშინ ერთმანეთს "ინტერისა" და "ემპოლის" დუბლები შეხვდნენ. **ლევან მჭედლიძე**, რომელიც დიდი ხანია "ემპოლის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ემზადება, დუბლებში მწვრთნელის თხოვნით დაიმატეს.

ლევანი იტალიაში ტრავმირებული დაბრუნდა. მან ლატვიის ნაკრებთან ფეხი იტკინა და მოედანი ნაადრევად დატოვა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და ორი დღის წინათ მჭედლიძემ ვარჯიში საერთო ჯგუფში გააგრძელა.

"კალჩომერკატომ" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ლევანი "ინტერთან" შეხვედრას სათადარიგოების სკამიდან მიადევნებდა თვალს, შემდეგ კი, საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებოდა ასეც მოხდა.

ძირითადი დრო 2:2 დამთავრდა. მერე იყო დამატებითი დრო და პენალტების სერია, რომელშიც "ინტერმა" (7:6) გაიმარჯვა. თუმცა მჭედლიძემ პენალტებამდე ველარ მიაღწია. ის მოედანზე 70-ე წუთზე **მორის** ნაცვლად გამოჩნდა. დამატებითი დროის ბოლო წუთზე **ესპოზიტომ** საჯარიმოსკენ დაძრული ლევანი წააქცია და ამის გამო გააძევეს, ქართველი ახალგაზრდა კი მოედნიდან გაიყვანეს. ამ მომენტმა "ემპოლის" ფეხბურთელებსა და ესპოზიტოს შორის კონფლიქტიც გამოიწვია.

საბედნიეროდ, ყველაფერი წესრიგშია და ლევანი დღეისათვის, სავარაუდოდ, ჩვეულებრივად ივარჯიშებს.

მატჩის მიმოხილვის ბოლოს წერია, თუ რამე არ შეიცვალა, უახლოეს ტურში მჭედლიძეს "ემპოლს" ძირითადში ვიხილავთ.

"ემპოლის" პრესსამსახურმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ლევან მჭედლიძეს "ვოლფსბურგში" არ უშვებს - *"ჩვენ გვჯერა ლევან მჭედლიძის მომავლისა და "ვოლფსბურგში" მის გაშვებას არ ვაპირებთ"*.

შეგახსენებთ, რომ "მგლებმა" ქართველის შეძენა მცირე ხნის წინ გადაწყვიტეს. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, გერმანელები 8 მილიონ ევროს იხდიდნენ. დაზუსტებული ინფორმაციით, ამ თანხას იტალიელები ითხოვდნენ, რამაც გერმანელებს მოლაპარაკების სურვილი გაუქრო.

ჩვენი ინფორმაციით, "ვოლფსბურგის" გარდა, ერთ-ერთი ცნობილი გერმანული კლუბიც აქტიურობდა, მაგრამ ის ბოლომდე ჩრდილში დარჩა. შეგახსენებთ, რომ იტალიურ კლუბში ჩარიცხვამდე, მჭედლიძეს მიუნხენის "ბაიერნიც" იწვევდა.

ორი თვის წინათ "ემპოლის" მთავარ მწვრთნელად **ალბერტო მალეზანი** დაინიშნა, რომელმაც თავი "პარმაში" მუშაობით გამოიჩინა. მჭედლიძეზე მისი წინამორბედი **ლუიჯი კანი** უდიდეს იმედებს ამყარებდა. მალეზანი არანაკლები იმედით უყურებს და უახლოეს ტურში მის ძირითად გუნდში დაყენებასაც აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოლს ცოტა დააკლდა


მარცხნივ კახა კალაძე

წუხელ "მილანმა" "სან სიროზე" "ლივორნოს" წინააღმდეგ სერია A-ს გამოტოვებული მატჩი გამართა, თუმცა გამარჯვება ვერ შეძლო - 1:1. ეს ერთი ქულაც **ანდრეა პირლოს** დამსახურებაა, რომელმაც მე-60 წუთზე გაათანაბრა ანგარიში. წინა მატჩში ეროვნული ნაკრების მატჩიდან იტალიაში მიბრუნებულ **კახა კალაძეს** არ უთამაშია, ახლა კი ის სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა და დაცვის ცენტრში **დანიელე ბონერასთან** ერთად ითამაშა. 34-ე წუთზე კახას "მილანის" შემადგენლობაში სეზონის პირველი გოლის გატანა შეეძლო, კუთხურიდან პირლოს ჩაწოდებულს მან თავი ოსტატურად დაუხვედრა, თუმცა მეტოქის კარი ძელმა იხსნა. მატჩის 64-ე წუთზე ქართველ მცველს კიდევ შეეძლო "მილანისთვის" გამარჯვება მოტანა, მაგრამ ამჯერად უკვე გამოცდილმა **მარკო ამელიამ** აული დარტყმული. კახამ ზოგიერთი იტალიური გამოცემისგან 6 ქულა დაიმსახურა, სხვათა შორის, სხვების ფონზე ეს მაღალი შეფასებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მალაროელი–ამერი ქუთაისში

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, "მალაროელი"-"ამერის" სათასო მატჩი არა ჭიათურაში, არამედ ქუთაისში ჩატარდება. ამის მიზეზი ჭიათურული დიდთოვლობაა. ეს შეხვედრა 17 თებერვალს გაიმართება, ამავე დღეს "დილა" "თენგიზ ბურჯანაძეზე" "ბორჯომს" უმასპინძლებს. თუ "ზესტაფონი" არ დაიშალა, "ოლიმპი"-"ზესტაფონიც" ამავე დღეს შედგება რუსთავში. ცხინვალის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრა კი 18 თებერვალს, "ქართლის" სტადიონზე ჩატარდება. ეს თამაშები 14 საათზე დაიწყება, განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები კი 11-12 მარტს გაიმართება.

ფიფას რეიტინგი

# საქართველო ოთხი ნაბიჯით დაქვეითდა

გუშინ ფიფამ თებერვლის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც გარკვეული ცვლილებებია. ეს ცვლილებები არ შეხებია მოწინავე ათეულს. რაც შეეხება საქართველოს, ლატვიასთან საშინაო მატჩში წაგებამ (1:3) 4 საფეხურით დაგვხია უკან. სამაგიეროდ თბილისში მოგებამ ბალტიისპირელები ერთბაშად 13 ადგილით წინ წასწია და ფიფას ახალ რეიტინგში უკვე ჩვენზე წინ, 72-ე საფეხურზე არიან. ბოლო სპარინგი ვახსენეთ და მომდევნოზეც ვთქვათ. 26 მარტს ჩვენი ნაკრები მატჩს ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან გამართავს. ფიფას რეიტინგში ეს გუნდი ირლანდიაზე წინ დგას - 34-ე ადგილზეა.

უკუსვლა აქვთ ჩვენი ჯგუფის მეტოქეებსაც. თითო ადგილით დაქვეითდნენ ბულგარეთი და კვიპროსი და ახლა შესაბამისად მე-18 და 65-ე საფეხურზე არიან. სამი ადგილით მოუწია უკანდახევა ჩერნოგორიას. იტალია და ირლანდია კი ძველ პოზიციებზე, შესაბამისად მე-3-სა და 36-ეზე დარჩნენ.

მოწინავე ათეულისა და ჩვენი ჯგუფის მეტოქეთა განლაგება ასე გამოიყურება.

| ქვეყანა | ქულა |
|---|---|
| 1. (1) არგენტინა | 1518 |
| 2. (2) ბრაზილია | 1502 |
| 3. (3) იტალია | 1484 |
| 4. (4) ესპანეთი | 1352 |
| 5. (5) გერმანია | 1281 |
| 6. (6) ჩეხეთი | 1244 |
| 7. (7) საფრანგეთი | 1223 |
| 8. (8) პორტუგალია | 1191 |
| 9. (9) ჰოლანდია | 1179 |
| 10. (11) საბერძნეთი | 1142 |
| 19. (18) ბულგარეთი | 919 |
| 36. (36) ირლანდია | 703 |
| 66. (65) კვიპროსი | 492 |
| 80. (76) საქართველო | 384 |
| 175. (172) ჩერნოგორია | 65 |

**დავით ცაბაძე**

# გაგრა თურქეთისკენ


იოჰან ბოსკამპი

პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერი "გაგრა" 10 თებერვალს მოსამზადებლად ისევ თურქეთში გაემგზავრა. **გია გეგუჩაძის** განვრთნილებმა გუშინ პოლტავის "ვორსკლასთან" 1:2 წააგეს. ანგარიში ჩვენებმა მატჩის დასაწყისში გახსნეს - თავი **ირაკლი სუხიშვილმა** გამოიჩინა. მერე უკრაინელებმა გამოიდეს თავი, მეორე ბურთი მატჩის ბოლოსლა გავიდა.

17 თებერვალს "გაგრა" **რეზო ძოძუაშვილის** ყარაღანდის "შახტიორს" შეხვდება, 24-ში - ლვოვის "კარპატს", მათ შორის კი კიდევ ერთ მატჩს გამართავს.

დღეს გუნდს ანთალიაში **იოჰან ბოსკამპი** ჩააკითხავს. "დერდენთან", რომელსაც ჰოლანდიელი ავარჯიშებს, საკონტროლო შეხვედრა იგეგმებოდა, მაგრამ ბელგიური გუნდი სხვა ქალაქშია დაბანაკებული და მალე გვეცოდინება, მოხერხდება თუ არა ამ ორი გუნდის შეხვედრა.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

# ანჟის ძალა ქართველებშია


მიხეილ აშვეთია

"ანჟიმ" თურქულ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო შეხვედრები გამართა. **ომარ თეთრაძის** გუნდის მეტოქე ბელარუსის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი "გომელი" იყო. მატჩი რუსებმა 3:1 მოიგეს. ორი გოლი ქართველებმა გაიტანეს - **გოჩა ხოჯავამ** 22-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, 38-ე წუთზე კი **მიხეილ აშვეთიამ** დააწინაურა თანაგუნდელები.

"ანჟიში" შვიდივე ქართველმა ითამაშა. **აბრამიძე, ნავალოვსკი,** ხოჯავა და აშვეთია ძირითად შემადგენლობაში დააყენეს, **არზიანი, ჯიქია** და **ბარაბაძე** კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ.ერთდროულად ამდენ ქართველს არც ერთი უცხოური კლუბის შემადგენლობაში არ უთამაშია.

ბელარუსების შემდეგ, "ანჟის" მეტოქე ტაშკენტის "ფახთაქორი" გახლდათ. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. "ანჟის" ორი ფეხბურთელით ნაკლებს მოუწია მატჩის ჩამთავრება, მაგრამ მახაჭყალელებმა ფრე მაინც გაახერხეს. ანგარიში მე-13 წუთზე ტაშკენტელებმა გახსნეს. 4 წუთში თეთრაძის გუნდი კაცნაკლული დარჩა. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კი არბიტრმა "ანჟის" კიდევ ერთი ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან. მახაჭყალელთაგან ერთადერთი გოლი **მიხეილ აშვეთიას** ანგარიშზეა. მან 22-ე წუთზე პენალტით გაათანაბრა ანგარიში. თეთრაძემ "ფახთაქორის" წინააღმდეგ კვლავ ორი შემადგენლობით ათამაშა გუნდი. შეხვედრაში სულ ხუთმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. მცველმა **ვალერი აბრამიძემ**, ნახევარმცველმა გოჩა ხოჯავამ და ფორვარდმა მიხეილ აშვეთიამ კვლავ საწყისი 45 წუთი ითამაშეს. ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** და ფორვარდი **რევაზ ჯიქია** კი მოედანზე 46-ე წუთიდან გამოჩნდნენ. რაც შეეხება **რევაზ ბარაბაძეს,** მას შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

"ანჟი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს, 18 თებერვალს, ლუგანსკის "ზარიასთან" გამართავს. სხვათა შორის, ეს მატჩი ერთგვარი ქართული დერბი იქნება, "ზარიაში" ხომ ნახევარმცველი **ლადო ბურდული** ასპარეზობს.

# დვალიშვილი სკონტოში მოსწონთ

## ბაბუნაშვილი დინაბურგის ძირითადშია


ვლადიმერ დვალიშვილი

ლატვიაში ახალი სეზონი გაზაფხულზე აიღებს სტარტს. მანამდე კი გუნდები მზადებას განაგრძობენ. გუშინ და გუშინწინ ლატვიის არაერთგზის ჩემპიონმა რიგის "სკონტომ" ორი ამხანაგური მატჩი გამართა. თავდაპირველად რიგელებმა მინსკის "ლოკომოტივი" 2:1 დაამარცხეს. შეხვედრაში სამმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. მცველები **დავით გამეზარდაშვილი** და **ზაალ ელიავა** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. "სკონტოში" ტესტირებაზე მყოფი **ვლადიმერ დვალიშვილი** კი მეორე ტამში გამოჩნდა მოედანზე. ლატვიური წყაროების ინფორმაციით, ლადო კლუბის ხელმძღვანელობის მოწონებას იმსახურებს.

მეორე მატჩში გუშინ "სკონტო" "სატურნის" დუბლშემადგენლობას დაუპირისპირდა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. მატჩში რიგელებმა გადახალისებული შემადგენლობით იასპარეზეს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ელიავასა და გამეზარდაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. დვალიშვილი კი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 60 წუთი დაჰყო მოედანზე.

"სკონტოს" დარად ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს **თამაზ პერტიას** "დინაბურგიც". პერტიას კრებული ანთალიაში ნოვოსიბირსკის "სიბირს" დაუპირისპირდა და 1:2 დამარცხდა. დინაბურგელთა სასტარტოში იყო **შოთა ბაბუნაშვილი.** მეორე ტაიმში კი კიდევ ერთი ქართველი **ლევან გიორგაძეც** გამოჩნდა მოედანზე.

**დავით ცაბაძე**

# ქელიძე ყაზახეთში ითამაშებს

ყაზახეთის ქართულ ლეგიონს ცოტა ხნის წინათ კიდევ ერთი შეემატა – მცველი **ლაშა ქელიძე**, რომელიც ბოლოს ბოლნისის "სიონში" ასპარეზობდა. მან ყაზახურ "კაისერთან" გააფორმა კონტრაქტი. ლაშა ახალ გუნდს უკვე ახლდა ერთ მოსამზადებელ შეკრებაზე და დროებით სამშობლოში დაბრუნდა. გუშინ თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით.

*"ყაზახურ "კაისერთან" ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და გუნდთან ერთად უკვე ვიყავი ანთალიაში მოსამზადებელ შეკრებაზე. თურქეთში ოთხივე ამხანაგურ მატჩში მივიღე მონაწილეობა. დაცვაში ჩემს ადგილზე მათამაშეს, კარგი შთაბეჭდილება დავტოვე და მწვრთნელებიც მემადლიერებიან. დროებით ჩამოვედი სამშობლოში, 16 თებერვალს გუნდს ანთალიში, მორიგ შეკრებაზე შევუერთდები. იქიდან კი უკვე ყაზახეთში გავყვები"* – "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ლაშა ქელიძემ.

რაც შეეხება მის უმცროს ძმას, გიორგი ქელიძეს, ეს ფორვარდი ისევ მოსკოვის "ლოკომოტივის" საკუთრებაა. თუმცა გიორგი "ლოკომოტივის" არც მთავარ და არც მეორე გუნდთან არაა შეკრებაზე. როგორც გავიგეთ, მოსკოვის "ლოკომოტივს" გიორგის განათხოვრება სურს. ამ საკითხზე რუსულ კლუბებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები და უმცროსი ქელიძის საკითხი წესით ერთ კვირაში უნდა გადაწყდეს.

**დავით ცაბაძე**


ლაშა ქელიძე

# პავლოვმა ცხადაძეს გუნდი შეუქო

## ჩომახიძის მოგზაურობა ყარაბახში

თურქული შეკრებიდან დაბრუნდა ბაქოს "სტანდარდი". აზერბაიჯანული კლუბი **კახა ცხადაძის** ხელში საკმაოდ მოფერიანდა, საკონტროლო შეხვედრებში ერთმანეთის მიყოლებით უკრაინულ და რუსულ კლუბებს სძლია და მეტოქეთა პატივისცემაც დაიმსახურა.

პოლტავის "ვორსკლის" მთავარ მწვრთნელ **ნიკოლაი პავლოვს** უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი მოსამზადებელ ეტაპზე ესაუბრა. ერთ-ერთი კითხვა მოწინააღმდეგეებს შეეხებოდა - განსაკუთრებულად რომელი მათგანი მოგეწონათო? პავლოვმა დაუფიქრებლად ცხადაძის გუნდი გაიხსენა და მთელი პასუხი მას მიუძღვნა.

*"მართალია, ბაქოს "სტანდარდი" აზერბაიჯანის ჩემპიონატში საშუალო დონისად ითვლება, მაგრამ ძალიან მომეწონა. მცირე ხნის წინ ის საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, კახა ცხადაძემ ჩაიბარა. მასთან შეხება ადრეც მქონდა - "დნეპრის" მთავარმწვრთნელობის დროს, ევროთასებზე ფრანკფურტის "აინტრახტს" შევხვდით. მაშინ ცხადაძე გერმანულ კლუბში წარმატებით თამაშობდა, გუნდს კი კლაუს ტოპმიოლერი ავარჯიშებდა.*

*"სტანდარდის" შემადგენლობაში მრავალი ლეგიონერია, მათ შორის, ბევრი კვალიფიციური სამხრეთამერიკელი. ბაქოელებთან ძალიან დაძაბული შეხვედრა გვქონდა. აზერბაიჯანელებს ორი ფეხბურთელიც გაუგდეს. სხვათა შორის, ჩვენამდე "სტანდარდმა" "ხარკოვს" 4:0 მოუგო. მე არ ვიცი, ხარკოველებმა როგორი შემადგენლობით ითამაშეს, მაგრამ თავისთავად შედეგი მრავლისმეტყველია."* - განაცხადა პავლოვმა.

აზერბაიჯანულ თემას **გიორგი ადამიათი** გავაგრძელებთ. ბაქოს "ნეფთჩიმ" ესპანური შეკრება დაასრულა. ბოლო საკონტროლო შეხვედრას ამხანაგური არ ეთქმის - **ანატოლი დემიანენკოს** გაწვრთნილებმა შვეიცარიული "ცუგ-94" გაანადგურეს - 7:1. ეს ის გუნდია, სადაც **ოტმარ ჰიტცფელდმა** 25 წლის წინათ სამწვრთნელო საქმიანობა დაიწყო. გიორგი ადამიამ დუბლი შეასრულა.

დაბოლოს, აგდამის "ყარაბახში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და სიმფეროპოლის "ტავრიის" ყოფილი ნახევარმცველი **შოთა ჩომახიძე** მიიწვიეს. შოთა აგდამში ჯერ კიდევ 2003 წელს თამაშობდა. უფრო ზუსტად კი კონტრაქტი გააფორმა, ერთხელ მოირგო "ყარაბახის" ფორმა და გუნდი დატოვა. საქმე ისაა, რომ აგდამელები ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ. პრინციპული მატჩი ბაქოს "ნეფთჩისთან" 1:3 წააგეს და აგდამელთა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **შახინ დინიევმა** (ამჟამად ეროვნული ნაკრების მწვრთნელია) ქართველ ნახევარმცველს თავის გამოჩენის შანსი აღარ მისცა.

"აპა-სპორტის" ინფორმაციით, ჩომახიძე ბოლოს, შვიდი თვის წინათ სომხურ "ულისში" ჩაირიცხა, მაგრამ "მიკასთან" წაგების შემდეგ, კლუბიდან გარიცხეს. რა მიზეზით, არ კონკრეტდება.

სხვათა შორის, 2003 წელს შოთა ჩომახიძესთან ერთად, აგდამის "ყარაბახში" თბილისის "დინამოს" დღევანდელი ლიდერი **მიხეილ ხუციშვილი** თამაშობდა, მაგრამ კლუბი შოთასთან ერთად დატოვა.

**მერაბ მამულაშვილი**


მარცხნივ ზურა ხიზანიშვილი

## ჰიუზმა ხიზანიშვილი შეაქო

საქართველოს ნაკრების მცველ **ზურაბ ხიზანიშვილის** მისამართით "ბლექბერნის" მთავარ მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** საქებარი სიტყვები არასდროს დაუშურებია. მართალია პრემიერლიგის ბოლო ტურში "ბლექბერნი" "არსენალთან" დამარცხდა, მაგრამ მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** თავისი გუნდი მაინც შეაქო. "ბლექბერნის" ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარში, მწვრთნელი დაცვის თამაშს გამოყოფს. მან დაცვის კვარტეტის - **ბრეტ ემერტონი, სტივ უორნოკი, ზურაბ ხიზანიშვილი** და **ანდრე ოოიერი** - მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა:

*"არსენალთან" კი წავაგეთ, მაგრამ ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ. განსაკუთრებით დაცვის კვარტეტს გამოვყოფდი... ხიზანიშვილმა და ოოიერმა ჩინებულად ითამაშეს - კარგ ფორმაში მყოფ ემანუელ ადებაიორს საეიმედოდ ეთამაშნენ. სამწუხაროდ თამაშის მიწურულს ოიერი დაშავდა და ადებაიორმა თავისი საქმე მაინც გააკეთა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ ეპიზოდში შეძლო. ცენტრალურ მცველებთან ერთად განაპირა დამცველებმაც კარგად ითამაშეს. მოკლედ მთლიანად გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ და სამომავლოდ ეს რწმენას მიძლიერებს, რომ მომდევნო მატჩებში წარმატებით ვითამაშებთ".*

## ალადაშვილი რუმინელთა წინააღმდეგ

თურქულ შეკრებაზე მყოფი "ხარკოვია" კრაიოვის "უნივერსიტატიას" ამხანაგურად გაეჯიბრა და 2:0 სძლია. უკრაინელთა ქართველმა **კახა ალადაშვილმა** რუმინელთა წინააღმდეგ 90 წუთის განმავლობაში ითამაშა. **ოთარ მარცვალაძე,** რომელიც "ხარკოვში" ისინჯება მოედანზე არ ყოფილა.

ბარსელონა

# ბეგირისტაინი მოურინიოს განაში ფარულად შეხვდა

## კატალონიურ გრანდში მასობრივი წმენდა იგეგმება

**მიუხედავად** იმისა, რომ ჟოან ლაპორტა საჯარო გამოსვლებში ფრენკ რაიკაარდს ერთგულებას ეფიცება და აცხადებს, ჰოლანდიელ სპეციალისტს მინიმალური საფრთხეც არ ემუქრებაო, ცნობილი ხდება, რომ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა მის შემცვლელად ჟოზე მოურინიოს მოიაზრებს. ესპანური გაზეთების მტკიცებით, რაიკაარდი სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს "ბარსელონას". ხოლო იმისათვის, რომ ჰოლანდიელის საქმე სწორედ მოურინიომ გააგრძელოს, კატალონიური გრანდის მესვეურები ინტენსიურად მუშაობენ.

"დიარიო მარკასთვის" ცნობილი გახდა, რომ გასულ კვირაში "ბარსელონის" გენერალური დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** და მისი მოადგილე **ალბერტ პერინი** განაში ფარული ვიზიტით იმყოფებოდნენ. აი, **მოურინიოს** კი არავისთვის დაუმალავს, რომ აფრიკის თასის მატჩების სანახავად მიემგზავრებოდა. განა ინკოგნიტო შეხვედრისთვის აფრიკაზე კარგი ადგილის მონახვა შესაძლებელია? რა თქმა უნდა, არა. ამიტომ, ბეგირისტაინმა და მისმა ხელქვეითმა ჩემოდნები სასწრაფოდ ჩაალაგეს და განისკენ აიღეს გეზი. მართალია, "დიარიო მარკას" თანამშრომლები ტურნირის გასაშუქებლად შავ კონტინენტზე იმყოფებოდნენ, მაგრამ კატალონიელებისთვის თვალიც არ მოუკრავთ. შესაბამისად, ისინი შეხვედრასაც არ დასწრებიან... მაგრამ მადრიდული გამოცემა სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ ბეგირისტაინისა და პორტუგალიელი სპეციალისტის შეხვედრა შედგა. ამის შესახებ, მათ იმ სასტუმროს მენეჯერმა განუცხადა, რომელშიც სეუ მოურინიო იყო გაჩერებული. ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩვენს კოლეგებს ევროპული ცნობიერებისთვის სრულიად მიუღებელი ნაბიჯის გადადგმაც კი დასჭირდათ. მენეჯერმა 300 ევროს სანაცვლოდ სიტყვა სიტყვით დაფქვა ის ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით იხილა. ბატონები ჟოზე და ჩიკი სასტუმროს რესტორანში ორ საათზე მეტ ხანს საუბრობდნენო. მაგიდასთან კიდევ ვილაც იჯდა, მაგრამ სახეზე ვერ ვიცანიო. სავარაუდოდ, უცნობი ალბერტ პერინი უნდა ყოფილიყო...

ალბათ, კითხვის დასმაც არ არის საჭირო, თუ რისთვის იფრინა ჩიკი ბეგირისტაინმა ათასობით კილომეტრი. რა თქმა უნდა, იმისთვის არა, რომ მოურინიოს უსაქმოდ შეხვედროდა და მასთან ერთად შამპანურის სმით შეექცია თავი. ბუნებრივია, მათი შეხვედრა ბევრ რამეზე მეტყველებს. თავისუფლად შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ "ბარსელონა" ჟოზე მოურინიოს მთავარი მწვრთნელის თანამდებობას სთავაზობს და დეტალების შესათანხმებლად მოლაპარაკებებს აწარმოებს. სავარაუდოდ, ფარული ურთიერთობა დიდ ხანს არ გაგრძელდება. საკმარისია, "ბარსამ" ჩემპიონთა ლიგაშიც წაიფორხილოს, ყველაფერი ნათელი გახდება. ამ შემთხვევაში, ბეგირისტაინი და ჟოან ლაპორტა პორტუგალიელის შესახებ საჯაროდ ალაპარაკდებიან.

ამასობაში, "ბარსელონის" შესახებ კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. საუბარია, სეზონის დასრულების შემდეგ დაგეგმილ მასობრივ წმენდაზე. გასაკვირი არ არის, რომ ხელმძღვანელობა გუნდის პრიმერა დივიზიონში ასპარეზობით უკიდურესად უკმაყოფილოა. გულშემატკივრებიც გაბრაზებულები არიან. ამის გათვალისწინებით, იოლად საწინასწარმეტყველოა, რომ ლაპორტა და მისი თანამშრომლები შემადგენლობის გადახალისებას სერიოზულად მოეკიდებიან. ესპანურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, გამორიცხული არ არის, გუნდი ერთბაშად თერთმეტმა ფეხბურთელმა დატოვოს. მათ შორის, **რონალდინიომ, ედმილსონმა, ტურამმა, ესკერომ, პინტომ** (მისი ბედი ჟორკერას გამოჯანმრთელებაზე იქნება დამოკიდებული), **სილვინიომ, დეკუმ, გუდიონსენმა, ძამბროტამ** და **ოლეგერმა**. ჯერჯერობით უცნობია, ვინ არის ხელმძღვანელობის მიერ ათვალწუნებული მეთერთმეტე მოთამაშე.

რამდენიმე დღის წინ მოგახსენეთ, რომ **სამუელ ეტოომ** აფრიკის თასის ფინალში ტრავმა მიიღო. კამერუნელი ფორვარდი კატალონიაში დაბრუნებისთანავე საავადმყოფოში გააქანეს და საგულდაგულო სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. "ბარსას" მწვრთნელებმა და დირექტორატის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან ცენტრფორვარდს მხოლოდ კუნთი აქვს დაჭიმული. არადა, ისინი შიშობდნენ, რომ სამუელს კუნთი გაწყვეტილი ექნებოდა, რაც ერთთვიან მკურნალობას მოითხოვდა. საქმე გაცილებით იოლადაა, თუმცა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ეტოო "სარაგოსასთან" ვერ იასპარეზებს. რეაბილიტაციისთვის მას ოთხი დღე სჭირდება. გუნდის მთავარი ექიმი **რიკარდ პრუნა** იმედოვნებს, რომ აფრიკელი თავდამსხმელი "სელტიკთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ გამოჯანმრთელდება და შოტლანდიელების კარს მედგრად შეუტევს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟოზე მოურინიო აფრიკის თასს დაესწრო და საიდუმლო შეხვედრაც გამართა

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ მარტინ ფენინთან

# იუვენტუსი ჯერ ნაადრევი იყო...

## ჩეხი ტალანტი რობერტო ბაჯოს გაცნობაზე ოცნებობს

**მარტინ ფენინი ბუნდესლიგის ახალი ვარსკვლავია, რომლის შესახებაც ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ვწერთ. მაგრამ ეს არცაა გასაკვირი, რადგან ახალგაზრდა ჩეხმა თავდამსხმელმა თავისი გერმანული კარიერა იმდენად კარგად დაიწყო, რომ დღეს მთელი საფეხბურთო გერმანია მასზე ლაპარაკობს. 20 წლის ფენინმა "აინტრახტში" და საერთოდ გერმანიაში ჯერ მხოლოდ 2 თამაშის ჩატარება მოასწრო, მაგრამ უკვე 4 გოლი აქვს გატანილი, რაც უდავოდ სერიოზული მიღწევაა – მით უმეტეს, რომ ბუნდესლიგაში ეს მისი პირველი შეხვედრები იყო. ფენინს "ბილდის" ჟურნალისტები გაესაუბრნენ. ფრანკფურტული კლუბისა და ჩეხეთის ნაკრების ფორვარდი ინტერვიუზე "დოლჩე და გაბანას" ჯინსითა და თეთრი, ლუის უიტონის ფეხსაცმელებით გამოცხადდა და მისალმების შემდეგ, ჟურნალისტებს პირველად ეს უთხრა: "მიყვარს მოდა!"**



მარტინ ფენინი

**- ჰერ ფენინ, თქვენზე მთელ ევროპას ნადირობა ჰქონდა გამოცხადებული. "იუვენტუსის" გარდა "არსენალში" და "ვერდერშიც" გეპატიჟებოდნენ. მარტივი კითხვით დავიწყოთ: რატომ "აინტრახტი"?**

- პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდესლიგა ძალიან ჰგავს ჩეხეთის პირველობას. ესეც არ იყოს, "აინტრახტს" შესანიშნავი სტადიონი აქვს და სიმართლე გითხრათ, ყოველთვის ვოცნებობდი, მეთამაშა ისეთ გუნდში, რომელსაც საშინაო არენაზე ისეთი ატმოსფერო ექნებოდა, როგორიც "აინტრახტს" აქვს. მესამეც: ფრანკფურტული კლუბის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გავხდი. არადა, "აინტრახტმა" ჩემ სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაიხადა. მაგალითად, "იუვენტუსისთვის" ეს თანხა აბსოლუტურად ნორმალურია, ამ გუნდს 5-ჯერ და 6-ჯერ მეტიც გადაუხდია. თუ საჭირო იქნება, ალბათ 10-ჯერ მეტსაც გაიღებს. როგორ აგიხსნათ, ამ ეტაპზე მაინც შედარებით დაბალი რანგის კლუბი ვამჯობინე, სადაც გაცილებით თავისუფალი ვიქნები, ვიდრე "იუვენტუსში" ვიქნებოდი. ფრანკფურტში მივიღე იმის გარანტია, რომ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებდი, "იუვენტუსში" კი ასეთ გარანტიას ვერავინ მომცემდა. არადა, ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ყველაზე მეტად არა სახელოვანი კლუბი, არამედ სათამაშო პრაქტიკა მჭირდება.

**- განვლილ ორ თამაშში თქვენ არა მარტო 4 გოლი გაიტანეთ, არამედ შესანიშნავი პასებიც ჩამოარიგეთ და გამთამაშებლობის ნიჭიც გამოამჟღავნეთ...**

- იცით, უფრო მაინც თავდამსხმელი ვარ, ვიდრე ნახევარმცველი. ბავშვობიდან თავდასხმაში ვთამაშობ და შუაში ნაკლებად გამოვდგები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფორვარდი პასებს არ უნდა აკეთებდეს. როცა ვხედავ, რომ თანაგუნდელი უკეთეს პოზიციაშია, მაშინვე პასს ვაძლევ.

**- შემთხვევით გოლები მხოლოდ მაშინ ხომ არ გაგაქვთ, როცა თამაშს თქვენი მშობლები ესწრებიან?**

- (იცინის) მიგიხვდით. ჰო, ჩემი მშობლები ჩემთვის ყოველთვის ბედნიერების მომტანები იყვნენ. ახლაც ორივე თამაშს დაესწრნენ და სამწუხაროდ, ისევ წასვლა მოუხდათ. მართალია, ისინი წავიდნენ, მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გოლების სერია უსასრულოდ გაგრძელდეს.

**- კარიერა "ტეპლიცეში" დაიწყეთ. გვიამბეთ, როგორ დაიწყო თქვენი კარიერა.**

- იყო დრო, როცა "ტეპლიცეში" აუტის ხაზს იქით მდგომი ბავშვი ვიყავი, რომელსაც ბურთის ფეხბურთელებისთვის მიწოდება ევალებოდა. მაგრამ მაშინ ამით უზომოდ ბედნიერი გახლდით. ბავშვობაში ჩემი კერპი იტალიელი რობერტო ბაჯო იყო. მართალია, ჩეხი ვარ, მაგრამ ბაჯოს გამო იტალიის ნაკრებს ვქომაგობდი. რობი ჩემთვის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა. ჩემი ოცნებაა, რომ ერთხელაც ახლოს გავიცნო და ვუამბო, თუ როგორ განვიცადე ის, რომ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალში თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა. სწორედ მას მერე გახდა ბაჯო ჩემი საყვარელი ფეხბურთელი.

**- "აინტრახტის" მთავარი მწვრთნელი ფრიდჰელმ ფუნკელი ამბობს, ფენინში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ძალიან გაწონასწორებული ადამიანია და ოდნავადაც არ ეტყობა, რომ ასეთი ახალგაზრდააო...**

- აბსოლუტურად მართალია. პრინციპში, ჩემი ბავშვობა ძალიან მალე დასრულდა. 15 წლის რომ ვიყავი, უკვე პროფესიული კონტრაქტი მქონდა გაფორმებული და ხელფასს მიხდიდნენ. ცოტა არ იყოს გასაკვირია, მაგრამ 15 წლის ასაკში უკვე იმაზე მეტი ხელფასი მქონდა, ვიდრე უმუშევრებს აძლევენ ხოლმე. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ფეხბურთმა სკოლაც დაჩრდილა და სწავლასაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. მიუხედავად ამისა, მაინც გავხდი აბიტურიენტი და საკმაოდ კარგი ნიშნითაც. ისე კი, ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი. სადაც ხუმრობდნენ, იქ მეც აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი. მაგალითად, როცა კლასში ახალ წიგნებს შემოიტანდნენ, საგულდაგულოდ ვმალავდი ხოლმე, რათა მასწავლებლებს არ ენახათ.

**- როგორც გავიგეთ, იყო მომენტი, როცა ფეხბურთს თავი დაანებეთ...**

- დიახ, ასეთი პერიოდიც იყო. გაგიკვირდებათ და ეს მაშინ მოხდა, როცა 10 წლის გახლდით. მიზეზი ის იყო, რომ ჩემს პირველ მწვრთნელს ვერაფერი გავუგე, უფრო სწორად, მან ვერ გამიგო ვერაფერი. ამიტომაც, 3 თვის განმავლობაში ფეხბურთისკენ გახედვაც კი აღარ მინდოდა - რომ აღარაფერი ვთქვათ ვარჯიშებზე სიარულზე. მაგრამ მალე მშობლებმა დამარწმუნეს, რომ ვარჯიში უნდა გამეგრძელებინა და ფაქტობრივად ძალით მიმიყვანეს სხვა მწვრთნელთან, რომელთანაც უკვე პრობლემები აღარ მქონია.

**- მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თქვენ საუკეთესო თავდამსხმელად დაგასახელეს...**

- ჰო და ამ აღიარების შემდეგ ჩეხეთში ნამდვილი ვარსკვლავი გავხდი. დღე არ გავიდოდა, რომ ჟურნალისტებს ჩემზე არ დაეწერათ. რა აღარ მოიგონეს - ერთნი "რეალში" მისტუმრებდნენ, მეორენი "ბარსელონაში"... გავიდოდა ერთი დღე და თურმე უკვე მილანელი ვიყავი და ა.შ. ამიტომაც ძალიან მიხარია, რომ ჩემმა მწვრთნელმა პეტრ რადამ მასწავლა, თუ როგორ უნდა იყოს ფეხბურთელი გაწონასწორებული.

**- ფოტორეპორტიორებს ნება დართეთ, რომ თქვენთვის სამ ლამაზ გოგონასთან ერთად ფოტოები გადაეღოთ...**

- სამივეს სხვადასხვა ცნობილი ევროპული კლუბის ფორმა ეცვა. ჟურნალისტებს ამით იმის ხაზგასმა სურდათ, რომ ჩემი ხელში ჩაგდება არაერთ ევროპულ გრანდს სურდა. წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, რადგან ეს იდეა ძალიან მომეწონა.

**- ვინ არის თქვენი ოცების ქალი?**

- ყველაზე მეტად ჩეხი სუპერმოდელი პეტრა ნემცოვა მომწონს.

**- რაზე ბრაზდებით ხოლმე?**

- როცა სახლი დაულაგებელია.

**- და როდის ხართ ბედნიერი?**

- როცა "აინტრახტი" ჩემი გოლებით იგებს. ანუ, მას მერე, რაც გერმანიაში ჩამოვედი, ბედნიერი ვარ...

**- თუ ასე გააგრძელებთ, "აინტრახტში" არავინ დაგტოვებთ...**

- ჩემს კონტრაქტს ვადა 2012 წლის ივლისამდე აქვს. მინდა, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე აქ დავრჩე და "აინტრახტი" გრანდად ვაქციო.

**გოტფრიდ ლენცი**

### საინტერესო სტატისტიკა

ჩეხი ფეხბურთელები გერმანიაში

*1991 წლიდან ბუნდესლიგაში სულ 16 ჩეხი (1992 წლამდე ჩეხოსლოვაკი) თავდამსხმელი გადავიდა და მხოლოდ ორმა მათგანმა ვერ მოახერხა გოლის გატანა.*

| ფეხბურთელი | გუნდი | პერიოდი | თ | გ |
|---|---|---|---|---|
| იან კოლერი | დორტ./ნიურნ. | 2001-დან | 140 | 60 |
| პაველ კუკა | კაიზ/ნიურნ/შტუტ | 1994-2000 | 144 | 50 |
| ვრატისლავ ლოკვენცი | კაიზერი/ბოხუმი | 2000-2005 | 148 | 46 |
| ირჟი შტაინერი | ჰანოვერი | 2002-დან | 148 | 22 |
| ვაცლავ სვერკოში | გლადბახი/ჰერტა | 2003-2006 | 86 | 17 |
| გიუნტერ ბიტენგელი * | ლევერ/იურდინგ. | 1992-1996 | 72 | 8 |
| პეტრ რუმანი | მაინცი | 2005-2007 | 41 | 6 |
| მარეკ ჰაინცი | ჰამბ/არმი/გლად. | 2000-2006 | 89 | 6 |
| ივო კნოფლიჩეკი | ზტ. პაული/ბოხუმ. | 1990-1992 | 37 | 5 |
| მარტინ ფენინი | აინტრახტი | იანვრიდან | 2 | 4 |
| რომან სედლაჩეკი | ჰანზა | 1991-92 | 24 | 4 |
| ირჟი კაუფმანი | ჰანოვერი | 2002-2005 | 25 | 4 |
| რობერტ ვაგნერი | კოტბუსი | 2002-2003 | 20 | 2 |
| მიხალ პაპადოპულოსი | ლევერკ/კოტბუსი | 2006-დან | 21 | 2 |
| იოზეფ ობაიდინი | აინტრახტი | 1995 | 3 | 0 |
| ჰორსტ სიგლი | კაიზერსლაუტერნი | 1996 | 13 | 0 |

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის ახსოვს 2003 წელი

## მანჩესტერის დამრიგებელმა, არსენალის ხუთქულიანი უპირატესობა არაფერს ნიშნავსო...

ინგლისის ჩემპიონატის დასრულებამდე 12 ტურით ადრე "არსენალმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" 5 ქულით გაუსწრო. **სერ ალექს ფერგიუსონი** პანიკის საფუძველს ვერ ხედავს. მას მიაჩნია, რომ "ეშმაკებს" ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავთ. ფერგის ისტორიული გამოცდილება უმაგრებს ზურგს. 2003 წელს, დაახლოებით ამავე პერიოდში, "მეთოფეები" ჩემპიონატს ხუთქულიანი უპირატესობით ლიდერობდნენ, მაგრამ ტიტული "იუნაიტედს" დარჩა. სერ ალექსი: *"არსენალს" ჩინებული უქმეები ჰქონდა. ჩვენ და "ჩელსიმ" ქულები დავკარგეთ. მაგრამ ამისგან არავინაა დაზღვეული. 12 მატჩი მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისია. ჩემპიონატი დღითიდღე საინტერესო ხდება. დაძაბული თამაშები გველოდება. ფანები და ნეიტრალური მაყურებელი გულგრილი ვერ დარჩებიან. "მანჩესტერმა" კარგად იცის, რა ამოცანა აქვს გადასაჭრელი. "არსენალს" ერთი გასვლითი მატჩი ჩვენთან აქვს და ერთი - "ჩელსისთან".* ფერგის არც ის მატჩი დავიწყნია, რომელიც მის გუნდს "სტემფორდ ბრიჯზე" ელის. "მენიუ" "არსენალსა" და "ჩელსის", აპრილის შუა რიცხვებში, ორი კვირის განმავლობაში შეხვდება.

"მანჩესტერზე" საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. "ეშმაკებმა" "პორტუსთან" მოლაპარაკებები გააჩაღეს. ინგლისურ გრანდს მარჯვენა მცველის, **ჟოზე ბოსინგვას** შეძენა სურს. ბოსინგვა 25 წლისაა. კონტრაქტის თანახმად, ის 25 მილიონი ევრო ღირს. "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მას **გარი ნევილის** შემცვლელად მოიაზრებს. ნევილს მძიმე ტრავმა აქვს. მას მიმდინარე სეზონში საერთოდ არ უთამაშია. ბოსინგვას საუკეთესო რეკომენდაციას უწევენ ფეხბურთელის თანამემამულეები, "მანჩესტერის" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კეიროში** და **კრისტიანო რონალდო**.



სერ ალექს ფერგიუსონი

და, ბოლოს, ერთი სანქციის შესახებ. სერ ალექსმა რონალდო 8 ათასი გირვანქით დააჯარიმა. "მანჩესტერ ივნინგ ნიუსის" ცნობით, ორშაბათის ვარჯიშისას, უფრო სწორად, შესვენებაზე, ფეხბურთელმა მობილური ტელეფონი ჩართო და ოთხი მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნა. უცნობია, ვის ესაუბრებოდა პორტუგალიელი ვარსკვლავი. ფერგიმ დაადგინა, რომ ის მავანს ოთხჯერ შეეხმიანა და თითო შეტყობინებისთვის 2 ათასი გირვანქის გადახდა დააკისრა. მიზეზი ქერინგტონის საწვრთნელ ბაზაზე შემოღებული ახალი, გამკაცრებული წესებია. ვარჯიშის დასრულებამდე ფეხბურთელებს მობილური ტელეფონების არათუ ხმარება, ჩართვაც კი ეკრძალებათ.

სტატისტიკა

# ყველაზე სწრაფები პრემიერლიგაში

## კრისტიანო რონალდო აქაც პირველია

"დეილი მეილმა" საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა. პოპულარულმა გამოცემამ პრემიერლიგის ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების ათეული გაგვაცნო. მასში რამდენიმე მოულოდნელი შედეგია დაფიქსირებული. სისწრაფით განთქმული **აარონ ლენონი** და **შონ რაიტ-ფილიპსი** სამეულშიც კი ვერ მოხვდნენ. მათ "სანდერლენდის" აყლაყუდა თავდამსხმელმა, **კენვინ ჯოუნსმა** აჯობა. მაგრამ არც ჯოუნსია საუკეთესო. ის მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. პირველობა არავის დაუთმო "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა **კრისტიანო რონალდომ**. ერთ-ერთი მატჩისას დააფიქსირეს, რომ ის ბურთის დასაუფლებლად საათში 20 მილის სიჩქარით მირბოდა. გასაკვირია, მაგრამ კრისტიანომ დრიბლინგისას უკეთესი შედეგი აჩვენა. ის ბურთიანად საათში 0.1 მილით უფრო სწრაფად გაიქცა. დასასრულს პრემიერლიგის ათი საუკეთესო სპრინტერის ათეული. გეტყვით, რომ გამოკვლევა კომპანია "ნაიკმა" დაუკვეთა, სამუშაო კი "ოპტა სპორტსდატამ" შეასრულა. ცხრილში ფეხბურთელის გვარის გასწვრივ მითითებულია ბურთით და უბურთოდ მოძრაობის სისწრაფე:



კრისტიანო რონალდო

| ფეხბურთელი | სისწრაფე |
|---|---|
| 1. კრისტიანო რონალდო (მანჩ. იუნ.) | 20.9-20.8 |
| 2. ენდრიუ ჯონსონი (ევერტონი) | 20.6-20.7 |
| 3. ფერნანდო ტორესი (ლივერპული) | 20.5-20.6 |
| 4. კენვინ ჯოუნსი (სანდერლენდი) | 20.7-20.2 |
| 5. ეშლი იანგი (ასტონ ვილა) | 20.4-20.3 |
| 6. აარონ ლენონი (ტოტენჰემი) | 20.6-19.6 |
| 7. კამერონ ჯერომი (ბირმინგემი) | 20.3-20.1 |
| 8. შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი) | 18.9-21.2 |
| 9. ჯერმეინ დეფო (პორტსმუთი) | 20.4-19.2 |
| 10. დევიდ ბენტლი (ბლეკბერნი) | 20.0-19.8 |



თეო უოლკოტი

ინგლისური სააგენტოების ცნობით, "ლივერპული" "არსენალის" ახალგაზრდა თავდამსხმელებით, **თეო უოლკოტითა** და **ნიკლას ბენდტნერით** დაინტერესდა. მას ამ ფეხბურთელების შეძენა 25 მილიონი გირვანქა დაუჯდება. მერსისაიდელებს ექვსი თავდამსხმელი ჰყავთ, მაგრამ სეზონის ბოლოს ორი მათგანის გაშვებას აპირებენ. მიმომხილველთა ვარაუდით, ეს ორი ფეხბურთელი **ანდრეი ვორონინი** და **პიტერ კრაუჩი** იქნება.

სპეკულაციები

# უოლკოტი და ბენდტნერი 25 მილიონად?

## არსენალის ახალგაზრდა ვარსკვლავებს ლივერპულმა დაადგა თვალიო

უოლკოტით მერსისაიდელების დაინტერესების თაობაზე ინფორმაცია "თაიმსმა" გაავრცელა. მასში ვკითხულობთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების მინიმალური შანსი აქვს. გასული წლის მიწურულს **არსენ ვენგერმა** დაუფარავად განაცხადა, უოლკოტისგან უფრო დიდ პროგრესს ველოდიო. ფეხბურთელი 15 მილიონი გირვანქა ღირს. მან, შეიძლება, "ენფილდ როუდს" მიაშუროს.

რაც შეეხება ბენდტნერს, იმავე გაზეთის ცნობით, სეზონის ბოლოს ფეხბურთელს გაყიდიან, ან იჯარით გაუშვებენ. დანიელი თავდამსხმელი "არსენალში" 2005 წლის ზაფხულში გადავიდა. მან შარშანდელი სეზონი "ბირმინგემ სიტიში" გაატარა. ის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამიტომ მისი ისევ იჯარით გაშვება, ან სულაც გაყიდვა არ უნდა გავიკვირვოთ. ბენდტნერს ლონდონური კონტრაქტი სამწლინახევრის შემდეგ ეწურება. სპეკულაციებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"არსენალის" თემას კიდევ ერთი შესაძლო ტრანსფერით გავაგრძელებთ. "ფიფლი" ვარაუდობს, რომ "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს, **ქარიმ ბენზემას** "მეთოფეები" შეიძენენ. 20 წლის თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედი", "რეალი" და "ჩელსი" ეპატიჟებიან. "იუნაიტედი" ლიონელებს, ფულის გარდა, **ლუის საას** სთავაზობს. "არისტოკრატებს" ამ ბიჭით **დიდიე დროგბას** შეცვლა სურდათ, მაგრამ იანვრის ტრანსფერებისას **ნიკოლა ანელკა** შეიძინეს. ბენზემა 20 მილიონი გირვანქა ღირს. "ლიონის" ხელმძღვანელობა ფეხბურთელის გაყიდვაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

### ინტერს ხიმენესი გამოაკლდა

გასულ უქმეებზე "ინტერმა" "კატანიას" ორი უპასუხო გოლით მოუგო. მაგრამ ეს გამარჯვება ჩილელი ნახევარმცველის, **ლუის ხიმენესის** ტრავმის ფასად დაუჯდა. 23 წლის ფეხბურთელს მომავალ ტურში "სამპდორიასთან" მატჩი გაუცდება. უფრო მეტიც, მან შეიძლება "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ ითამაშოს. ხიმენესს ბარძაყის ტრავმამ შეახსენა თავი. **რობერტო მანჩინი**, ფაქტობრივად, შემტევი ნახევარმცველების გარეშე დარჩა. მოგეხსენებათ, **ლუიშ ფიგუ** და **დეიან სტანკოვიჩიც** დაშავებულები არიან. ხიმენესი ინტერში გასულ ზაფხულს, ლაციოდან გადავიდა. ის შთამბეჭდავ სეზონს ატარებს. როგორც ამბობენ, პრეზიდენტ **მასიმო მორატის** ურუგვაელი **ალვარო რეკობა** აღარ ახსოვს და მისი ახალი ფავორიტი ჩილელი ლეგიონერია.

### რა დააშავა რობინსონმა...

"ტოტენჰემის" თინეიჯერმა ფეხბურთელმა **ტომაშ პეკჰარტმა** ჩეხ ჟურნალისტებს აუწყა, თუ რატომ აღარ თამაშობს **პოლ რობინსონი**. 18 წლის თავდამსხმელის აზრით, მიზეზი 9 იანვარს, "არსენალთან" ლიგის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის წინ მომხდარი ინციდენტია. **ხუანდე რამოსმა** ფეხბურთელები მოთელვაზე გაიყვანა. რობინსონმა იცოდა, რომ ძირითად შემადგენლობაში არ ითამაშებდა. ამიტომ ვარჯიშზე უარი განაცხადა. რამოსი დისციპლინას დიდ ყურადღებას აქცევს. მან რობინსონის თვითნებობა უყურადღებოდ ვერ დატოვა. იმ დღიდან მოყოლებული, ინგლისის ნაკრების მეკარეს "მამლების" შემადგენლობაში ერთხელაც აღარ უთამაშია. კარს ჩეხი გოლკიპერი, **რადეკ ჩერნი** იცავს და საკმაოდ წარმატებითაც. ესპანელი მწვრთნელი რობინსონის შესაძლებლობებზე დიდი წარმოდგენისა არც ამ ინციდენტამდე იყო. მაგრამ მომხდარმა მას საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა. მეკარე სეზონის დასრულებისთანავე გამოეთხოვება კლუბს. მის გაყიდვას იანვრის ტრანსფერების დროსაც ცდილობდნენ, მაგრამ პოლით არავინ დაინტერესებულა.

### მილანმა ფერარი დაადასტურა

"მილანმა" დაადასტურა ინფორმაცია, **მატეო ფერარით** დაინტერესების შესახებ. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. 28 წლის ცენტრალური მცველი რომაელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. "როსონერიმ" შანსი ხელიდან არ გაუშვა და დედაქალაქელებს შეეხმიანა. მილანში გადასვლის შემთხვევაში, ფერარის წლიურად 2.2 მილიონ ევროს გადაუხდიან. რომში ის 1.4 მილიონს იღებს. აქვე გეტყვით, რომ მილანელთა ფრანგი ნახევარმცველი **იოან გურკუფი** სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. სპეკულაციების თანახმად, მას "პარი სენ ჟერმენი" და "მონაკო" ეპატიჟებიან. განიხილება ფეხბურთელის ერთწლიანი იჯარით გაშვების ვარიანტი. გურკუფი მილანში 2006 წლის ზაფხულში ჩაირიცხა და მას შემდეგ, იტალიის ჩემპიონატის 26 მატჩში მხოლოდ 2 გოლი შეაგდო.

### იორკი ავსტრალიაში დაბრუნდება, თუ...

**დუაიტ იორკს** "სანდერლენდთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ფეხბურთელისთვის ხელშეკრულების გაგრძელება ჯერ არ შეუთავაზებიათ. თუ გუნდიდან გაუშვებენ, ის შეიძლება, ავსტრალიაში დაბრუნდეს. 2005-06 წლების სეზონში იორკი "სიდნი იუნაიტედში" ასპარეზობდა და ავსტრალიის ჩემპიონი გახდა. 2006 წლის ზაფხულში მას ძველი მეგობარი, **როი კინი** შეეხმიანა და ორწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა. იორკი სიამოვნებით დათანხმდა. ის გუნდს პრემიერლიგის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა. კინმა 36 წლის ვარსკვლავს პოზიციაც კი შეუცვალა. ის თავდასხმიდან ნახევარდაცვაში გადაიყვანეს. დუაიტი ამ პოზიციაზე პირველ დივიზიონში საუკეთესო იყო. იორკმა, ეს-ესაა, ტრავმა მოიშუშა და გასულ უქმეებზე, "სანდერლენდის" სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში 80 წუთი ითამაშა. მომდევნო ტურში კინის შეგირდები სტუმრად "პორტსმუთს" შეხვდებიან. იორკს სავარაუდოდ, განაცხადში შეიყვანენ.

### კანუ: პორტსმუთიდან ავსტრალიაში

"პორტსმუთის" თავდამსხმელი **ნვანკვო კანუ**, შეიძლება, ავსტრალიაში წავიდეს. ნიგერიელ ლეგიონერს "გოულდ ქოსტ გალაქსი" ეპატიჟება. ეს ახლად შექმნილი კლუბია. როგორც ამბობენ, მას მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს დევიდ ბექჰემის "ლოს ანჯელეს გალაქსისთან". გოულდ ქოსტის გუნდი დღე-დღეზე ლიცენზიას მოიპოვებს და ქვეყნის პროფესიული საფეხბურთო ლიგის, A-ლიგის გათამაშებაში ჩაებმება. კანუ მათი პირველი ვარსკვლავური შენაძენი იქნება. ისინი ევროპიდან სხვა ვეტერანი ფეხბურთელების გადაბირებასაც აპირებენ. გასულ ზაფხულს "პორტსმუთმა" კანუს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება, თუ ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში 20 მატჩს ჩაატარებს. კანუს ანგარიშზე უკვე 18 შეხვედრაა, მაგრამ მან მხოლოდ ცხრაჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში.

რეალი

# მეხუთე ჰოლანდიელი სამეფო კლუბში

## მადრიდელებმა ამსტერდამელ ჰეიტინგას დაადგეს თვალი, დიარა ინტერს ან ლივერპულს დარჩებაო...

ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალი" "აიაქსის" უნივერსალური ნახევარმცველით, **ჯონ ჰეიტინგათი** დაინტერესდა. გასულ ზაფხულამდე, სამეფო კლუბის ისტორია მხოლოდ სამ ჰოლანდიელ ლეგიონერს იცნობდა. მარტო გასულ ზაფხულს ესპანურმა გრანდმა ამდენივე ჰოლანდიელი (სნეიდერი, დრენტე და რობენი) იყიდა. ჰეიტინგა, შეიძლება, მორიგი შენაძენი აღმოჩნდეს. 24 წლის ფეხბურთელს რეკომენდაცია ვესლი სნეიდერმა გაუწია. ჰეიტინგას "აიაქსთან" კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება. მას მეორე მადრიდული კლუბი, "ატლეტიკოც" უთვალთვალებს.

ამასობაში, "რეალის" ნახევარმცველ **მაჰამადუ დიარათი** "ინტერი" დაინტერესდა. "ტუტოსპორტის" ცნობით, მილანელთა სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** ფეხბურთელის აგენტს შეეხმიანა და გარიგება შესთავაზა. იტალიელები ტრანსფერს სეზონის ბოლოს გეგმავენ. სამეფო კლუბმა დიარა 2006 წლის ზაფხულში შეიძინა. "ლიონს" 26 მილიონი ევრო გადაუხადეს. ფაბიო კაპელო "რეალს" ორი საყრდენი ნახევარმცველით ათამაშებდა. მაჰამადუ გამუდმებით ძირითად შემადგენლობაში იყო. რამდენიმე უსახური თამაშის შემდეგ მან სკამზე გადაინაცვლა. გასულ ზაფხულს ინტენსიურად საუბრობდნენ ფეხბურთელის "მილანში" ტრანსფერის შესახებ.



ჯონი ჰეიტინგა

"ტუტოსპორტი" წერს, რომ "ინტერს" მაჰამადუ **პატრიკ ვიეირას** შემცვლელად სჭირდება. "ნერაძური" 10 მილიონ ევროს ამზადებს. მადრიდელებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, "რეალს" დიარას ადგილზე **ფერნანდო გაგო** ჰყავს. ამიტომ "ინტერის" შეთავაზებას სიამოვნებით განიხილავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# შეუმდგარი განგსტერი

## ...რომელიც ღმერთმა შექმნა და ცხოვრებასა თუ ფეხბურთშიც სასწავლი კიდევ ბევრი აქვს...

**"ის მობილურია, ძლიერი, სწრაფი და მამაცი. დღეს ის პრემიერლიგის საუკეთესო თავდამსხმელია," - დაუფიქრებლად აცხადებს არსენ ვენგერი და სულაც არ ეუხერხულება, რომ მისივე შეგირდზე ლაპარაკობს. თუმცა მორიდება შორს უნდა დაიჭირო და სიმართლე თქვა, როდესაც ლაპარაკობ თავდამსხმელზე, რომელიც უკვე 9 თამაშია, უგოლოდ მოედანს არ ტოვებს და ორ ნაბიჯშია ლეგენდარული იან რაიტის საკლუბო რეკორდთან. ამ უკანასკნელმა „არსენალის" მაისურით ზედიზედ 12 თამაშში გაიტანა.**

2006 წლის 12 მარტი. "არსენალი"-"ლივერპული". მატჩს ესწრება ტოგოს ნაკრების ახლადდანიშნული გერმანელი თავკაცი **ოტო პფისტერი**, რომელსაც შეგირდის თამაშის ნახვა სურს. "მეთოფეებმა" მატჩი **ტიერი ანრის** დუბლის წყალობით 2:1 მოიგეს. ტრიბუნებიდან ანრის საქებარი სიმღერები ისმოდა. თამაშის გმირი ჩადის "ჰაიბერის" გასახდელში, გზად ხვდება გერმანელ სტუმარს და ეუბნება: *"გავა რამდენიმე წელიწადი და ემანუელსაც უმღერებენ ასე"*. ფრანგი მართალი აღმოჩნდა. "არსენალის" ქომაგთა უსაყვარლესი ფეხბურთელი "კამპ ნოუზე" გადაბარგდა, მაგრამ ამით, ან უკვე, "ემირატსის" მკვიდრთ, არაფერი დაკლებიათ. გუნდი წლეულს ბევრად უფრო დამაჯერებლად თამაშობს და **ადებაიორიც** იმდენად კარგია, რომ გუნდს ანრის წასვლა თითქმის არ შემჩნევია. ახლა ტრიბუნაზე შემდეგი შეძახილი ისმის ხოლმე: *"ადებაიორ! ადებაიორ! მიეცით მას ბურთი და ადე გაიტანს"*. ამის გაგონებისას ტოგოელი ფეხბურთელი, ვისაც ვენგერმა "თავდამსხმელი-ოცნება" უწოდა, კიდევ უფრო მონდომებული ხდება.

**შეიი ემანუელ ადებაიორი** 26 თებერვალს 24 წლის ხდება. მან ბავშვობა ტოგოს დედაქალაქ ლომეს ყველაზე ღარიბულ რაიონში გაატარა. მისი მშობლები ნიგერიელები იყვნენ და სამშობლოდან სამოქალაქო ომის უბედურებას გამოექცნენ. ისინი მხოლოდ სპონტანურ სამუშაოს შოულობდნენ ხოლმე და აქედან გამომდინარე, მათ წინაშე ყოველდღიურად იდგა პრობლემა, თუ რითი გამოეკვებათ 6 შვილი. *"ჩვენ ძალიან ხშირად დილას, შუადღეზე და საღამოს კარტოფილის პიურე გვქონდა საჭმელად* - იხსენებს ადებაიორი - *მაგრამ არ ვწუწუნებ, ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდით"*. სხვათა შორის, ფეხბურთელის სახელი შეიი (სრული ფორმა Olou A Sheyi) ნიგერიული სახელია და თარგმანში ნიშნავს "ის შექმნა ღმერთმა".

11 წლის ასაკში მას წილად ხვდა ბედნიერება, რომ დედაქალაქში მოქმედ ერთ-ერთ პროფესიულ საფეხბურთო სკოლაში ევლო, თუმცა სიტყვა პროფესიული ცოტა გადაჭარბებულია, რადგან ბავშვები ფეხბურთს ქვიშაში საკუთარ ნებაზე თამაშობდნენ, ოღონდ ეგ იყო, რომ მათ თავზე ზედამხედველი (მასწავლებელი) ადგა. *"ჩემი მასწავლებლები არ იყვნენ სრულყოფილი პედაგოგები, მაგრამ მე მათი მაინც მადლობელი ვარ. მათ ხელში რომ არ მოვხვედრილიყავი, ალბათ ჩემი ბავშვობისდროინდელი მეგობრების მსგავსად, განგსტერი გავხდებოდი. მე ბედის რჩეული აღმოვჩნდი,"* - ამბობს ფეხბურთელი. მას ლომეში დღეს საკუთარი საფეხბურთო კლუბი ჰყავს, "მერლანი", სადაც ყველანაირ ხარჯს თავად სწევს, ფეხბურთელების ხელფასების ჩათვლით და რამდენჯერაც კი მოახერხებს ხოლმე სამშობლოში ჩასვლას, აუცილებლად გამონახავს დროს, რათა მერლანელებთან ერთად ბურთი გააგოროს.

ევროპაში ადებაიორი 15 წლის ასაკში გადმობარგდა. მან შვედეთის ტურნირზე ტოგოს იუნიორთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა. ემანუელი "მეცის" სპორტულმა დირექტორმა **ფრანსუა დი ტადეომ** შენიშნა. მოსიე დი ტადეომ ფეხბურთელი და მისი ოჯახი დაარწმუნა, რომ ჯობდა, საცხოვრებლად საფრანგეთში გადასულიყო და მისი გუნდის აკადემიაში ესწავლა. *"15 წლის ასაკში გადაწყვეტილების მიღება, რომ დამეტოვებინა ოჯახი და საცხოვრებლად სხვაგან წავსულიყავი, ძალიან ძნელი იყო. ფრანსუამ მოახერხა და დამარწმუნა, რომ მე მქონდა შანსი, მეთამაშა დიდი ფეხბურთი. მან უამრავი სხვა კეთილი რჩევაც მომცა,"* - ამბობს ადებაიორი, ვინც 4 წელიწადი გაატარა "მეცში". მან აქვე მოიპოვა პირველი აღიარება - 2003 წელს, 19 წლის ფეხბურთელი საფრანგეთის მეორე დივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, რის შემდეგაც გზა გაეხსნა ამბიციური "მონაკოსკენ". ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის **დადო პრშოსა და ფერნანდო მორიენტესის** გვერდით თამაში დიდი სკოლა აღმოჩნდა, თუმცა ის ძირითადად შეცვლებზე შედიოდა, რაც სულაც არ უშლიდა ხელს, რომ გოლები რეგულარულად გაეტანა. 2004 წელს, ადებაიორის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და იქ "პორტუსთან" დამარცხდა. ბოლოს დადგა ის დღეც, როცა ფეხბურთელმა ამოწურა შესაძლებლობები "მონაკოშიც" და მას ასპარეზად მეტი სარბიელი სჭირდებოდა.

2006 წლის იანვარში "არსენალმა" ის 7 მილიონ გირვანქად შეიძინა. მან 25-ნომრიანი მაისურა აირჩია **ნვანკვო კანუს** სპატივცემულოდ, სწორედ იმ ფეხბურთელის, ვისი პოსტერებითაც მას ოთახი ჰქონდა აჭრელებული. ჰო, ემანუელი ნაკრებში 4 ნომრით ასპარეზობს, რადგან ნაკრებში ნიგერიელსაც 4-ნომერი ეცვა. "არსენალის" ყოფილი ფორვარდის ასეთი სიყვარულის გამო ლონდონში მას "პატარა კანუ" უწოდეს. თავად ფეხბურთელი ასეთი შედარებების წინააღმდეგია: *"მე ადებაიორი ვარ. არ მიყვარს, როცა კანუს, დროგბას და თუნდაც ინძაგის მადარებენ. მე სხვა ვარ და ჯერ სასწავლი ძალიან ბევრი მაქვს"*. ვენგერი ამ ორ აფრიკელს საკუთარი ხუთი თითივით იცნობს. მისი აზრით, ეს ფეხბურთელები ერთმანეთს სათამაშო სტილით ჰგვანან, მაგრამ ადებაიორი უფრო სწრაფია და გოლიც მეტი გააქვს.

2005 წლის შემოდგომაზე ემანუელის დახმარებით, ტოგოს ნაკრები პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. გუნდის ლიდერმა 13 თამაშში 11 გოლი გაიტანა და რატომღაც უმალ დაივიწყა მისი დიდი მეგობრის ფრანსუა დი ტადეოს დარიგება, რომ დარჩენილიყო იმად, რაც იყო და გულმოდგინედ ევარჯიშა. ფეხბურთელმა დაიწყო საქმის მიფუჩეჩება, სხვების დასანახად ვარჯიში და არა იმისთვის, რომ კარგ ფორმაში ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან არ მოეწონა ტოგოელთა თავკაც **პატრიკ კეშის** და აფრიკის თასის მატჩში ის ძირითადს მიღმა დატოვა. ამან ემანუელი აღაშფოთა და უცენზურო გამოთქმებით მწვრთნელთან და ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობები უკიდურესობამდე დაძაბა. მხარეებმა მალე ყველაფერი დაივიწყეს და გერმანიის მუნდიალისთვის მზადება დაიწყეს. თუმცა ის ერთ-ერთი პირველი იყო იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც უარი თქვეს შვედეთთან მატჩში მოედანზე გასვლაზე. მიზეზი პროზაული გახლდათ: ფედერაციას მათთვის შეპირებული 110 ათასი გირვანქა არ ჰქონდა გადახდილი. ჩემპიონატის შემდეგ მან მიიღო მუქარის წერილი, რომლის თანახმადაც მის ოჯახს სერიოზული პრობლემები ექნებოდა, თუკი ის ნაკრებში თამაშს არ განაახლებდა. *"მე არ მჭირდება ფული. დამიჯერეთ, ჩემი მოთხოვნა იმით იყო განპირობებული, რომ ტოგოურ ფეხბურთს დავხმარებოდი და ნაკრების მოთამაშეებისთვის მხარდაჭერა გამომეცხადებინა,"* - განაცხადა ამის შემდეგ ფეხბურთელმა. ერთი სიტყვით, ის ადვილად შედის კონფლიქტურ სიტუაციებში, საიდანაც გამოძვრომა ბოდიშის მოხდით უწევს.

ვენგერის თქმით, ტოგოელს გასახდელში სიხალისე შეაქვს, მაგრამ მოედანზე დაუნდობელია. ის არ ზოგავს არც საკუთარ თავს, არც მეტოქეს და არც თანაგუნდელებს. ამის მაგალითი იყო ლიგის თასის ნახევარფინალური მატჩი "არსენალსა" და "ტოტენჰემს" შორის, როდესაც მასა და დანიელ **ნიკლას ბენდტნერს** შორის გახმაურებული კონფლიქტი მოხდა: "მამლებმა" "მეთოფეების" ციხესიმაგრე მიწასთან გაასწორეს, 5:1. ადებაიორი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო. "სანის" ცნობით, ემანუელმა მინდორზე გასვლისთანავე ბენდტნერს მიაძახა: *"დღეს მაგარი ქაქი რომ ხარ, მაგიტომაც გამომიშვეს მოედანზე"*. დანიელმა ყურადღება არ მიაქცია, თუმცა იმით გაღიზიანებულმა, რომ ნიკლასს გოლი საკუთარ კარში ჰქონდა გატანილი, აფრიკელმა ფიზიკურ აგრესიაზე გადასვლა სცადა. საქმეში მატჩის არბიტრი ჩაერია და მოჩხუბრები გააშველა. ამ გაუგებრობას შედეგად ის მოჰყვა, რომ აფრიკელმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

ფეხბურთელი ადვილად ფეთქდება მოედანს მიღმაც. 2006 წლის დეკემბერში, დასავლეთი ლონდონის პრესტიჟულ რაიონში მას სახლში პოლიცია ეწვია. მეზობლების განცხადებით, ადებაიორის სახლიდან ხმაური გამოდიოდა. სახლის კარი სამართალდამცავებს ემანუელის მეგობარმა ქალმა გაუღო. მას სახეზე, მართალია, ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ თვალი სასტიკად ჰქონდა ჩალურჯებული. ფეხბურთელი უმალ დააკავეს, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლეს, რადგან დაზარალებულმა უარი თქვა პოლიციაში განცხადების შეტანაზე. ემანუელმა განაცხადა, რომ მის სამშობლოში მიღებული არაა, როდესაც ქალი მამაკაცს ჭკუას ასწავლის(?!). როგორც ჩანს, მასში განგსტერი ბოლომდე არ მომკვდარა.

*"მინდა, ოდესმე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე. მაგრამ ცხოვრების უმთავრესი ამოცანა ნამდვილად შევასრულე. ბევრს არ აქვს იმის ბედნიერება, რომ მისი ოჯახის ყველა წევრი ღირსეული მომავლით უზრუნველყოს. მე კი ეს ნამდვილად შევძელი,"* - აცხადებს ემანუელი. აი, ასეთია „არსენალის" არაორდინალური თავდამსხმელის ოცნება.


ემანუელ ადებაიორი


დიტმარ ჰამანი

მანჩესტერ სიტი

# ჰამანი 2009 წლამდე

## სვენი ახალ კონტრაქტს კაპიტანსაც შესთავაზებს

**დიტმარ ჰამანმა** "მანჩესტერ სიტისთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის კლუბში 2009 წლის ივნისამდე დარჩება და კარიერასაც, როგორც ჩანს, მანჩესტერში დაასრულებს. გერმანელი ნახევარმცველი ინგლისში მეათე წელია, მოღვაწეობს. 1998 წელს ის მიუნხენის "ბაიერნიდან" "ნიუკასლში" გადავიდა. 1999 წელს ჰამანმა "ლივერპულს" მიაშურა. მან მერსისაიდში შვიდი წელი გაატარა და 283 მატჩში 11 გოლი შეაგდო. 2006 წელს, თავისუფალი აგენტის სტატუსით, დიტმარმა "ბოლტონთან" გააფორმა კონტრაქტი. სანამ ამ კლუბში თამაშს მოასწრებდა, "მანჩესტერ სიტისაგან" უფრო სარფიანი წინადადება მიიღო. "ბოლტონი" მის გაყიდვას დათანხმდა. "სიტიმ" გარიგებაში 400 ათასი გირვანქა გადაიხადა. ჰამანს მანჩესტერში სადებიუტო სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა. მას განუწყვეტელი ტრავმები ჰქონდა. წელს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. **სვენ გორან ერიქსონმა** 34 წლის ვეტერანს ნდობა გამოუცხადა. გასულ უქმეებზე გამართული მანჩესტერული დერბი ჰამანისათვის მიმდინარე სეზონში 28-ე მატჩი იყო (მარშან მან მთელი სეზონის განმავლობაში 19-ჯერ ითამაშა). დიტმარს "სიტის" მაისურით ერთი გოლიც არ გაუტანია. სხვათა შორის, გასულ სეზონში, "ბოლტონთან" მატჩისას, მან ანგარიში გახსნა, მაგრამ გოლი მეტოქის მცველს ჩაუთვალეს. ჰამანი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია: მის ანგარიშზეა უეფას 2 თასი (1996, "ბაიერნი", 2001, "ლივერპული"), ჩემპიონთა ლიგა (2005, "ლივერპული") ხოლო 2002 წელს მან მუნდიალის ფინალში ითამაშა (გერმანიის ნაკრებში 59 მატჩი, 5 გოლი).

ზაფხულის ტრანსფერებისას "მანჩესტერ სიტი", შეიძლება, თავის კაპიტანს, **რიჩარდ დანს** გამოეთხოვოს. დაინტერესებულ კლუბს მისი შეძენა სულ რაღაც 1.5 მილიონი გირვანქა დაუჯდება. სეზონის ბოლოს 28 წლის დანს კონტრაქტში ორი წელი ექნება დარჩენილი. სატრანსფერო კანონმდებლობით, თუ ის კლუბს ორი წლის ხელფასს გადაუხდის, თავისუფალი აგენტი გახდება. დანს წლიურად 750 ათას გირვანქას უხდიან. თუ მას სხვა სამსახურში უკეთეს პირობებს შესთავაზებენ, "სიტი" ტრანსფერს ხელს ვერ შეუშლის. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მანჩესტერელებს არ სურთ, საქმე აქამდე მივიდეს. ისინი საუკეთესო ფეხბურთელებს ხელშეკრულებებს უგრძელებენ. ამ მოთამაშეების სიაშია დანიც. ერიქსონს ის გუნდის საკვანძო ფიგურად მიაჩნია.

აქვე გეტყვით, რომ "მანჩესტერ სიტი" "პანათინაიკოსის" ბრაზილიელი ნახევარმცველით, **მარსელო მატოსათი** დაინტერესდა. ის 24 წლისაა. ნუხელ მატოსას "რეინჯერსთან" უეფას თასზე უნდა ეთამაშა, "სიტის" ემისრები ამ შეხვედრაზე დასწრებას აპირებდნენ. ფეხბურთელის ფასი უცნობია. მის ასპარეზობას "ტოტენჰემიც" გაფაციცებით ადევნებს თვალს. იმასაც შეგახსენებთ, რომ "მანჩესტერ სიტის" პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მეშვიდე ადგილი უკავია და მეოთხეადგილოსან "ევერტონს" სამი ქულით ჩამორჩება. მოგეხსენებათ, მეოთხე ადგილის დაკავება ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას ნიშნავს.

იტალიის ნაკრები

# სამი სქემა პირლოსთვის

## რატომ აღარ აკრიტიკებენ დონადონის?

იტალიელები პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვებით (3:1) აღფრთოვანებას ვერ მალავენ. თითქოს, ყველას დაავიწყდა, როგორ აკრიტიკებდნენ რობერტო დონადონის თუნდაც შოტლანდიაში გადამწყვეტი გამარჯვების დროს, ან საერთოდ იმის გამო, თუ რატომ გაუჭირდა "სკუადრა აძურას" ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა, აკრიტიკებდნენ ცალკეული არჩევნის გამოც და ასე შემდეგ. სხვათა შორის, დონადონის პრესისგან "მოხვდა" პორტუგალიასთან შეხვედრის წინაც, როცა არ გამოიძახა ალესანდრო დელ პიერო და ანტონიო კასანო, ფეხბურთელები, რომელთაც ნაკრების თამაშის გამრავალფეროვნება შეეძლოთ. ახლა მას აქებენ, რადგან აშკარად ფსონი დადო ანდრეა პირლოზე, როგორც კლასიკური ტიპის გამთამაშებელზე. ამასთან დაკავშირებით, ქვემოთ მოყვანილია "გაძეტა დელო სპორტის" ექსპერტების მიერ შემუშავებული 3 სავარაუდო ტაქტიკური სქემა, რომელსაც დონადონი ევროპის ჩემპიონატის დროს გამოიყენებს. ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, იქნება თუ არა იტალიის ნაკრების დღევანდელი დამრიგებელი თავის პოსტზე, როცა "აძურა" მუნდიალის შესარჩევ ციკლში ჩაებმება და საქართველოს ეროვნულ გუნდთანაც ექნება საქმე. ყოველ შემთხვევაში, ხსენებული სქემები ჩვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს...

### სქემა 1

ამ სქემის მიხედვით, **რობერტო დონადონის** შეუძლია, ცენტრში მილანური ტრიო დააყენოს, **ანდრეა პირლოს, ჯენარო გატუზოსა** და **მასიმო ამბროზინის** სახით. არაერთი წელია, ისინი გვერდიგვერდ თამაშობენ და ცხადია, ერთმანეთს უსიტყვოდაც უგებენ. ასე რომ, აქ პრობლემა არ არის. თუმცა ამ განლაგებით, გამთამაშებლის როლი ტვირთად მხოლოდ პირლოს აწვება, რადგან არც გატუზო და არც ამბროზინი ეგრეთ წოდებული კრეატიული ნიჭით არ არიან დაჯილდოებულნი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში **კარლო ანჩელოტიმ** მათი ტექნიკური დონე საგრძნობლად (და შეძლებისდაგვარად) აამაღლა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ "მილანის" ტრიო, საკლუბო მასშტაბით, ეფექტურია **კაკასა** და **კლარენს ზეედორფის** ფაქტორის გამო. ისინი მუდმივად ცვლიან ერთმანეთს რომბისებური განლაგების წვერში. მაგრამ დონადონის კაკასა და ზეედორფის სტილის (ან დონის) ფეხბურთელები არ ჰყავს. მისი ალტერნატივა **მაურო კამორანეზი** და **ანტონიო დი ნატალე** არიან. მოკლედ, ნახევარდაცვის სუფთა მილანურ ვარიანტს პლუსებიც აქვს და მინუსებიც.

### სქემა 2

შესაძლოა, დონადონიმ **პირლო** თავდამსხმელებთან ახლოს გადასწიოს. ასეთ შემთხვევაში, საყრდენი ზონის გასაძლიერებლად, **დანიელე დე როსის** გამოყენება შეიძლება. "რომას" ნახევარმცველს კარგი პასიც აქვს. პირლოს გვერდით კი **გატუზო** დადგება. ამ გეგმის მიხედვით, "რინომ" ფლეიმეიქერს ზურგი უნდა გაუმაგროს, ამავე დროს, პირველი დაცვითი ბარიერის როლიც შეასრულოს. აუცილებლობის შემთხვევაში, გატუზოს (ან **ამბროზინის**) შეუძლია, უკან დაიხიოს და დე როსისთან ერთად ძლიერი საყრდენი ტანდემიც შექმნას. თუ დააკვირდებით, ამგვარი სქემა უფრო მეტად შემტევია, ვიდრე პირველი. საგულისხმოა, რომ პორტუგალიასთან მატჩი იტალიელებმა სწორედ ამ განლაგებით დაიწყეს და წარმატებასაც მიაღწიეს.

### სქემა 3

ამ სქემის მიხედვით, **პირლო**, ერთ-ერთ თავის თანაკლუბელთან ერთად, სიღრმეში ბრუნდება, წინ კი **სიმონე პეროტა** დგება. ეს უკანასკნელი "რომაში" სწორედ ამ პოზიციაზე თამაშობს. ალბათ, ეს არის ყველაზე შემტევი გეგმა წინა ორთან შედარებით. თუმცა აქ აშკარა "ფანტაზისტა" (იმპროვიზატორი) არ ჩანს. ამავე დროს, ორი ფორვარდის ვარიანტი, ნახევარდაცვის რომბისებური განლაგება და სხვა ტაქტიკური მიგნებები არ განიხილება არა იდეის არარსებობის გამო, არამედ იმიტომ, რომ დონადონიმ მთელი საკვალიფიკაციო ეტაპი ფლეიმეიქერის გარეშე გაიარა. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მან ნაჩვევ სქემას უღალატოს. ეს მხოლოდ ფორს-მაჟორულ სიტუაციაშია მოსალოდნელი.

### კომენტარი

**პირლო** დიდი ხანია, ნაკრების ფლეიმეიქერად ითვლება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფლეიმეიქერი პოზიცია არ არის, ეს ფუნქციაა, გნებავთ, მოწოდებაც. რეალობა კი ისაა, რომ იტალიაში სულ უფრო იშვიათად აქვთ გასაქანი როგორც ამ ტიპის ფეხბურთელებს, ასევე ფუნქციას. მათ უკვე მოუძებნეს გასაღები. ფლეიმეიქერებთან მინიმუმ ერთი კაცი მაინცაა მინებებული და სივრცეს მაქსიმალურად უზღუდავენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის მომაკვდავი ფუნქცია. ვნახეთ მუნდიალი და გამოჩნდა, რომ **მარჩელო ლიპიმ** სათამაშო ღერძი სწორედ პირლოს გარშემო ააგო, და არა **ფრანჩესკო ტოტის** (თუნდაც მანამდე, ვიდრე ტოტი ტრავმას მიიღებდა).

და საერთოდ, რატომაც არა რომბი? "მილანი", ორი თავდამსხმელის პირობებში, სწორედ რომბისებურად თამაშობს, ფლეიმეიქერის ფუნქციებს კი ასრულებს პირლო და არა **კაკა**, რომელიც ფორმალურადაა თავდამსხმელების უკან. კაკა "ბოლო პასის" დიდოსტატია, ამიტომ, მისი მოქმედების არეალი ხშირად შეზღუდულია. ნაკრებში ამ როლის შესრულება **დი ნატალეს** შეუძლია, თუმც ცენტრში ის თავს ნაკლებკომფორტულად გრძნობს. მაგრამ ეს სქემა მუშაობს და **დონადონის**, ჯერჯერობით, არ აქვს საამისო მიზეზი, რომ რაღაც შეცვალოს.

არის სხვა ვარიანტიც. ნახეთ "რეჯინა"-"მილანის" მატჩი? **ანჩელოტიმ** ასეთი სქემა გამოიყენა: დაცვის წინ **ემერსონი** დადგა, პირლო წინ და ოდნავ მარცხნივ (ამას, იტალიელები ლეგენდარული **ჯუზეპე მეაცას** პოზიციას უწოდებენ), **გატუზო** კი წინ და ოდნავ მარჯვნივ. და ვერავინ იტყვის, რომ გატუზო ამ პოზიციაზე უსარგებლო იყო, პირიქით.

დონადონის შეუძლია, დი ნატალეს ადგილზე **ანტონიო კასანო** დააყენოს, მაგრამ ამ სქემის დასახვეწად დრო ცოტაა, ან საერთოდ არ არის. ესეც არ იყოს, "დონმა" კასანოს გასაგებად უთხრა - "ჯერ უნდა გაიზარდოო".

ეგრეთ წოდებული "სამკბილა" თავდასხმის (ორი ფორვარდი წინ და ბოლო პასის მიმცემი უკან) პირობებში, მთელი ეს სქემა **ლუკა ტონის** გარშემო შენდება. დამხმარე "დეტალებად", დონადონიმ, შეიძლება, გამოიყენოს **დელ პიერო, კამორანეზი, დი ნატალე, კვალიარელა** ან **იაკვინტა**. არ იქნება ტონი? არ იქნება "სამკბილაც", რადგან მისი პოტენციური შემცვლელი "დონს" უბრალოდ არ ჰყავს. **ბორიელო?** ის გამოუცდელია და საევროპოდ მასზე ფსონის დადება გაუმართლებელი იქნება, თუმც ბრწყინვალე სეზონს ატარებს. **იაკვინტა?** ის ხომ არასტაბილურია, საკუთარი ძალების რწმენაც აკლია. და **ამაური?** ბრაზილიელის მიმართ, იტალიაში, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად არიან განწყობილნი. თუმცა დონადონის შეიძლება სხვა აზრი ჰქონდეს...

ბოლოს, დავუბრუნდეთ ისევ პირლოსა და ფლეიმეიქერის როლს. თუ იტალიის ნაკრების საევროპო მეტოქეებს გადავხედავთ, ძნელად დასაჯერებელია, რომ "მილანის" გამთამაშებელს "აძურაშიც" ეცალოს ფლეიმეიქერობისთვის. საამისოდ, დონადონის სამი გატუზო მაინც სჭირდება. ზოგიერთი ანგარიშგასაწევი ექსპერტის აზრით, ყველაზე ეფექტური მეორე სქემაა, ოღონდ, პატარა კორექციით. შესაძლებელია, გატუზომ და დე როსიმ ადგილები გაცვალონ, დაცვაში კი **პანუჩი** უბრალოდ აუცილებელია...



ანდრეა პირლო

## გატუზო ითამაშებს, შეიძლება, პატოც...

### ანჩელოტიმ, რონალდოს ჰკითხეთო

"მილანი" "არსენალთან" ლონდონური დაპირისპირებისთვის ემზადება. **კარლო ანჩელოტის** მიზანია, "ემირიტსის" პირველი მერვედფინალისთვის საუკეთესო შემადგენლობას მოუყაროს თავი, მაგრამ მიზანი ერთია და შესაძლებლობა კი მეორე. ამავე დროს, მას საიმედო ამბებიც აქვს. ექიმები აცხადებენ, რომ **ჯენარო გატუზო** "არსენალთან" მატჩისთვის მზად იქნება. ანჩელოტი გახარებულია: *"რინო სწრაფად დგება ფეხზე, გამოჯანმრთელების პროცესი კარგი ტემპით მიდის და მას ერთი სული აქვს, როდის გავა მოედანზე. "არსენალთან" მატჩში ჩვენ მისი იმედიც გვექნება"*.

სათუოა **ალეშანდრე პატოს** საკითხი. ბრაზილიელი ვუნდერკინდი "ფიორენტინასთან" მატჩში დაშავდა და წინასწარი ვარაუდით, ლონდონური მატჩისთვის განკურნებას ვერ მოასწრებდა. თუმცა ვითარება აქაც შეიცვალა. პატოს სჯერა, რომ "არსენალს" თავის ძალას აჩვენებს: *"ფეხი უკვე კარგად მაქვს. იმედია, აღდგენასაც მოვასწრებ და თამაშსაც შევძლებ. სირთულეების მიუხედავადაც კი, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ"* - აცხადებს პატო.

რაც შეეხება **რონალდოს**, ტრავმა მასაც აწუხებს, თუმცა აქ პრობლემა სხვაა. გუშინ გაცნობეთ, რომ "ფენომენი" ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს. ინფორმაციას მისი საახლობლო ავრცელებს. ითქვა ისიც, რომ ანჩელოტი ამის გამო თავს არ მოიკლავს და ბრაზილიელს ახალ კონტრაქტზე (მოქმედი ხელშეკრულება ამ ზაფხულს იწურება) აღარ დაელაპარაკება. აი, კარლეტოს პოზიცია:

*"სჯობს, ეს მას ჰკითხოთ. მაგრამ მე პირადად, მიმაჩნია, რომ მას კიდევ შეუძლია ფეხბურთის თამაში. რონალდოს ჩემთვის არაფერი უთქვამს. უნდა ვაღიარო, რომ "სიენასთან" მატჩის წინ ის არ იყო კარგ მდგომარეობაში, მაგრამ იძულებული ვიყავი, ძირითადში დამეყენებინა. რაც შეეხება კონტრაქტს, თუკი რონალდო მონახავს საკუთარ თავში ძალას და ფიზიკურადაც მომჯობინდება, ხელშეკრულების გაგრძელებას წინ არაფერი დაუდგება"*.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პიერლუიჯი კოლინასთან

# თქვენ ფიქრობთ, რომ ამის უკან ვილაც დგას?

**ბოლო პერიოდში იტალიელი მსაჯების მიმართ პრეტენზიები გაიზარდა. მაგრამ ეს ალბათ რბილად ნათქვამია, რადგან საუბარია არ ჩათვლილ თუ ჩასათვლელ გოლებზე, დასანიშნ თუ არდანიშნულ 11-მეტრიანებზე, ანუ ეპიზოდებზე, რომლებიც შედეგზე სერიოზულ გავლენას ახდენენ. ხოლო, როცა საუბარია შედეგზე, იქ რეაქციებიც მეტისმეტად მწვავეა. სწორედ ამ თემას ეხება ინტერვიუ, რომელიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კურატორმა, ლეგენდარულმა პიერლუიჯი კოლინამ ტურინში გამომავალ "ლა სტამპას" მისცა...**

**- მართლა ასეთი სუსტები არიან იტალიელი არბიტრები და ლაინსმენები?**

- მთელი ჩვენი გუნდი თავდაუზოგავად მუშაობს, იმიტომ, რომ ძალზე არასასიამოვნოა იმის მოსმენა თუ კითხვა, რაც ტელევიზიით ითქმება ან გაზეთებში იწერება. მინდა გითხრათ, რომ ამგვარი დამოკიდებულება, ჩვენს მუშაობაზე, რომელიც სიტუაციის გაუმჯობესებისკენაა მიმართული, მეტად ნეგატიურად მოქმედებს, ფაქტობრივად, ეფექტი ნულის დონეზე დადის. მაგალითად, კატანიურ მატჩში, რომელსაც ამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა, არბიტრმა სტეფანო ფარინამ მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა, მთლიანობაში კი, საკმაოდ მაღალ დონეზე იმსაჯა. არჩასათვლელ გოლში კი მთავარი დამნაშავე ლაინსმენი კაიროლატოა, რომელმაც შეცდომა მაშინვე აღიარა. დამერწმუნეთ, წამებში მას გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდებოდა. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა თავისი შეცდომების გამო აგებს პასუხს.

**- საერთოდ, რა შეფასებას მისცემდით თქვენს გუნდს?**

- თუ წამით მწვრთნელის როლში ჩავაყენებ საკუთარ თავს, ვიტყვი, რომ ჩემს განკარგულებაში საკმაოდ კარგი გუნდია. ვარსკვლავები არ არიან, მაგრამ ისინი არც გვჭირდება. არის კარგი გუნდი და ყველაფერი მოწმობს ამაზე, ახალგაზრდა არბიტრები პროგრესირებენ. ეს აშკარაა. მაგალითად, ბრწყინვალედ იმუშავა ორსატომ "მილანი"-"სიენის" მატჩში, ასევე, ჯანოკარომ მშვენივრად განსაჯა "სამპდორია"-"ნაპოლის" ტრადიციულად რთული დაპირისპირება. როგორც იტყვიან, მომავლის გუნდს ვქმნი.

**- ორშაბათობით, როცა სერია A-ს მორიგი ტური დასრულებულია, თქვენს ქვეშევრდომთა შეცდომების გამო ცუდ ხასიათზე არ ხართ ხოლმე?**

- არა, მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ ჩემი სინდისი სუფთაა. ისე, თქვენც, ჟურნალისტებსაც შეგიძლიათ, დარწმუნდეთ, თუ როგორ მუშაობს ჩემი გუნდი. კოვერჩანოში ჩვენი ცენტრის კარი ყველასთვის და ყოველთვის ღიაა.

**- რატომ მოხდა, რომ "კატანია"-"ინტერის" მატჩის შემდეგ არბიტრი ფარინა არ დარჩა მოედანზე, რათა ეგრეთ წოდებული "მესამე ტაიმი" ჩაეტარებინა?**

- ეპიზოდურმა ემოციებმა არ უნდა მოახდინონ გავლენა ჩვენს საქციელზე და, მით უმეტეს, ეს არ უნდა აისახოს იმ პროცედურის ჩატარებაზე, რომელიც საფეხბურთო ლიგამ დააკანონა და რომელსაც არბიტრებიც მიესალმნენ. "ნაპოლი"-"ლაციოს" მატჩის შემდეგ "მესამე ტაიმი" გაუქმდა და მე დავეთანხმე ამ გადაწყვეტილებას. მოედანზე არაერთგვაროვანი სიტუაცია იყო. კატანიაში კი ფარინა შეცდა, რადგან იქ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. მატჩის დასრულების შემდეგ ადგილობრივი ქომაგები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მსაჯების მიმართ, თუმც მათი მხრიდან აგრესია ნამდვილად არ ყოფილა. უბრალოდ, ეს იყო ირონია იმაზე, რაც მოედანზე მოხდა. ვფიქრობ, ფარინა უფრო საფუძვლიან ახსნა-განმარტებას გააკეთებს.

**- ამავე დროს, მსაჯების შეცდომების გამო "ინტერი" უპირატესობას იღებს...**

- მოიცათ და, თქვენ ფიქრობთ, რომ ამის უკან ვილაც დგას? და ეს ყველაფერი შეგნებულად ხდება? კარგით, აბა, ერთ რამეს დაუფიქრდით: "ინტერი"-"ემპოლის" მატჩში (1:0) სტუმრებს თავიანთი პენალტი რომ გაეტანათ, ხომ აღარავინ ილაპარაკებდა მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნულ 11-მეტრიანზე? მე ვთვლი, რომ აქ "ინტერისადმი" სიმპათია, რასაც თქვენი შეკითხვა გულისხმობდა, არაფერ შუაშია, ეს უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი.

**- საერთოდ, როგორ აფასებენ არბიტრები ეგრეთ წოდებულ "მესამე ტაიმს"?**

- ეს არის ერთგვარი აქტი, რომელიც ერთიანობას გამოხატავს. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი არაჯანსაღი ემოციების ჩაცხრობას უწყობს ხელს. მაგალითად, ტურინში "პალერმოს" მეკარე ფონტანამ ყვითელი ბარათი მიიღო იმის გამო, რომ არბიტრს გაშვებული გოლის გამო შეეკამათა. ის არწმუნებდა რეფერის, რომ გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, თუმცა, თამაშის დამთავრებისთანავე, მივიდა არბიტრთან, ხელი ჩამოართვა და ბოდიშიც მოუხადა. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, როცა დაძაბულობა პიკს აღწევს, არბიტრს შეუძლია, დატოვოს მოედანი, რადგან ინსტრუქცია მათ ამ რიტუალის შესრულებას არ ავალდებულებს. ეს მხოლოდ მოთამაშეებისთვისაა დაკანონებული.

**- იბრაჰიმოვიჩმა გამოთქვა ასეთი აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუკი იტალიელი არბიტრები, თავიანთი ინგლისელი კოლეგების მსგავსად, ფეხბურთელებს მეტი ძალისმიერი თამაშის საშუალებას მისცემენ. რას უპასუხებდით ზლატანს?**

- იტალიაში ჩვენ სხვაგვარად ვმსაჯობთ, რადგან თავად კალჩოს შინაარსიც განსხვავებულია. ეს ჩვენი ფეხბურთია. მაგრამ თუ იტალიელებიც ისევე ითამაშებენ, როგორც ინგლისში, მაშინ ჩვენც შევძლებთ ამ სტილზე მორგებას.

ინტერვიუ დიეგო მილიტოსთან

# ვამაყობ, რომ ჩემი ძმა ბარსელონაში თამაშობს



მომავალ უქმეებზე დიეგო მილიტო თავის ძმას, გაბრიელს მოედანზე შეხვდება

**მომავალ უქმეებზე პრიმერა დივიზიონში მორიგი საინტერესო დაპირისპირება გაიმართება. "ლა რომარედაზე" ერთმანეთს "სარაგოსა" და "ბარსელონა" შეხვდებიან. სპეციალისტები არაგონელთა და კატალონიელთა შეხვედრას გაბრიელ და დიეგო მილიტოების გამო უდიდესი ინტერესით ელიან. მართლაც ძალიან საინტერესოა ძმების დუელი. დიეგო ყველაფერს გააკეთებს, რათა "ბარსელონას" გაუტანოს. გაბრიელის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა კი ძმის განეიტრალება იქნება. "დიარიო ასის" ინტერვიუ ცხადყოფს, რომ დიეგო მილიტო კარგადაა მომზადებული და გაბის დანდობას არ აპირებს.**

**- ამ უქმეებზე დიდი მატჩის ნახვის იმედი გვაქვს. როგორ განწყობაზე ხართ?**

- მნიშვნელოვანი დუელი გაიმართება. მოგეხსენებათ, "სარაგოსას" ახლა არ ულხინს, თუმცა არც "ბარსელონაა" საუკეთესო ფორმაში. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ თამაში ძალიან საინტერესო და დაძაბული იქნება. კატალონიელები ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. მათ არ სურთ, რომ "რეალს" კიდევ უფრო ჩამორჩნენ. ამავდროულად, "სარაგოსაც" გამარჯვებას უმიზნებს. სატურნირო მდგომარეობა აუცილებლად უნდა გავიუმჯობესოთ. არსებული სიტუაცია აუტანელ დისკომფორტს გვიქმნის. ამიტომ, "ბარსას" ნებისმიერ ფასად უნდა მოვუგოთ.

**- "ოსასუნასთან" მატჩში დიდი იმედგაცრუება განიცადეთ. თქვენც სასოწარკვეთილი დარჩით?**

- რა თქმა უნდა. სამი ქულა დავკარგეთ და კმაყოფილი ნამდვილად ვერ დავრჩებოდი. ჩემი აზრით, ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მაინც დავმარცხდით. ახლა ეს სევდიანი ფურცელიც უნდა გადავშალოთ და მომავალი მატჩისთვის მაქსიმალურად მოვემზადოთ. ყველა ვაცნობიერებთ, "ბარსელონასთან" უმძიმესი შეხვედრის გამართვა მოგვიწევს და წარსულ წარუმატებლობაზე ფიქრი კარგს არაფერს მოგვიტანს. ამ საღამოს ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. თუ გავიმარჯვებთ, სატურნირო მდგომარეობასაც გავიუმჯობესებთ და გულშემატკივრებსაც გავახარებთ. ბუნებრივია, ამით ჩვენც კარგ განწყობაზე დავდგებით.

**- "ოსასუნასთან" მატჩს დავუბრუნდეთ. საფინალო სასტვენის შემდეგ მოედანს ისეთი გამომეტყველებით ტოვებდით, თითქოს ტრაგედია შეგემთხვათ...**

- ფეხბურთელისთვის თამაშის წაგებაზე უარესი არაფერია. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ წარუმატებლობა მეტისმეტად განვიცადეთ. ისლა დაგვრჩენია, ტკივილი მოვინელოთ და უფრო ნათელ მომავალზე ვიოცნებოთ.

**- იმ შეხვედრამ ძველი პრობლემა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა. მომეჩვენა, რომ თავდასხმის ხაზი გუნდისგან მოწყვეტილია. მეთანხმებით?**

- ასეთი რადიკალური განცხადების გაკეთებისგან თავს შევიკავებდი. რიკარდო ოლივეირასთან და სერხიოსთან ერთად საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს. ისინი მაქსიმალურად მეხმარებიან. მეც ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ თანაგუნდელებს ფეხი ავუწყო. თუ "სარაგოსას" რაიმე კარგად არ გამოსდის, სულაც არ ნიშნავს, რომ თავდასხმა რომელიმე რგოლს მოწყვეტილია. გუნდი ძიების პროცესშია. ახალი მთავარი მწვრთნელი გვყავს და ბუნებრივია, გარკვეული დრო გვჭირდება, რათა მის იდეებს ხორცი შევასხათ. ვიმეორებ, "ოსასუნასთან" ცუდად არ გვითამაშია. რომ მოგვეგო, სულ სხვა საუბარი გვექნებოდა. საუბედუროდ, არ გაგვიმართლა და ახლა მძიმე კითხვებზე პასუხის გაცემა მიწევს.

**- ახალ მწვრთნელს როგორ ეგუებით? ირურეტასი კარგად გესმით?**

- დიახ, ჩვენ მას შესანიშნავად ვუგებთ. მთელი გუნდი გულმოდგინედ მუშაობს, რათა ირურეტას მითითებები პირნათლად შევასრულოთ. სენიორ ხაბოს თქმით, უპირველესი ამოცანა ერთსულოვნების განმტკიცებაა. ამის გარეშე არაფერი გამოვა. ერთსულოვნებაში შემადგენლობის ჯეროვნად დაბალანსებაც იგულისხმება. გარკვეული თვალსაზრისით იმ საკითხს დავუბრუნდით, რომელიც თავდასხმისა და სხვა რგოლების დაკავშირებას შეეხება. მიმაჩნია, რომ ირურეტას მოსვლის შემდეგ ამ მხრივ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რა თქმა უნდა, სამუშაო ჯერაც ძალიან ბევრია. არცაა გასაკვირი, რადგან სენიორ ხავიერი ეს-ესაა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაინიშნა.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ "სარაგოსა" მოსაწყენი გუნდი გახდა?**

- არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც უბრალოდ არ შეუძლიათ, მოსაწყენი ფეხბურთი ითამაშონ.

**- კარგად მახსოვს, "კამპ ნოუზე" "ბარსელონამ" დამამცირებელი მარცხი გაგემათ. საქმე არა ანგარიშს, არამედ თამაშის ხარისხს შეეხება. საინტერესოა, ახლა რევანშის წყურვილით ხომ არ ხართ შეპყრობილები?**

- არა. "ბარსელონა" უძლიერესი გუნდია და უპასუხისმგებლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ რევანშს ვამზადებთ. კატალონიელები უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებენ. ჩვენ სამი ქულის მოპოვება გვსურს. ამის მიზეზი არა პირველი შეხვედრისთვის შურისძიება, არამედ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

**- სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. შეცდომების უფლება თითქმის აღარ გაგაჩნიათ...**

- სეზონის დასრულებამდე ძალიან ბევრი დრო დარჩა, მაგრამ შეცდომების დაშვების უფლება მართლაც აღარ გვაქვს. როგორც პროფესიონალები, ვალდებულები ვართ, ამ დღეებში მხოლოდ და მხოლოდ "ბარსელონასთან" მატჩზე ვიფიქროთ. იმედია, გაგვიმართლებს და გულშემატკივრებს უზომოდ გავახარებთ. გვერმუნეთ, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ყველამ ბედნიერად ვიგრძნოთ თავი. მაგრამ თუ ვერ გავიმარჯვებთ, არც ეს იქნება კატასტროფა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სეზონის დასრულებამდე ძალიან დიდი დროა დარჩენილი. მომავალშიც გვექნება ვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობა.

**- ეს დღეებია, თქვენს მომავალზე ძალიან ბევრს საუბრობენ. ამბობენ, რომ დიეგო მილიტო "სარაგოსაში" ბოლო სეზონს ატარებს. როგორ აფასებთ ამ ყოველივეს?**

- ძალიან მშვიდად. ჩემს შესაძლო წასვლაზე ყოველ წელს საუბრობენ, მაგრამ ამ ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ. დიეგო მილიტოს "სარაგოსას" მდგომარეობა უფრო აღელვებს, ვიდრე ის საკითხი, თუ ვინ რას ამბობს. არაგონულ კლუბთან კიდევ სამი წლით ვარ დაკავშირებული. მინდა გითხრათ, რომ აქ ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს და მსურს, "ლა რომარედაზე" კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ვითამაშო. თუმცა ფეხბურთი ისეთი რამ არის, წინასწარ ვერასდროს ვერაფერს იტყვი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მთავარია, რომ დღეს მხოლოდ "სარაგოსაზე" ვფიქრობ.

**- მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ღიად ამბობს, რომ ამ ზაფხულს თქვენთან თანამშრომლობით დაინტერესებული კლუბების მოგერიება ძალიან გაუჭირდება...**

- ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "სარაგოსა" ჩემი თამაშით კმაყოფილია. მე კი კლუბის მიერ შექმნილი პირობებით გახლავართ კმაყოფილი. სხვა აბსოლუტურად არაფერი ვიცი. ვიმეორებ, მთელი ძალისხმევა გუნდის ინტერესებისკენ უნდა მივმართო. ასეც არის, ამიტომ დღეს გაურკვეველ სამომავლო საკითხებზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

**- "სარაგოსას" ას მილიონ ევროდ ყავხართ შეფასებული. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს მეტისმეტად დიდი თანხაა?**

- რა თქმა უნდა, ეს ის თანხაა, რომელსაც არავინ გადაიხდის. დირექტორატს აქვს უფლება იმდენად შემაფასოს, რამდენადაც თავად მოისურვებს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ დღეს დიეგო მილიტოს გაყიდვაზე არავინ ფიქრობს. შესაბამისად, ამ მიმართულებით არც არავინ მუშაობს.

**- "ლა რომარედაზე" გაბი მილიტო დაბრუნდება. ვფიქრობ, ეს განსაკუთრებული მოვლენაა...**

- ცხადია, ეს განსაკუთრებული მოვლენაა. მით უმეტეს, ჩემთვის, რადგან საკუთარი ძმის წინააღმდეგ თამაში მომიწევს. ასეთი რამ ყოველ დღე არ ხდება და სულაც არ მიკვირს, რომ სერიოზული აჟიოტაჟი შეიქმნა. ეს ნორმალურია.

**- გაბის თამაშს როგორ აფასებთ?**

- უაღრესად დადებითად. უზომოდ ბედნიერი გახლავართ, რომ ჩემი ძმა მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს კარგად შეეწყო. ის შესანიშნავად თამაშობს და კატალონიელები ძალიან კმაყოფილები არიან. ბუნებრივია, ხშირად ვსაუბრობთ. თითქმის ყოველ დღე ვურეკავთ ერთმანეთს. გაბი მეუბნება, რომ "ბარსელონაში" ბედნიერია. თანაგუნდელებმა ის გულღიად მიიღეს. იგივეს თქმა შეიძლება კლუბის ხელმძღვანელობაზეც. მოკლედ, მხარეებს შორის ფანტასტიკური თანამშრომლობა ჩამოყალიბდა.

**- დიეგო და გაბრიელ მილიტოებს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად და მცველად მიიჩნევენ...**

- ამას თქვენ, ჟურნალისტები ამბობთ (იცინის). ორივე ვცდილობთ, ჩვენს გუნდებს მაქსიმალურად პატიოსნად მოვემსახუროთ. წესიერება გენში მოგვსდევს. ჩვენს ნათესაობაში არავინ ყოფილა მუქთახორა, ან თაღლითი. ჩვენი ბაბუები, მამა, ბიძები, დედა ყველა კეთილსინდისიერი და პატიოსანი შრომით შოულობდა სასიცოცხლო სარჩოს. მე და ჩემ ძმას გაგვიმართლა, რადგან ისეთი სამსახური გვაქვს, სადაც დიდ ხელფასს ვიღებთ. ჩვენი ნათესავები ნაკლებს ნამდვილად არ შრომობენ, მაგრამ გასამრჯელოდ შეუდარებლად ცოტას იღებენ.

**- არ ეხმარებით მათ?**

- არ მსურდა, სანათესაო საკითხებზე საჯაროდ მესაუბრა, მაგრამ რადგან მკითხეთ, მოგახსენებთ. ბიძაშვილი გვყავს, რომელიც ქარხანაში უფროს მუშად მუშაობს. დღე და ღამეს ასწორებს, რათა ოჯახი არჩინოს. მუშებს ესპანეთშიც არ ულხინთ, მით უმეტეს, არგენტინაში. მე და გაბიმ გადავწყვიტეთ, 50-50 ათასი ევრო დაგვედო და მისთვის გაგვეგზავნა. ვიფიქრეთ, ეს თანხა მის ოჯახს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა. დავურეკეთ, რათა მისი პირადობის მოწმობის მონაცემები ჩაგვეწერა. მიხვდა, რომ ფულის გაგზავნა გვინდოდა და არაფრით არ მოგვცა. მე ისეთივე კაცი ვარ, როგორიც თქვენ და ოჯახი თავად უნდა შევინახოო. აშკარად ეწყინა. თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენით, თუმცა გამოსავალი მალევე მოვნახეთ. საშობაო არდადეგებზე არგენტინაში ჩავედით და ასეთი რამ გავაკეთეთ - სახლში ვესტუმრეთ, დიდად მოვილხინეთ და წამოსვლის წინ კარადის უჯრაში ფული ჩუმად ჩავუდეთ. თან წერილი დავუტოვეთ, ჩვენ ძმები ვართ და ერთი ბედი გვაქვს-თქო. მართლაც, როგორ უნდა ვიგრძნო თავი ბედნიერად, როცა ვიცი, რომ ახალგაზრდა ბიჭს ცოლისა და თვეების შვილის შენახვა უჭირს. ძლივს დაგვთანხმდა. იმ ფულით სადისტრიბუციო კომპანია გახსნა და ახლა ვირივით აღარ მუშაობს.

**- ნეტავ, მეც მყავდეს ასეთი ბიძაშვილები. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ყოველთვის სასიამოვნოა იმის გაგება, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ცხოვრობს.**

- არ ღირს სალაპარაკოდ. ჩვენს ადგილზე ის უფრო მეტს გაგვიკეთებდა. განსხვავება ის იქნებოდა, რომ მე და გაბი არ გავჯიუტდებოდით და პირადობის მოწმობის მონაცემებს უმალ გავუგზავნიდით (ხარხარებს).

**- აღფრთოვანებული ვარ თქვენით. მოდით, ფეხბურთს დავუბრუნდეთ. სექტემბერში განაცხადეთ, რომ გაბრიელის "ბარსელონაში" წასვლის მიუხედავად, თქვენი მშობლები "სარაგოსას" თავგადაკლულ ქომაგებად რჩებიან. ამ ხნის განმავლობაში რაიმე ხომ არ შეცვლილა?**

- არა, ისინი კვლავ "სარაგოსას" ინჩასები არიან, რადგან ევროპაში ერთად თამაშის საშუალება სწორედ ამ გუნდმა მოგვცა. არ გამოვრიცხავ, გულის სიღრმეში ფრეზე ოცნებობდნენ (იცინის). ძნელია, შვილებიდან ერთ-ერთი გამოყო.

**- "ბარსელონაზე" კიდევ რას გვეტყვით?**

- წლევანდელი პრობლემების მიუხედავად, "ბარსა" გენიალური კლუბია. როგორც არ უნდა უჭირდეს, მაინც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გულშემატკივრებს ლამაზი ფეხბურთი აჩვენოს. ვამაყობ, რომ ჩემი ძმა "ბარსელონაში" თამაშობს.

**- "ლა რომარედაზე" უშუალოდ მის წინააღმდეგ მოგიწევთ თამაში. დაინდობთ, გაბრიელს?**

- დავინდობ? რა თქმა უნდა, არა. ძმობა ერთია, ფეხბურთი კი მეორე! აბა მას ჰკითხეთ, თვითონ თუ დამინდობს? შანსს ხელიდან არ გაუშვებს, ბურთი ამართვას და "ბარსელონა" გოლისგან იხსნას. მე პირიქით მოვიქცევი. თავს მოვიკლავ, რათა ვალდესს ბურთი შევუგდო. თუნდაც ამისთვის, ჩემი ღვიძლი ძმის გაბაიბურება დამჭირდეს.

**- ლეო მესიზე რას გვეტყვით?**

- ჩემი აზრით, ლეო პლანეტის საუკეთესო მოთამაშეა. მართალია, ეს ჯილდო კაკას გადასცეს, მაგრამ მე მესი უფრო მომწონს. ლეოს აბსოლუტურად ნებისმიერი სირთულის მატჩის სხვების დაუხმარებლად მოგება შეუძლია.

**ილია ნიკოლაიშვილი**



კრისტოფ მეტცელდერი ევრო 2008-მდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს

რეალი

# მეტცელდერს ორი თვე

მადრიდის "რეალისა" და გერმანიის ნაკრების ცენტრალური მცველის, **კრისტოფ მეტცელდერის** მუხლის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სამეფო გუნდის მთავარი ექიმის თქმით, ოპერაციამ 30 წუთს გასტანა და გართულებების გარეშე დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა. თუკი გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება, მეტცელდერი დაახლოებით ორ თვეში სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი გადასახედიდან მეტცეს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა საფრთხის ქვეშ არაა.

მეტცელდერს ოპერაციის გაკეთება არ სურდა - მიუხედავად იმისა, რომ მუხლი ბოლო ორი თვის განმავლობაში აწუხებდა, ცდილობდა, ოპერაციის გარეშე ემკურნალა, რადგან შიშობდა, თუკი ქირურგიული ჩარევა მოხდება, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე ველარ ვიასპარეზოო. მაგრამ ბოლო დროს ტკივილები გაუძლიერდა და ექიმებმაც სასწრაფოდ ოპერაციის გაკეთება აიძულეს.

უეფას თასი

# ბაიერნი კანის გარეშე!

## რენზინგი ტრავმას უჩივის. დადგება დრეერი?

დღეს, მიუნხენის "ბაიერნი" უეფას თასის 1/16 ფინალში აბერდინს სტუმრობს. გუშინ რეკორდმაისტერის ქომაგებმა მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს: გუნდის კაპიტან **ოლივერ კანს** გრიპი აქვს და თანაგუნდელებს შოტლანდიაში ვერ დაეხმარება. ტიტანი შოტლანდიაში გაცივდა და ბავარიული გრანდის ექიმმა დოქტორმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ოლი მიუნხენში დაებრუნებინათ.

კანის პირველი შემცვლელი **მიხაელ რენზინგია**, მაგრამ კვირის დასაწყისში ეს უკანასკნელიც დაშავებული გახლდათ. თუმცა მისი ტრავმა არც ისე სერიოზული იყო და **ოტმარ ჰიტცფელდი** გუშინაც იმედოვნებდა, რომ რენზინგი უშუალოდ მატჩამდე სრულ მზადყოფნაში იქნებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა მეკარემ თამაშის დაწყებამდე გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, მაშინ ბავარიელთა კარს ვეტერანი **ბერნდ დრეერი** დაიცავს, რომელიც 41 წლისაა. იმისათვის, რომ დაზღვეულები ყოფილიყვნენ, მიუნხენელებმა აბერდინში "ბაიერნის" მოყვარულთა გუნდის გოლკიპერი **თომას კრაფტიც** დაიბარეს. გარდა კანისა, ბავარიელები დღეს ვერც **მარკ ვან ბომელს, ფრანკ რიბერის, ვილი სანიოლსა და დანიელ ვან ბუიტენს** დაიხმარებენ.



ოლის გრიპი აქვს...

ლეგიონი

# ნაგება გასვლითი სერიის წინ

ბოლო დროს "ატლანტა ჰოქსი" საშინაო გუნდად ჩამოყალიბდა, "პეპსი არენაზე" ბევრი ფავორიტი დაუმარცხებია, სტუმრად კი იშვიათად იგებს. თუმცა ბოლო წლებში, "დეტროიტ პისტონსთან" შინაც უჭირს და გასვლაზეც. აქედან გამომდინარე, "კონტექსტიდან ამოვარდნილი" ნამდვილად არ იყო "ჰოქსის" საშინაო მარცხი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ "დეტროიტ პისტონსთან" - 90:94.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ჯორჯიელებმა "დეტროიტთან" ბოლომდე იბრძოლეს. შეხვედრის ბედი გადაწყდა ბოლო მეოთხედში, რომელიც სტუმრებმა 20:14 მოიგეს.

დროა **ზაზა ფაჩულიაზეც** ვთქვათ, რომელმაც "პისტონსთან" მწვრთნელისგან მხოლოდ 12 წუთი დაიმსახურა და მონაგარშიც არაერთი ორიანი გაურია: 2-დან 1 ორქულიანი, ჯამში 2 ქულა, 2 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა.

სამაგიეროდ, თავი გამოიდო სეზონის დასაწყისში ზაზას შემცვლელმა **ელ ჰორფორდმა**. მან 36 წუთში 12 ქულა და 16 მოხსნა ჩაიწერა.

"ატლანტა ჰოქსს" სადღეისოდ 21 მოგება, 27 ნაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მერვე ადგილზეა (პლეიოფში სწორედ საუკეთესო რვეული გადის), თუმცა თუ გასვლით შეხვედრებში შედეგი არ გააუმჯობესა, 23 თებერვლამდე რვეულში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება. საქმე ისაა, რომ "ჰოქსს" მომდევნო 5 შეხვედრის ჩატარება სტუმრად მოუწევს.

ვაჟა სიმონიშვილი





# კადეტთა ნაკრების მორიგი გასვლა



**16-24 თებერვალს, თურქეთის ქალაქ საქარიაში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი კადეტთა შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას.**

16-წლამდელები ჯგუფში იტალიელ, რუს, სლოვენიელ, თურქ და უკრაინელ თანატოლებთან მოხვდნენ. მეორე ჯგუფი შეადგინეს ბულგარეთმა, ხორვატიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, საბერძნეთმა და პოლონეთმა. საუკეთესო ოთხეულები შემდეგ ეტაპზე გავლენ, ხოლო მეხუთე და მეექვსე ადგილებზე გასულები სანუგეშო პლეიოფში მიიღებენ მონაწილეობას.

გუშინ კალათბურთის ფედერაციამ კადეტები თურქეთში პრესკონფერენციით გააცილა. კლუბ "12 მაგიდაში" გამართული შეხვედრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** გახსნა:

- 16-წლამდელთა ნაკრები მეტად წარმომადგენლობით ტურნირზე მიემგზავრება. მასში მონაწილეობას 12 გუნდი მიიღებს, რომელთა შორის 10 ელიტის წარმომადგენელია, ხოლო სუსტები არც ქვედალიგელები არიან - ბულგარეთი და სლოვენია. სხვათა შორის, სლოვენიელებს ჩვენი კადეტები დეკემბერში ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზეც ეთამაშნენ. თურქეთის შეჯიბრებაზე გუნდის მთავარი მიზანი ზაფხულში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაა. თუ წარმატებით იასპარეზებენ, ხომ კარგი, თუ არა, ტრაგედია არ იქნება. მთავარი მოსაგები ევროპის პირველობაზე ექნებათ. მანამდე კადეტთა ნაკრები მინიმუმ ერთ ტურნირს ითამაშებს. ბოლოს, მხარდაჭერისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ბიზნეს-ჯგუფ "ვალენსიასა" და თბილისის მერიას.

მოსამზადებელ პერიოდზე ისაუბრა 16-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა **გელა ნულაძემ**:

- ესპანეთის ტურნირზე ბევრი ხარვეზი დავინახეთ, რომელთა გამოსწორება დღემდე მეტ-ნაკლებად მოვახერხეთ. მთავარი აქცენტი გადავიტანეთ ფიზიკურ მომზადებაზე - ვაკის ფიზმომზადების დარბაზში ვვარჯიშობდით. შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტის თბილ დარბაზში გადავედით და თურქეთში მომზადებულები მივდივართ. ესპანური ტურნეს შემდეგ დაგვემატა ორი კალათბურთელი გიგა მეხრიშვილი და დუდა სანაძე. თავის გამოჩენის შანსს კიდევ არაერთ კალათბურთელს მივცემთ. რაც მეტია კონკურენცია, შედეგიც მით უკეთესი იქნება...

პრესკონფერენციაზე ისაუბრა ნაკრების სპონსორის, სამშენებლო კომპანია "ვალენსიას" ხელმძღვანელმა **ზურაბ აგლაძემ**:

- ფეხბურთთან შედარებით ქართული კალათბურთი აშკარად პროგრესირებს. ამიტომ ჩვენი კომპანია ყველანაირად შეეცდება, მხარში ამოუდგეს კალათბურთელებს. გარდა ამისა, ჩვენს მიერ აშენებულ ყველა საცხოვრებელ კომპლექსში ვცდილობთ ჩავურთოთ როგორც საკალათბურთო, ასევე საფეხბურთო მოედნები და საცურაო აუზები. ყოფილი სპორტსმენი ვარ და კარგად მესმის, რამდენად მნიშვნელოვანია სპორტი ახალგაზრდების განვითარებისთვის.

ვაჟა სიმონიშვილი

**განრიგი**

| | |
|---|---|
| | 16 თებერვალი |
| 16:30 | იტალია–საქართველო |
| | 17 თებერვალი |
| 18:45 | უკრაინა–საქართველო |
| | 18 თებერვალი |
| 16:30 | საქართველო–რუსეთი |
| | 19 თებერვალი |
| 21:00 | საქართველო–თურქეთი |
| | 20 თებერვალი |
| 18:45 | საქართველო–სლოვენია |

*მითითებულია თბილისის დრო.*

**კადეტთა ნაკრები**

უკანა ხაზი: დავით გურაბანიძე (მართვე I, 175 სმ), გიორგი ტეტელაშვილი (მართვე II, 185), ირაკლი ჩერქეზიშვილი (მართვე I, 175), დუდა სანაძე (მართვე I, 195), შალვა კაკაურიძე (დინამო, 188).

ფორვარდები: მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია, 194), ნოდარ თენიეშვილი (ბათუმი, 195), ნიკოლოზ მალრაძე (მართვე I, 196), გიგა მეხრიშვილი (კოლხა, 195), სერგი მელაძე (მართვე II, 194), ლევან ელაიძე (ბათუმი, 196).

ცენტრები: გოგა ჯავახიშვილი (აკადემია, 199), ირაკლი ალხანაიძე (დინამო, 199), ნოდარ შარაბიძე (თსუ, 199).

მთავარი მწვრთნელი: გელა ნულაძე.

ასისტენტები: გია ტეტელაშვილი, გია კაზანჯიანი.

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# რატომ არ უნდა ვითამაშოთ ფინალში?

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან, რომელშიც რესპონდენტი "დინამოზე", "სან ანტონიოსა" და მომავალზე საუბრობს. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.**

**- ვიქტორ, რატომ მაინც და მაინც "დინამო"?**

- დავიწყოთ იმით, რომ "დინამოში" ძალიან კარგი სავარჯიშო პირობებია, მე კი ამ ეტაპზე ხანგრძლივი უვარჯიშებლობის, უთამაშებლობის შემდეგ კარიერა სადმე მაინც უნდა განმეახლებინა, რათა ნელ-ნელა ფორმაში შევსულიყავი. გადავწყვიტე, ზაზა ცაგარეიშვილის გუნდში მივსულიყავი და რახან კლუბმაც თანხმობა განაცხადა ჩემს დამატებაზე, ყველაფერი მშვენივრად აეწყო. "დინამოში" ჩემი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება მაქვს და თუ დააკვირდებით, ეს გუნდი სუპერლიგის ყველა სხვა გუნდთან შედარებით, ფიზიკურად საუკეთესოდაა მომზადებული. "დინამოში" ჩემი მეგობრებიც თამაშობენ და გარკვეულწილად, არჩევანის გაკეთებაში როლი ამ ფაქტორმაც ითამაშა.

**- სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტი თუ გქონდა?**

- სიმართლე გითხრათ, სხვა ვარიანტები არც კი მიძებნია. ეგრევე "დინამოში" მისვლა გადავწყვიტე და ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთი დიდი ტრადიციების მქონე გუნდში ვთამაშობ.

**- როგორ შეეწყვე გუნდს?**

- თუ გუნდი სწორ კალათბურთს თამაშობს, მასთან შეწყობა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. "დინამოში" კი ყველაფერი მშვენივრადაა. ასე რომ, გუნდთან შეწყობა არ გამჭირვებია.

**- ვიქტორ, ნომინალურად უფრო სამ ნომრად ითვლები, თუმცა ახალ გუნდში თითქმის ყოველთვის მეოთხე ნომრად, ანუ მძიმე ფორვარდად, ან კიდევ საერთოდაც, ცენტრად თამაშობ.**

- კი, ხშირად ცენტრადაც თამაში მიწევს, თუმცა სადაც მთავარი მწვრთნელი დამაყენებს, იქ ვითამაშებ და ვეცდები, გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. საქართველოს ნაკრებში უფრო ოთხ ნომრად ვიდექი, ხოლო კლუბში კი ოთხსაც ვთამაშობ, სამსაც და ხუთსაც.

**- "დინამოში" ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა. იღებენ თუ არა ისინი შენგან რჩევებს და ხომ არ გაგიჭირდა ამ კონტინგენტთან საერთო ენის გამონახვა?**

- არა, არანაირად. თუ ვხედავ, რომ კონკრეტულ მომენტში, ახალგაზრდას რალაც არ გამოსდის, ეგრევე მივუთითებ მას ამ ნაკლის გამოსწორებისკენ და დამიჯერეთ, არავინ უკადრისობს, უფრო გამოცდილისგან რჩევა-დარიგების მიღებას. მეც ასე ვარ – თუ ჩემზე გამოცდილი შეცდომაზე ან საერთოდ, რაიმეს გამოსწორებისკენ მიმითითებს, მადლობას გადავუხდი და ვეცდები, იგივე შეცდომა აღარ დავუშვა.

**- ხარ თუ არა "დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი?**

- არა, რადგან გუნდში ახალი მისული ვარ და ვცდილობ, გუნდს მაქსიმალური სარგებელი არა ლაპარაკით, არამედ თამაშით მოვუტანო. "დინამოში" ყველაზე გამოცდილი არჩილ ჟლენტია და ლიდერიც, ალბათ, აჩიკო არის.

**- როგორ გგონია, გაუმჯობესდა თუ არა საქართველოს ჩემპიონატის დონე?**

- ადრე, ჩემპიონი რომ "ბასკო" გახდა, უფრო მაღალი დონე კი იყო, მაგრამ სანახაობრივად, დღეს უფრო კარგადაა ყველაფერი აწყობილი. ცუდია, რომ სუპერლიგაში მხოლოდ 6 გუნდი იღებს მონაწილეობას. მეტი ბრძოლისუნარიანი გუნდი რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა, თუმცა მესმის, რომ ყველაფერი, ისევ და ისევ, ფინანსებს უკავშირდება. თავის მხრივ, ისეც არ უნდა იყოს, როგორც ადრე, როდესაც რამდენიმე გუნდის თამაშს აზრი საერთოდ არ ჰქონდა, რადგან ყველამ, მათ შორის იმ გუნდმაც იცოდა, რომ მაინც წააგებდა. ამ მხრივ, სუპერლიგაში ექვსი ასე თუ ისე, თანაბარი ძალის გუნდია. რუსთავის "ენერჯი ინვესტი" ლიდერი კი არის და საუკეთესო შემადგენლობაც ჰყავს, მაგრამ ბოლო მატჩებმა დაგვანახა, რომ წაუგებელი არავინაა, მათ შორის, არც "ენერჯი ინვესტი".

**- როგორ შეაფასებდი "დინამოს" შანსებს მიმდინარე რეგულარულსა და საერთოდ, სეზონში?**

- გუნდში არაჩვეულებრივი ატმოსფეროა და ბოლო მატჩებში გამოჩნდა, რომ გუნდს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. "დინამო" ჩემს დამატებამდეც იგებდა მატჩებს და მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალური ფორმისგან ძალიან ბევრი მიკლია, მიმაჩნია, რომ გუნდი გავაძლიერე და ჩვენი შანსები ბევრად უკეთესია, ვიდრე – ადრე. ამ ჩემპიონატში რუსთაველების გარდა, ყველას მოვუგეთ და როგორც ვთქვი, წაუგებელი არც "ენერჯი ინვესტია", რაც იმას ნიშნავს, რომ "დინამოს" თავისუფლად შეუძლია პირველ ოთხეულში შესვლა, იქ კი ფინალამდე ერთადერთი სერიის მოგებაღა გვაშორებს. ასე რომ, ჩემი გუნდი უმაღლესი მიზნებისთვის თავისუფლად იომებს.

**- ვიქტორ, როდემდე აპირებ "დინამოში" დარჩენას?**

- ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან ბევრი რამ ამ შემთხვევაში ექიმებზეა დამოკიდებული. ექიმებმა მუხლების მაქსიმალურად დატვირთვის ნება დამრთეს და არ მსურს განმეორდეს, იგივე, რაც კიოლნში ჩემს გადასვლამდე მოხდა. მაშინ, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, კონტრაქტისთვის ხელიც უნდა მომეწერა, მაგრამ ორივე მუხლი ვიტკინე და საკმაოდ დიდი დროც გამიცდა. თებერვლის ბოლოს ექიმები ერთხელაც შემამოწმებენ და ვნახოთ, რას მეტყვიან.

**- სულ მალე გახდება ცნობილი საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობაც.**

- არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ შეგვხვდება მეტოქეებად, ყველას უნდა მოვუგოთ და რაც მთავარია, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დავუშვათ. ისლანდიის წინააღმდეგ მატჩში რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დავუშვით და ამან ერთი დივიზიონით აწევის შანსი მოგვისპო. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება შენი მეტოქე, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, რუმინეთი თუ ისლანდია – შეცდომას არავინ გაპატიებს. ასე რომ, ასეთი შემადგენლობითა და გამოცდილებით, შემდეგ ციკლში ვალდებულნი ვართ, ერთი დივიზიონით მაღლა ავინაცვლოთ. თანაც, ჩვენი მიზანი არა მხოლოდ ზედა დივიზიონში ანაცვლება, არამედ უძლიერესთა შორისაც მაღალი დონის თამაშის დემონსტრირება უნდა იყოს. ამ შემადგენლობით ძალიან მაღალი დონის კალათბურთის თამაში შეგვიძლია.

**- რა ისმის სან ანტონიოდან?**

- გუნდის ექიმებს ვუგზავნი რენტგენის სურათებს და მათგან აუცილებელ რჩევა-დარიგებას ვიღებ. "სპურსიდან" ყოველთვის დიდ სითბოსა და ყურადღებას ვგრძნობდი და მჯერა, მომავალშიც ასე იქნება. თავისთავად, როდესაც უშუალოდ "სპურსის" წევრიც გავხდები. წელს, საზაფხულო ლიგაზე რომ ჩავალ, იქ გრეგ პოპოვიჩიც იქნება. წინა ჯერზე, პოპოვიჩს არ ეცალა, ტონი პარკერის ქორწილში იყო და ვერ შემხვდა.

**- მოდი, იქნებ "სპურსში" გატარებული დროც გაიხსენო.**

- რა უნდა ვთქვა, სამოთხეში მეგონა თავი. სან ანტონიოში პირველად როდესაც ჩავედი, ტრავმა მქონდა და გუნდთან არ მივარჯიშია, თუმცა მაშინვე გავიცანი "სპურსის" ხელმძღვანელობა, პრესტი, პოპოვიჩი, სხვებიც. მეორედ, როდესაც სან ანტონიოში ოპერაცია გავიკეთე, უკვე მეტი დრო მომეცა ორგანიზაციასთან ყოფნისა და თითქმის ყველა კარგად გავიცანი. "სპურსში" ერთი ტრადიციაა – სეზონის დაწყების წინ, მთელი გუნდი მფლობელის რანჩოზე მიდის და იქ დროს ატარებს. რანჩო რანჩოდ და იქ ნამდვილი სასახლე არის. იმ კაცს საკუთარი მდინარეც კი აქვს გამოყვანილი და ალბათ, დროის კარგად გატარების არანაირი პრობლემაც არ აქვს. სულ სხვა სამყაროა, სულ სხვა დონეა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ერთ დღეს "სპურსის" შემადგენლობაში ვითამაშო.

**- გაიცანი თუ არა გუნდის ლიდერები?**

- კი, რა თქმა უნდა, გავიცანი. სხვა გუნდებისგან განსხვავებით (და ეს მხოლოდ ჩემთვის არ უთქვამთ), "სპურსში" სულ სხვა ატმოსფეროა შექმნილი. ვერ იგრძნობ, რომ ამდენი ვარსკვლავის გარემოცვაში ხარ. ჩემთვის ნათქვამი აქვთ, რომ იმავე "კლიპერსში" გუნდის ლიდერები, ელტონ ბრენდი და სემ კასელი ლიმუზინებით, მძღოლებით გადაადგილდებიან და დისტანცია უჭირავთ მათზე ნაკლებად ცნობილ, გამოუცდელ მოთამაშეებთან. "სპურსში" ვარჯიშზე, თამაშზე ან ნებისმიერ ადგილას მძღოლით რომ მიხვიდე, გრეგ პოპოვიჩმა შეიძლება...არც კი მინდა იმის გაფიქრება, თუ რას იზამს პოპოვიჩი. რბილად რომ ვთქვათ, გამწარდება. ავილოთ, თუნდაც ბრიუს ბოუენი, რომელიც ისეთი მანქანით მოძრაობს, გეგონება, ვილაც მებაღე იყოს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მას არაფერში სჭირდება სხვებისგან გამორჩევა, რადგან "სპურსის" იდეოლოგია სწორედ ისაა, რომ იქამდე, სანამ ამ გუნდში ხარ, გამორჩეული მხოლოდ მოედანზე უნდა იყო. თავისთავად, ეს, ისევ და ისევ, პოპოვიჩის დამსახურებაა. ოპერაცია რომ გავიკეთე, ჰოსპიტალში პირველმა ტიმ დანკანმა მომინახულა და ძალიან მესიამოვნა ამხელა პიროვნებისგან ეს ჟესტი. პარკერს არ ეცალა, ევა ლონგორიას დასდევდა...

www.gbf.ge




ჭადრაკი



ნათია ჯალაბაძე

საქართველოს ჩემპიონატი. U 16

# ლიდერებმა წააგეს

მეექვსე ტურში, როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა ლიდერებმა წააგეს: **ირაკლი ჯანიაშვილს ნოდარ დავარაშვილმა** მოუგო, **ნინო ანაკიძეს** კი **ნათია ჯალაბაძემ** აჯობა. აღსანიშნავია, რომ ჯანიაშვილმაც და ანაკიძემაც შავი ფერით იწვნიეს მარცხის სიმწარე, თუმცა ირაკლის მაინც აქვს გულის დასამშვიდებელი: მეტოქე მხოლოდ დაეწია: - კოეფიციენტი ისეთი კარგი აქვს, რომ ამ ეტაპზე თანაბარქულიანებს იოლად აჯობებს. შეგახსენებთ, მან პირველი ხუთიდან ხუთივე პარტიაში იმარჯვა, რაც პროგრესიის სისტემის დროს დიდ უპირატესობას იძლევა - მთავარია, სტარტზე არ წაიფორხილო.

ვაჟებში ხუთქულიანი კიდევ ორი მონაწილე გახდა: **ლევან ბრეგაძე** და **ზურაბ ჯავახაძე**. ბრეგაძემ შავებით **თორნიკე გაბუნია** დაამარცხა, ჯავახაძემ კი **დიმიტრი კვარაცხელიას** თეთრებით აჯობა. კვარტეტის ყველა წევრი რეიტინგფავორიტია არიან - პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე განთესვის ნომრები; მესამე ნომერი **გიორგი ნიკოლაშვილია** და არც ის არის ძალიან შორს - ოთხი ქულით მეხუთე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფს.

გოგონათა შორის მაინც ერთხელისუფლებიანობაა, მაგრამ ანაკიძე ჯალაბაძემ შეცვალა - 5 ქულა აქვს. 4.5 სამ მონაწილეს აქვს; 4 კი მხოლოდ ორს.

დღეს პირველ დაფაზე პირველი ნომერი **მერი არაბიძე** თეთრებით შეუტევს ჯალაბაძეს. არაბიძემ მეექვსე ტურში თეთრებით **ლელა უგულავას** მოუგო, რითაც თითქმის აინაზღაურა სტარტზე დაკარგული ქულები. თუკი დღეს იმარჯვა, კვლავაც უპირველეს ფავორიტად იქცევა.

აღსანიშნავი გუშინ სხვაც იყო. პირველ რიგში **ალექსანდრე ებრალიძის** კვლავ კარგი თამაშია აღსანიშნავი. მან გუშინ შავებით მოუგო **ლაშა ხიზანიშვილს** და ტურნირის დასაწყისში ლიდერებში დაბევებული ადგილი დაიბრუნა - 4 ქულა აქვს და დღეს მესამე დაფაზე ითამაშებს. მისი მეტოქე კი **ირაკლი ბერაძეა**. მკითხველმა უკვე იცის, რომ ესენი თანატოლები და თავისი თაობის გამორჩეული მოჭადრაკეები არიან, თუმცა ტიტულებითაც და პირადი ანგარიშითაც ბერაძე სჯობნის. ირაკლი ერთადერთია ამ ტურნირზე, რომელსაც 4.5 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა. მოგების შემთხვევაში სამეულში აუცილებლად შეაღწევს და ეგებ მეტისთვისაც გაიწიოს, - ამის პოტენციალი მას კი აქვს, მაგრამ არც ებრალიძე აკლებს ხელს მიმდინარე ჩემპიონატზე მეტოქეებს და ისიც შორს და მაღლა იყურება; თანაც თეთრებით თამაშობს და საწყისი უპირატესობის იმედი უნდა ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს, პირად შეხვედრებში ბალანსის შეცვლაც საჭიროა და ასეთი კარგი შანსი ბევრჯერ არ მიეცემა...

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და საგზურის მაძიებელთა რიგში ჩადგა **მარიამ თევზაძე**. მან შავებით დაამარცხა აქამდე მშვენივრად მოთამაშე **ფატი რიჟამაძე** და 4.5 ქულა გაუხდა. თევზაძემ ზედიზედ რამდენიმე პარტია წაუგებლად ითამაშა, - საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს სძლია და თუკი სტაბილურობას შეინარჩუნებს, რაც მისი ყველაზე გამოკვეთილი პრობლემაა, ჩემპიონობის მოპოვებაც სრულიად ხელეწიფება...

ცხრილსა და ორივე ტურნირში მოწინავე დაფებზე თვალის ერთი შევლებაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ დღეს "სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლები გაიმართება - ახლა ქვების შეგროვების დროა, - ფინიში ახლოვდება და მშვიდად არავინ გამყოფებს...

მეშვიდე ტურში: გოგონები: მერი არაბიძე (4.5)-ნათია ჯალაბაძე (5); ნინო ანაკიძე (4.5)-მარიამ თევზაძე (4.5); ნანი უნაფქოშვილი (3.5)-ფატი რიჟამაძე (4); ანა შამათავა (4)-დეა გოგიშვილი (3.5); ლელა უგულავა (3)-ანა მარდალეიშვილი (3); თეკლა მაჭარაშვილი (3)-თეკლა ფარჯიანი (3); ანა კუჭავა (3)-მარიამ სულამანიძე (3); ირმა გელდიაშვილი (3)-ასმათ სალდაძე (3).

ვაჟები: ლევან ბრეგაძე (5)-ირაკლი ჯანიაშვილი (5); ზურაბ ჯავახაძე (5)-ნოდარ დავარაშვილი (5); ალექსანდრე ებრალიძე (4)-ირაკლი ბერაძე (4.5); გიორგი ნიკოლაშვილი (4)-რევაზ ჭუასელი (4); დიმიტრი კვარაცხელია (4)-თორნიკე გაბუნია (4); გიორგი ცირეკიძე (4)-ნოდარ ლორთქიფანიძე (4); ანდრო ერვანდიანი (4)-თორნიკე ხურციძე (4).

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი

ლეგიონერები

# უქართველებოდ წააგეს

**საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტარულ დივიზიონებში გასულ უქმეებზე მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველი მორაგბეების გარეშე, ლიდერებს შორის მყოფმა "კლერმონმა" და "მონპელიემ" მარცხი განიცადეს.**

ვულკანებმა სტუმრად გამართეს შეხვედრა კატალონიურ "პერპინიანთან" და მინიმალური სხვაობით 17:18 დამარცხდნენ. **გოდერძი შველიძე** და **დავით ზირაქაშვილი** ამ დროს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რუმინელთა დამარცხებაში ილებდნენ მონაწილეობას. ასევე სტუმრად წააგო "ბურგუენთან" **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** "მონპელიემ" 17:23. ამ შემთხვევაშიც ორივე ქართველი ბორჯღალოსანთა რიგებში ირჯებოდა.

საკუთარ მოედანზე **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონი" დაამარცხა **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრამ" 37:17 და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. გლობუსა ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს. კოპალიანი ტრავმირებულია.

სტუმრად დამარცხდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ "სტად ფრანსეზთან" **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივი" 7:36. საქართველოს ნაკრების პირველხაზელი განაცხადში არ იყო. ასევე სტუმრად წააგო ბასკურ "ბიარიცთან" **ირაკლი გიორგაძის** "დაქსმა" 7:13. გიორგაძემ საქართველოს ნაკრების შემდგენლობაში ითამაშა.

შინ ვერას გახდა "ალბისთან" **მამუკა მაგრაქველიძის** "ოში" - 14:19. გასკონელები სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფებიან. მაგრაქველიძე "ალბისთან" შეხვედრაში განაცხადში არ იყო.

**I დივიზიონი. IX ტური.** სტად ფრანსე-ბრივი 36:7, ბიარიცი-დაქსი 13:7, პერპინიანი-კლერმონი 18:17, ბურგუენი-მონპელიე 23:17, კასტრი-ბაიონი 37:17, ოში-ალბი 14:19, მონტობანი-ტულუზი 12:16

1.ტულუზი-38 ქულა, 2.სტად ფრანსე-29, 3.კლერმონი-28, 4.ბიარიცი-27, 5.მონტობანი-21, 6.მონპელიე-21, 7.პერპინიანი-20, 8.ბურგუენი-20, 9.ბაიონი-20, 10.კასტრი-18, 11.ბრივი-17, 12.ალბი-17, 13.დაქსი-13, 14.ოში-7.

მეორე დივიზიონის ლიდერმა **გია ლაბაძის** "ტულონმა" მე-15 ტურში სტუმრად მეორე მარცხი იგემა **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანისგან" - 12:16. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაჩხანელი ტრავმირებულია.

საკუთარ მოედანზე **მერაბ კვირიკაშვილის** "პოს" სძლია **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონმა" 14:8. კვირიკაშვილი საქართველოს ნაკრებთან ერთად იმყოფებოდა, კუთარაშვილმა კი თავიდან ბოლომდე ითამაშა.



მონ დე მარსანი-ტულონი. მარჯვნივ გია ლაბაძე

ასევე შინ გაიმარჯვა **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლთან" **დავით აშვეთიას** "ოიონაქსმა" 20:12. აშვეთია თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო. ღვაბერიძე ალპელთა რიგებში ისევ არ გამოჩენილა. საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით 31:32 დამარცხდა "ბეზიესთან" **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიიაკი". მახო განაცხადში არ იყო. არ უთამაშია "აჟენის " შემადგენლობაში **ანტონ ფეიქრიშვილსაც**. აჟენელებმა შინ დაამარცხეს "ლიონი" - 24:20.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია **იგორ ბარბაქაძის** "ტარბი", რომელმაც საკუთარ მოედანზე წააგო "ლა როშელთან" 9:32.

**II დივიზიონი. XV ტური. ნარბონი-პო 14:8, აჟენი-ლიონი 24:20, ოიონაქსი-გრენობლი 20:12, ლიმოჟი-ბორდო 19:10, ორიაკი-ბეზიე 31:32, მონ დე მარსანი-ტულონი 16:12, მეტრო რასინგი-ბლანიაკი 37:21, ტარბი-ლა როშელი 9:32.**

**1. ტულონი-57 ქულა, 2.მონ დე მარსანი-50, 3.მეტრო რასინგი-43, 4.გრენობლი-42, 5.აჟენი-40, 6.ლა როშელი-39, 7.ბეზიე-38, 8.ორიაკი-36, 9.ლიონი-35, 10.ოიონაქსი-32, 11.ნარბონი-32, 12.პო-31, 13.ბორდო-23, 14.ლიმოჟი-19, 15.ტარბი-17, 16.ბლანიაკი-9.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

წყალხტომა

# ჭანტურია და კორახაშვილი: პეკინში პეკინისათვის

**ქართველ წყალმხტომელთა დუეტი ხვალ გაემგზავრება ჩინეთის დედაქალაქში, სადაც 18 თებერვლიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო მსოფლიო თასზე იასპარეზებს. აღნიშნული ტურნირი უკანასკნელი შეჯიბრებაა, სადაც ოლიმპიური საგზურები განაწილდება.**

პეკინში ჭოლა ჭანტურიასა და შოთა კორახაშვილის დუეტი ლიცენზიებისთვის იბრძოლებს როგორც ერთეულებში, ასვე სინქრონულ ხტომებში. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ სინქრონულში 8 ოლიმპიური საგზურიდან მხოლოდ 4 დარჩა თავისუფალი, უფრო რეალური ერთეულებში ბრძოლაა. აქ კი 22 ვაკანტური ლიცენზიაა, საიდანაც 18 სწორედ პეკინში გათამაშდება. რაც შეეხება დანარჩენ 4 საგზურს, ისინი მსოფლიო თასის შემდეგ ულიცენზიოდ დარჩენილებში ყველაზე მაღალრეიტინგიან კვარტეტს დაურიგდება.

საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია** პეკინში წასვლის წინ იმედიანადაა განწყობილი.

- ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი კარგად არიან მომზადებულები პეკინის ოლიმპიური თამაშების მსოფლიო თასისთვის. თუკი ფსიქოლოგიურად არ გაუჭირდებათ და მაქსიმალურად ნაკლებ შეცდომას დაუშვებენ, ლიცენზიის მოპოვება სავსებით შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ჭანტურია 1989 წელს არის დაბადებული, კორახაშვილი კი მასზე 2 წლით უმცროსია. ამ ასაკში თუკი ვინმე მოიპოვებს ლიცენზიას, ალბათ მხოლოდ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის - ჩინეთის წარმომადგენელი. ამდენად, ჩვენგან პეკინის საგზურის მოპოვება უნიკალური მოვლენა იქნება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თასზე 55 ქვეყანა მოიყრის თავს. თავდაპირველად, სინქრონულ ხტომებში გამოვალთ, მერე კი ერთეულებში. რაღა თქმა უნდა, უფრო დიდი იმედი ერთეულებში გვაქვს, სადაც მსოფლიო თასზე 18 ოლიმპიური საგზური გათამაშდება. თუმცა, სინქრონულშიც გავართულეთ პროგრამა და იქაც მაქსიმალურად მაღალი შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

მსოფლიო თასის შემდეგ კი, 26 თებერვლიდან ჩინეთშივე, შენჟენში გასამართ გრანპრის მეორე სერიაზე გამოვალთ, სადაც მონაწილეთა ხარჯებს მასპინძლები დაფარავენ.

**კობა ხატისაშვილი**





თარიღი

**ბეგი დარჩია.** დაიბადა 14.02.1963, ოზურგეთი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სსრკ ჩემპიონატების მეორე (1989) და ორგზის მესამე (1988, 90) პრიზიორი. საფრანგეთის, რუმინეთის, ფინეთის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საქართველოს ახალგაზრდული (1992-93) და ეროვნული (1992-დან) გუნდების მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები გახდა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონი (2003) და მეორე პრიზიორი (2002), ევროპის ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1997, 98, 2001), მსიფლიოს თასის მფლობელი (2004) და მესამე პრიზიორი (2003, ახალგაზრდულმა ნაკრებმა კი მსოფლიოს ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა (1993). მისი აღზრდილები არიან: მანუჩარ კვირკველია, ტარიელ მელელაშვილი, ლაშა ლომაძე, რეზო ჭელიძე. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

ზამთრის უნივერსიადა 2008

# სტუდენტები გუდაურში იკრიბებიან

ბოლო ხანებში ყველა კარგად ხედავს, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (პრეზიდენტი **ნიკა ამაშუკელი**) საქმიანობა როგორ გამოცოცხლდა. ჩვენი სტუდენტი სპორტსმენები მონაწილეობენ როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე საერთაშორისო ტურნირებში. ახლა კი სპორტის ზამთრის სახეობებში მონაწილეობის დროც დადგა.

*"15-17 თებერვალს, გუდაურში 20 უმაღლესი სასწავლებლის 60-მდე მონაწილე შეიკრიბება, გათამაშდება საპრიზო ადგილები და ჯილდოები სამთო-სათხილამურო სპორტში, კერძოდ კი გიგანტურ სლალომში. დაგეგმილია კულტურული ღონისძიებიც. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც მხარში გვიდგას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და პირადად მისი თავმჯდომარე* ***დავით ნამგალაური.***

ფაქტობრივად, ესაა საქართველოს პირველობა - ზამთრის უნივერსიადა 2008," - თქვა ლელოს კორესპინდენტთან საუბარში **ნიკა ამაშუკელმა**.

# პეკინისთვის მზად არ ვარ

## ლონდონისთვის მოვემზადები



ვალერი ლიპარტელიანი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

იგი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ საკუთარ ტალანტზე უკვე აალაპარაკა ძიუდოს სამყარო. ბოლო დროს ამდენი ქება იშვიათად რგებია ვინმეს. ახალგაზრდებში ევროპის მოქმედი ჩემპიონი უფროსთა ტურნირებში ეს-ესაა ჩაერთო - ჯერ მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატსა და თბილისის მსოფლიო თასზე იჭიდავა, მაგრამ ქომაგთა თუ სპეციალისტთა ყურადღების მისაქცევად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, მისგან არანაკლებ წარმატებებს ელოდებიან, ვიდრე ბოლო წლების რომელიმე "ამომავალი ვარსკვლავისაგან". ვფიქრობ, ბევრი მიხვდებოდა, რომ საუბარი ვალერი ლიპარტელიანზეა. ბიჭზე, რომელმაც სერიოზულად შეურყია ტახტი ზურაბ ზვიადაურსა და ირაკლი ცირეკიძეს. მართალია, ჯერ მათთან კონკურენციისთვის მზად არაა, რაც თავადაც მშვენივრად იცის და არც პეკინის ოლიმპიადაზე წასვლის ილუზიით ცხოვრობს, მაგრამ მომავლისა კი მტკიცედ ეიმედება.

ლიპარტელიანი ახლა პარიზშია, ერთობლივ ვარჯიშებზე, და ლეონდინგის ტურნირისთვის ემზადება. პარიზში იგი თავის კერპს, იაპონელ სამგზის მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონ კოსეი ინუესაც გაიცნობდა. ეს ინტერვიუც იქ წასვლამდე ჩაიწერა და უნდა ვთქვა, რომ ლიპარტელიანი საინტერესო მოსაუბრეც აღმოჩნდა. ვფიქრობ, თქვენც დაგაინტერესებთ, რა როლი ითამაშა მის ძიუდოისტად ჩამოყალიბებაში ნათესავმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა სოსო ლიპარტელიანმა; როგორ ექცევიან ახალგაზრდა კონკურენტს ცირეკიძე და ზვიადაური; როგორ აგულიანებდა რუს ევროპის ჩემპიონ ივან პერშინთან საჭიდაოდ ცირეკიძე; რას განიცდიდა ზვიადაურთან შეხვედრამდე და რას მიიჩნევს მასთან მარცხის მიზეზად... იგი იმაზეც ამომწურავად საუბრობს, რაში მოიკოჭლებს ამჟამად და რაში უნდა მოუმატოს.

**- ვალერი, გამომდინარე იქიდან, რომ თქვენს შესახებ ძიუდოს ქომაგმა თითქმის არაფერი იცის, უპრიანია, საკუთარი თავი წარადგინოთ.**

- მცხეთაში დავიბადე, თუმცა წარმოშობით ლენტეხიდან ვართ. ჩვენები იქიდან სტიქიური უბედურების შემდეგ გადმოასახლეს. მესამე კლასიდან უკვე თბილისში გადმოვსახლდით და ვარჯიშიც აქვე დავიწყე, "დინამოზე", ოღონდ სამბოში და არა, ძიუდოში. წელიწადში ძიუდოზე გადმოვედი - მარჯანიშვილზე, გურამ მოდებაძესთან. ამაში დიდი როლი მამამ და ჩვენმა ნათესავმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა სოსო ლიპარტელიანმა ითამაშეს, რომლის ჭიდაობაც ძალიან მომწონდა. ჩემი მოჭიდავედ ჩამოყალიბება სწორედ მოდებაძის დამსახურებაა - რასაც მივაღწიე, მისით. იგი დაუზარებლად მუშაობს და მაქსიმალურად ცდილობს შეგირდების დახმარებას.

**- სოსო ლიპარტელიანი თუ თქვენი ნათესავია, ზედმეტია იმის კითხვა, რატომ აგირჩევიათ ძიუდო...**

- სოსომ ამ არჩევანში მართლაც დიდი როლი ითამაშა. თან, მამაჩემსაც ძალიან უნდოდა, მოჭიდავე ვყოფილიყავი. ადრე თვითონ ქართულს ჭიდაობდა, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო დაანება თავი. მას ძალიან უნდოდა, შვილებში მოეხდინა იმის რეალიზაცია, რასაც თვითონ ვერ მიაღწია. რადგან ძმა არა მყავს, მისი ერთადერთი იმედი მე დავრჩი და, ვფიქრობ, მოლოდინსაც გავუმართლებ. სვანებს ჭიდაობები, განსაკუთრებით სამბო და ძიუდო უფრო გვიზიდავს, ვიდრე - ვთქვათ, ფეხბურთი. ამის დასტურად ძიუდოს დღევანდელი ნაკრების შემადგენლობის გადახედვაც კმარა. ბავშვობაში ასე მოვხვდი ჭიდაობაში და არც ვნანობ.

**- სპორტის სხვა სახეობები არ გიზიდავდა?**

- არა, არც ერთი. დიდუბეში ძირითადად ფეხბურთელების გარემოცვაში ვცხოვრობ და ბავშვობაში ზოგჯერ კი მიფიქრია, მეც იქ ხომ არ ვივარჯიშომეთქი, მაგრამ ეს ბავშვური გატაცება იყო, რაც მალევე გავიდა. სერიოზულად არც ერთს გავუტაცივარ, ჭიდაობა კი ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად მიყვარდა. პატარაობაში, თუ სადმე გავიგონებდი ჭიდაობას, დიდი სიამოვნებით მივდიოდი. განსაკუთრებით ხშირად ქართულის ტურნირებზე დავდიოდი. ძირითადად, კასპში, მეგობართან, სადაც ქართულს ყოველ შაბათ-კვირას ჭიდაობდნენ და ახლაც ასეა. ქართულის ილეთები ძიუდოშიც დიდად მადგება. მოკლედ, ასე შემოვრჩი ჭიდაობას, რასაც არ ვნანობ. პირიქით, ძიუდოს ოჯახში მოხვედრით ძალიან მოხარული ვარ, რადგან ბევრი რამ ვისწავლე - ადამიანობა, მეგობრობა, გვერდში დგომა, სხვისი დაფასება. ეს ერთ მუშტად შეკრული გუნდია, სადაც ყველასი მეიმედება და იმათაც ასევე უნდა ეიმედებოდეთ ჩემი.

**- მწვრთნელები თავიდანვე გატყობდნენ განსაკუთრებულ მონაცემებს?**

- არა. პირიქით - თავიდან ძალიან არასპორტული ვიყავი. არც სისწრაფით გამოვირჩეოდი და არც - სხვა რამით. რასაც მივაღწიე, ყველაფერი შრომისა და გურამ მოდებაძის დამსახურებაა. ასევე - მამისაც, რომელიც მოდუნების უფლებას არ მაძლევდა. რა დასამალია, პატარაობაში ვარჯიშებიც მეზარებოდა და დილით ადრე ადგომასაც ძილი მერჩივნა. ეს ბავშვური მომენტია და ალბათ, ყველა მოზარდი ასეა, მაგრამ მამა მკაცრად მაკონტროლებდა - დილით ადრიანად მაღვიძებდა სავარჯიშოდ და ისეც მომხდარა, წყალის დასხმითაც გამოვუფხიზლებივარ. სადღაც 14-15 წლიდან, როცა მივხვდი, რომ რაღაც შემეძლო, თვითონაც მოვინდომე და დაძალება ან კუდში დევნა არ მჭირდებოდა. პირიქით, ხშირად გაჩერებასა და დასვენებას მირჩევდნენ, რადგან ზედმეტად ვიტვირთებოდი. დროთა განმავლობაში, სპორტულ ცხოვრებაშიც ჩავერთე - იქ ტურნირზე გამოვედი, იქ შეკრებაზე წამიყვანეს და ამან უფრო მეტად ჩამითრია. მოგვიანებით, შრომის შედეგად, რაღაც მონაცემებიც გამოვავლინე. მაგალითად, ელასტიური ისედაც ვიყავი, მაგრამ ეს თვისება კიდევ უფრო განმივითარდა და ისე იოლად არ ვეცემი. მწვრთნელები ამბობენ, რომ ილეთსაც ვგრძნობ...

**- შენი აზრით, რაში გჭირდება დახვეწა, განვითარება, ყველაზე მეტად რაში გჭირდება მომატება?**

- ნაკლოვანებების გარეშე გამოცდილი სპორტსმენი არ არსებობს, არათუ ჩემნაირი ახალბედა. ყველაზე მეტად მაინც ფიზიკური ძალა მაკლია და ამ მხრივ უნდა მოვუმატო. დაღლით არ ვიღლები, მაგრამ ძალით ვიჩაგრები. ასევე - ტურნირები და გამოცდილებაც. ამ კომპონენტების ნაკლებობა კარგად ვიგრძენი თბილისის მსოფლიო თასზე, უფროსებში ნაჭიდავებ ჩემთვის პირველ სერიოზულ ტურნირზე. მაგალითად, ზვიადაურთან შეხვედრაში, რომელმაც ძალითაც მაჯობა და გამოცდილებითაც. ტექნიკურადაც მეტია სამუშაო. მაგალითად, მე ძირითადად მარჯვნიდან ვჭიდაობ და საპირისპირო მხარის მოჭიდავეებთან მიჭირს. სხვათა შორის, ზვიადაურმა ესეც გაითვალისწინა და მარცხნიდან მეჭიდავებოდა. ასეთები, ჯერჯერობით, ჩემთვის უხერხულ მეტოქეებად რჩებიან და მარცხნიდან მუშაობა უნდა გავაუმჯობესო. მოკლედ, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ამისთვის მზად ვარ, მთავარ პრობლემად კი მაინც ფიზიკურ ძალას დავასახელებ.

**- ცოტა არ იყოს, მიეჩვიე წარმატებებს - შინ თუ გარეთ, ბოლო წლებში ყველაფერს იგებ. ცხადია, ეს გამარჯვებულის ფსიქოლოგიას ჩამოგიყალიბებდა, მაგრამ ასეთებს ძალიან უჭირთ მარცხთან შეგუება. შენ როგორ რეაგირებ წაგებაზე - ხომ არ ითრგუნები ამით, თუ პირიქით - ეს გაკვეთილია შენთვის?**

- არა, წაგებაზე ნამდვილად არ ვითრგუნები, ეგრე ცუდად არ მოქმედებს. უფრო მეორე ვარიანტია - ვსწავლობ ამით. თუნდაც ზვიადაურთან წაგება დიდი გაკვეთილი იყო - ბევრი ისეთი შეცდომა დავინახე, რაც არ უნდა მომსვლოდა, და ახლა მათ გამოსასწორებლად ვიზრუნებ.

**- ალბათ, თბილისის ტურნირზე ყველაზე ძნელი ბრძოლაც ზვიადაურთან გადაიტანეთ, თუ სხვას გამოარჩევთ? მით უფრო, ევროპის ჩემპიონებსა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსაც შეხვდით.**

- ძალიან დიდი განსხვავებაა ახალგაზრდებისა და უფროსების ტურნირებს შორის. 4 თვით ადრე ახალგაზრდების ევროპა ვიჭიდავე, სადაც უმეტესობა წმინდად დავამარცხე, აქ კი სუფთად მხოლოდ რუს ივან პერშინს მოვუგე, სხვებთან კი ბოლომდე დამჭირდა ბრძოლა. ყველაზე ძნელი კი მართლაც ზვიადაურთან შეხვედრა იყო. ალბათ, მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, არ წავაგებდი, მისმა ფაქტორმა კი ფსიქოლოგიურად იმოქმედა. ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა, მაშინ ბავშვი ვიყავი. მახსოვს, სიხარულისგან ვტიროდი კიდეც. იმ დროს ჯერ კიდევ ვერ წარმოვიდგენდი, არათუ ასე მალე, ოდესმე მის წინააღმდეგ თუ მომიწევდა ჭიდაობა, მის პირისპირ თუ დავდგებოდი ტატამზე... ამიტომ ვერ განვეწყვე საჭიდაოდ, თორემ სხვა რომ ყოფილიყო, სულ სხვანაირად გავიდოდი და სხვანაირადაც ვიჭიდავებდი.

**- მაგრამ თქვენ შეკრებებზეც გიჭიდავიათ ერთმანეთში და ერთი შეხვედრა მოუგეთ კიდეც. თანაც, იცოდით, აქ ორივე იჭიდავებდით და ერთმანეთთან შეხვედრის შანსიც იყო. წესით, საამისოდ ფსიქოლოგიურად უნდა მომზადებულიყავით...**

- მაგრამ საკონტროლო შეხვედრა სხვაა, აბსოლუტურად განსხვავებული ასეთი მასშტაბის ტურნირზე ჭიდაობისგან. სწორედ ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი. თან, ზვიადაური, ზვიადაურიო, ბავშვობიდანვე მესმოდა, აქეთ ოლიმპიური ჩემპიონიაო და ამან იმოქმედა, თორემ მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, სხვანაირად ვიჭიდავებდი.

**- მაგრამ ძალზე იოლად მოუგეთ ევროპის ჩემპიონ პერშინსა და შვეიცარიელ აშვანდენს, ასევე ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორ ფალავანს. მათთან როგორ განეწყვეთ ისე კარგად?**

- რა ვიცი - განვეწყვე. სხვათა შორის, პერშინთან საჭიდაოდ გასვლამდე ცირეკიძემ ორჯერ მითხრა, ხომ არ ნერვიულობ, დარბაზის რეაქციას ხომ არ განიცდიო. პირიქით - ტაშის დაკვრა, ქომაგობა და ჩემი გვარ-სახელის გამოცხადება უფრო მაგულიანებდა. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ, ვაი, ევროპის ჩემპიონს ვხვდები და ნეტა, რა მოხდება-მეთქი. იმის შეგრძნება, რომ ასეთ ტიტულოვან ფალავნებს ვეჭიდავებოდი, სტიმულს მაძლევდა და უფრო თავისუფლად ვჭიდაობდი.

**- გასაგებია. არადა, საჭიდაოდ განწყობა არ გიჭირთ. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატზე გამაოცეთ, ყოველ შეხვედრაში იმდენად მშვიდად და უშფოთველად გადიოდით. ცხოვრებაშიც ასე გაწონასწორებული ხართ?**

- შეიძლება, ცოტა ემოციური ვარ, მაგრამ ადვილად არ ვბრაზდები. განწყობა კი მართლაც მეხერხება - არ მაშინებს მეტოქის ტიტულები; წინასწარ არ ვნერვიულობ მოსალოდნელ წაგებაზე, რადგან თავიდანვე მოსაგებად ვარ განწყობილი და ტატამზეც ამ შემართებით შევდივარ, გალიმებული და გამარჯვებაში დარწმუნებული. მგონი, წასაგებად არც ერთი სპორტსმენი არ გადის, მაგრამ თუ ვინმე მაინც ფიქრობს წაგებაზე, ის ნახევარი ძალით ჭიდაობს. ბევრია ისეთი მოჭიდავე, რომელიც შეკრებაზე ძლიერებს უგებს, ხშირად - ბევრად მძიმეწონოსნებსაც ამარცხებს, მაგრამ ტურნირზე ვერაფერს აკეთებს. მართალია, ბევრი პირიქითაცაა, მაგრამ არ უნდა განიცდიდე საჭიდაოდ გასვლის მომენტს. ყოველთვის ლაღად უნდა ჭიდაობდე და სიამოვნებას იღებდე ჭიდაობისგან. დავით ქევხიშვილი ამბობს, ჭიდაობამ სიამოვნება უნდა მოგანიჭოს და თუ ამას ვერ ვიგრძნობ, მაშინ რაღა აზრი აქვს სპორტში დარჩენასო. მშიშარა კი არასოდეს ვყოფილვარ, ბავშვობაშიც კი.

**- ალბათ, შეგუებული ხართ იმ აზრს, რომ წლეულს თქვენს წონაში არსებულ უდიდეს კონკურენციას ვერ დაძლევთ და ვერც პეკინში წახვალთ?**

- ოოო, ჩვენთან მართლაც დიდი კონკურენციაა - აქეთ მსოფლიო ჩემპიონი, იქეთ - ოლიმპიური ჩემპიონი, თუმცა კონკურენცია კარგიცაა - მეტს შრომობ, მეტს ინდომებ, ცდილობ, სხვამ არ გადაგასწროს. თუმცა ჩემს შემთხვევაში პირიქითაა - მე უნდა დავეწიო იმათ. ამ კონკურენციაში ჩასარევად ჯერ მზად არ ვარ და აქცენტს უფრო მომავალ, ლონდონის ოლიმპიურ ციკლზე გავაკეთებ. ვნახოთ, დრო ბევრია და ყველაფერი წინაა. ყველანაირად ვეცდები, ქომაგთა იმედები გავამართლო და იმაზე მეტსაც მივაღწიო, რასაც ახლა ელოდებიან - მერე რომ არ თქვან, ერთი რაღაც მოიგო და მეტს ვერ მიაღწიაო.

**- ეს კონკურენცია ადამიანურ ურთიერთობებზე ხომ არ მოქმედებს? გუნდში ვისთან მეგობრობ?**

- გუნდში ძალიან კარგი, მეგობრული ატმოსფეროა. როგორც ყველაზე პატარას, ბიჭები რჩევა-დარიგებებს არ მაკლებენ. ცირეკიძეზე ზემოთაც გითხარით, მაგრამ ერთსაც დავამატებ - პერშინს რომ შევხვდებოდი, ეს ხომ წილისყრის დღესვე გავიგე და ირაკლი სულ მეუბნებოდა, ევროპის ჩემპიონი რომაა, ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს, მოგება ყველასთან შეიძლებაო. ქევხიშვილი სულ მარიგებდა, ვის ხვდები, მაგაზე არ იფიქრო - ეცადე, შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოო. ლაშა გუჯეჯიანი გამუდმებით ჩამჩიჩინებდა, შენ შეგიძლია წარმატებით გამოსვლაო. ამ ტურნირზეც და ზოგადადაც დიდი წვლილი მიუძღვის ზვიადაურსაც. იგი არ ფიქრობს იმაზე, რომ კონკურენტი ვარ და იქნებ ხვალ მე შევცვალო - ძალიან ბევრს მარიგებს და მასწავლის. კონკურენცია ადამიანურ ურთიერთობებზე არანაირად არ მოქმედებს. ბიჭებს დიდ მადლობას ვუხდი ამ ყველაფრისთვის.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

## ჯონსი ხუთი კვირა ვერ ითამაშებს

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ფორვარდი **ჯეიმს ჯონსი** კიდევ კარგა ხანი ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ექიმებმა კალათბურთელს მკურნალობის პერიოდი გაუხანგრძლივეს და სავარაუდოდ, ჯონსი მხოლოდ 4-5 კვირის შემდეგ თუ შეძლებს რეგულარულ ჩემპიონატში ჩართვას.

27 წლის ფორვარდი ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა სამქულიანების რეალიზების პროცენტული მაჩვენებლით - ის შორეული ტყორცნების 48.3 პროცენტს ათავსებს კალათში. ჯონსი რეგულარულ ჩემპიონატს 4 თებერვალს, მარცხენა მუხლის ტრავმის გამო გამოაკლდა.

## ილგაუსკასმა პეკინში ვითამაშებო

"კლივლენდ კავალიერზის" ლიტველმა ცენტრმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** პეკინის ოლიმპიადაზე ლიტვის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა - ამის შესახებ სააგენტო "როიტერი" იტყობინება.

აღსანიშნავია, რომ ლიტველ გიგანტს ქვეყნის ნაკრების რიგებში ოფიციალური მატჩი არასოდეს ჩაუტარებია. ჟიდრუნასმა მხოლოდ რამდენიმე ამხანაგურ მატჩში დაიცვა ლიტვის ნაკრების ღირსება.

## სიეტლმა ჟელაბალე გამოიძახა

"სიეტლ სუპერსონიქსმა" D-ლიგაში მოთამაშე "აიდაჰოდან" ფრანგი მცველი **მიკაელ ჟელაბალე** გამოიძახა.

24 წლის კალათბურთელი წელს უკვე თამაშობდა "სიეტლის" შემადგენლობაში. სეზონის სტარტზე, მან "სონიქსის" რიგებში 24 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 2.5 ქულა დააგროვა, რის შემდეგაც, კლუბის ხელმძღვანელობამ ფრანგი ფარმკლუბში გაუშვა.

## გორდონი ოლ სტარის შემდეგ დაბრუნდება

"ჩიკაგო ბულზის" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მცველი **ბენ გორდონი** მხოლოდ "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდის შემდეგ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

კალათბურთელმა მორიგი სამედიცინო შემოწმება სამშაბათს გაიარა, რომელმაც აჩვენა, რომ მაჯის ტრავმა ჯერ ბოლომდე მოშუშებული არ არის. ასე რომ, გორდონი მინიმუმ კიდევ ორ შეხვედრას გამოტოვებს.

## მიმი ოპერაციას გაიკეთებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **კრის მიმი** ამ კვირას ოპერაციას გაიკეთებს. კალათბურთელმა მარჯვენა ფეხის ტრავმა 23 დეკემბერს მიიღო და მას შემდეგ ერთხელაც არ გასულა პარკეტზე.

კალიფორნიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** განაცხადა, რომ მიმისთვის ოპერაცია ოპტიმალური ვარიანტია - მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ცენტრალური თავდამსხმელი ამ სეზონში კლუბისთვის დახმარების გაწევას. როგორც ვარაუდობენ, რეაბილიტაციის პერიოდი 4-6 კვირას დაიკავებს.

## ლეტუვოს რიტასმა მცველი დაკარგა

გუშინ, "ლეტუვოს რიტასმა" ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი თავისი შემტევი მცველის, **რობერტს შტელმაჰერსის** გარეშე დაიწყო. კალათბურთელმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ფეხის კუნთი დაიზიანა და ახლა, ამის გამო დაახლოებით სამი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის შტელმაჰერსმა მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო, სეზონის საწყისი ნაწილიც გამოტოვა.

## ჟალგირისმა ბრედლი გაუშვა

კაუნასის "ჟალგირისმა" და ამერიკელმა ცენტრმა **მაიკლ ბრედლიმ** ორმხრივი შეთანხმების თანახმად გაწყვიტეს მოქმედი კონტრაქტი.

ბრედლიმ ლიტვის ჩემპიონის რიგები გასულ ზაფხულს შეავსო, მაგრამ სხვადასხვა ტრავმების გამო, ჯამში მხოლოდ შვიდ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამერიკელის შემცვლელი უნდა გახდეს სენეგალელი ცენტრი **მამადუ ნ'დიაიე**, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ გააფორმა კონტრაქტი "ჟალგირისთან".

ჰოკეი

## ჩიკაგო ფორსბერგის მოხიბვლას ცდილობს

ხუთ გუნდამდე შემცირდა იმ კლუბების სია, რომელთა რიგებში გადასვლაზე უარი არ უთქვამს ცნობილ შვედ ფორვარდს **პეტერ ფორსბერგს**. ესენი არიან: "ჩიკაგო", "კოლორადო", "ფილადელფია", "ოტავა" და "ვანკუვერი".

"ჩიკაგოს" გენერალური მენეჯერი **დეილ ტელონი** აცხადებს, რომ ამ ხუთი კლუბიდან, სწორედ "ბლეკჰოქსმა" შესთავაზა ყველაზე უკეთესი ფინანსური პირობები შვედ ვეტერანს. თუმცა თავად ფორსბერგის სიმპათიები "ფილადელფიასკენ" და "კოლორადოსკენ" იხრება. თავის დროზე, სწორედ ამ კლუბებში უთამაშია ფორვარდს.

მოტოსპორტი

## როსი 35 მილიონით დაისაჯა

მოტორბოლაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **ვალენტინო როსი** იტალიის საგადასახადო კომიტეტში 35 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმას გადაიხდის. სწორედ ასეთი თანხით დაისაჯა იტალიელი მოტომრბოლი, რომელიც 2000-07 წლებში თავს არიდება გადასახადების გადახდას.

2000 წელს, როსიმ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა - იტალიიდან ბრიტანეთში გადავიდა, ტიტულს ტიტულზე იგებდა და უპრობლემოდ ცხოვრობდა. მაგრამ მალე იტალიის მთავრობამ გაარკვია, რომ ამ გზით, როსიმ გადასახადებისთვის თავის არიდები შეძლო და გამოძიებაც დაიწყო. საბოლოოდ, მოტომრბოლს 112 მილიონი ევროს გადახდა დაავალეს.

მაგრამ საგადასახადო კომიტეტთან ხანგრძლივი გარჩევების შემდეგ, როსიმ ერთგვარ ზავს მოაწერა ხელი და 35 მილიონი ევროს გადახდას დათანხმდა.

კრივი

## დე ლა ჰოიას ამერიკელი შვილი

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ოსკარ დე ლა ჰოია** ავტობიოგრაფიულ წიგნს გამოუშვებს, რომლის სახელწოდება იქნება "ამერიკელი შვილი".

როგორც Fightnews.com იუწყება, "ოქრო ბიჭი" (ასე უწოდებენ ოსკარ დე ლა ჰოიას) დაწვრილებით ყვება თავისი ცხოვრებისა და კარიერის ეტაპების შესახებ: 1992 წლის ოლიმპიადაში გამარჯვებაზე, რომელიც მან გარდაცვლილ დედას მიუძღვნა, აზარტული თამაშებითა და ქალებით გატაცებაზე, ამერიკულ ოცნებაზე, რომელიც მან უკვე აისრულა, პრომოუტერულ ბიზნესზე და იმ ბედნიერებაზე, რასაც მან თავის მეუღლე **მიმისთან** და ორ შვილთან ერთად მიაღწია.

წიგნს გამომცემლობა Harper Entertainment გამოუშვებს და მისი პრეზენტაცია ამა წლის 20 მაისს გაიმართება.

კალათბურთი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სად წავა მაიკ მილერი?

"დენვერ ნაგეტსი", "ბოსტონ სელტიქსი", "ჰიუსტონ როკეტსი" და მოქმედი ჩემპიონი "სან ანტონიო სპურსი" ერთსა და იმავე მოთამაშეს უმიზნებენ. ოთხივე გუნდი საპლეიოფოდ შემადგენლობის გაძლიერების საუკეთესო საშუალებად "მემფის გრიზლისის" მსუბუქ ფორვარდი, **მაიკ მილერი** მიაჩნიათ.

მაინც, რა ნახეს გრანდებმა თეთრკანიან უნივერსალში ისეთი, რაც სხვებში, მასზე გაცილებით ათლეტურებსა და მოძრავებში ვერ შეამჩნიეს?

კითხვას გარკვეულწილად ჩვენვე გავეცით პასუხი, რადგან მილერი უნივერსალია, რომელსაც პირველი, ორი და სამი ნომრების თამაში შეუძლია და არცთუ მცირე საკალათბურთო ინტელექტის ხარჯზე, ამას მშვენივრადაც აკეთებს.

მილერმა თავისი პირველი სეზონი 2000-01 წლებში ჩაატარა და მაშინვე, "მეჯიქის" სახელით, წლის საუკეთესო ახალბედა გახდა. სტატისტიკა გადასარევი ნაღდად არ ყოფილა (11.9 ქულა, 4.1 მოხსნა, 1.7 შედეგიანი გადაცემა), თუმცა ძლიერი პირველწლიანების დეფიციტისა და მილერზე ნიჭიერ ახალბედათა ტრავმების გამო, პრიზი მაიკმა მიიღო.

მას მერე, მილერმა "მეჯიქში" კიდევ სეზონნახევარი გაატარა, რის შემდეგაც ტრეიდით "მემფისში" გადავიდა, სადაც დღემდე საკმაოდ პროდუქტიულად ირჯება.

თავისი საუკეთესო სეზონი მაიკს შარშან ჰქონდა, როდესაც ერთ მატჩში საშუალოდ 18.5 ქულა, 5.4 მოხსნა და 4.3 ზუსტი პასი შეანია გუნდს და პრინციპში, მილერი წელსაც მშვენიერ სტატისტიკას (17.0 ქულა, 6.6 მოხსნა, 3.7 პასი) უყრის თავს. სხვა საქმეა, რომ მისი უნივერსალიზმი, რამდენიმე სამმაგი დუბლი თუ ულამაზესი პასები, "გრიზლისს" დასავლეთის რვა საუკეთესოში ვერაფრის დიდებით ვერ გაიყვანს, რამაც მაიკისადმი მთხოვნელთა რაოდენობა გაზარდა.

მილერი ჯერ მხოლოდ 27 წლისაა და მიუხედავად ამისა, თავის გუნდში (მაშინაც კი, როდესაც "მემფისში" **პაუ გასოლი** იყო) ყველაზე ხმამაღალი სიტყვა ეთქმის. მოდით, გადავხედოთ, ვინ ვის სთავაზობს "მემფისს" მაიკ მილერში.

**"დენვერი":** კოლორადოელები მზად არიან შეელიონ მსროლელ **ჯეი. არ. სმიტსა** და ამას გარდა, "მემფისს" ან მომდევნო წლის დრაფტის პირველი წრის არჩევანი ან გარკვეული თანხა დაუმატონ.

**"ბოსტონი":** რეგულარულის ერთპიროვნული ლიდერის ამ კაცისადმი ინტერესი გაუგებარია, რადგან **პოლ პირსი, რეი ალენი, ჯეიმს პოუსი** და **ტონი ალენი** ჰყავს, მაგრამ **დოკ რივერს** მაინც სურს თავის გუნდში მაიკის ხილვა და "მემფისს" მომდევნო ორი წლის დრაფტის პირველ და მეორე წრეში ასაყვან ახალგაზრდებსა და დაახლოებით, 6 მილიონ დოლარს აძლევს.

**"ჰიუსტონი":** თუ "გრიზლისი" ტრანსფერზე მწვანეს აანთებს, ტეხასელები ნიჭიერ, მაგრამ ზედმეტად ამბიციურსა და მოუთოკავ ფორვარდს, **ბონზი უელსს** შეელევიან.

**"სან ანტონიო":** გამოცდილი მსროლელი **ბრენტ ბერი**, ვისაც "სპურსთან" წელს კონტრაქტი უმთავრდება და მომდევნო დრაფტის პირველი და მეორე წრის არჩევანი. ასეთია მოქმედი ჩემპიონის ამანათი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერის კონტრაქტი უსრულდება, მაშინ "მემფისისთვის" ეს ვარიანტი მიუღებელი არ უნდა იყოს.

ზურაბ თალაკვაძე

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-დეტროიტი 90:94**

18:25, 30:30, 28:19, 14:20

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (30 ქ. 6 მ. 3 დ), ჰორფორდი (12 ქ. 16 მ), ჩილდრესი (12 ქ. 2 ჩ), ჯო ჯონსონი (11 ქ. 9 მ), **ზაზა ფაჩულია (2 ქ. 2 მ. 2 პ).**

**დეტროიტი:** რ. უოლასი (21 ქ. 5 ჩ. 2 დ), ბილაპსი (16 ქ. 8 პ), რ. ჰამილტონი (12 ქ), სტაკი (12 ქ).

**ნიუ ჯერსი-მინესოტა 92:88**

16:16, 22:19, 28:21, 26:32

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (17 ქ. 10 პ. 6 მ. 3 ჩ), ნახბარი (14 ქ), რ. ჯეფერსონი (13 ქ. 12 მ), კრსტიჩი (10 ქ. 8 მ), კიდი (9 ქ. 10 მ. 9 პ), ბუნი (8 ქ. 11 მ. 4 დ).

**მინესოტა:** ტელფეირი (24 ქ. 7 პ), ე. ჯეფერსონი (16 ქ. 11 მ), ა. უოკერი (12 ქ).

**მემფისი-საკრამენტო 107:94**

25:34, 29:25, 32:20, 21:15

**მემფისი:** უორიკი (24 ქ. 13 მ), გეი (21 ქ), ნავარო (19 ქ. 6 მ), მ. მილერი (17 ქ. 10 მ), მილიჩიჩი (14 ქ. 8 მ), კონლი (11 ქ. 2 ჩ).

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (33 ქ. 7 მ), ბიბი (18 ქ), არტესტი (18 ქ. 7 პ. 3 ჩ), ბ. მილერი (10 ქ. 13 მ. 6 პ).

**ინდიანა-ბოსტონი 97:104**

25:21, 25:30, 27:31, 20:22

**ინდიანა:** გრეინჯერი (18 ქ. 10 მ. 5 დ), შ. უილიამსი (12 ქ. 2 დ), კ. რაში (13 ქ), მერფი (13 ქ. 9 მ), მ. დანლივი-უმცროსი (13 ქ. 2 ჩ), მ. დენიელსი (10 ქ).

**ბოსტონი:** პირსი (28 ქ. 12 მ. 5 პ), რ. ალენი (23 ქ. 2 ჩ), პოუ (16 ქ. 9 მ. 2 დ), რონდო (12 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ. 2 დ).

**მაიამი-დენვერი 113:114 (ო)**

32:23, 31:34, 15:27, 24:18, 11:12

**მაიამი:** უეიდი (29 ქ. 10 პ. 2 ჩ), მერიონი (23 ქ. 18 მ. 2 დ), დ. რაიტი (19 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბლაუნტი (18 ქ. 13 მ), რ. დევისი (10 ქ).

**დენვერი:** ჯეი. არ. სმიტი (28 ქ), კენიონ მარტინი (24 ქ. 6 მ), ენტონი (22 ქ. 11 მ. 2 ჩ), აივერსონი (16 ქ. 7 პ. 6 მ), კემბი (12 ქ. 16 მ. 7 დ).

**ჩიკაგო-ნიუ ორლეანი 86:100**

27:25, 23:18, 18:29, 18:28

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (28 ქ), ჰაინრიხი (15 ქ), სეფოლოშა (12 ქ. 6 მ), ბ. უოლასი (9 ქ. 16 მ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (27 ქ. 7 მ. 3 ჩ), სტოიაკოვიჩი (27 ქ. 2 ჩ), პოლი (25 ქ. 14 პ. 2 ჩ), ჩენდლერი (4 ქ. 16 მ. 3 ჩ. 3 დ).

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# სელიანემ სეზონი გახსნა

**ბოსტონი-კაროლინა 2:3**

0:2, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ლედი-7 (ბრინდამორი-31, პედიკანი-11), 0:2 ლედი-8 (ბრინდამორი-32, სამსონოვი-11), 0:3 სამსონოვი-5 (ფ. კაბერლე-12, კორვო-22), 1:3 შ. ტორნტონი-1 (ფერენსი-11, სავარი-49), 2:3 შ. ტორნტონი-2 (ხარა-28, ვიდემანი-17).

**აილენდერსი-ფილადელფია 4:3**

1:0, 2:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ჰანტერი-8 (ფედოტენკო-16, ვაშიჩეკი-10), 1:1 ბრიერი-21 (ნუბლი-17, ლუპული-20), 2:1 ტამბელინი-1, 3:1 ბერგენჰაიმი-6 (ჰანტერი-21), 3:2 ჰარტნელი-19 (უმბერგერი-28, ჯ. კარტერი-17), 4:2 ფედოტენკო-10 (ჰანტერი-22, ვაშიჩეკი-11), 4:3 ლუპული-17 (მ. რიჩარდსი-40, ბრიერი-33).

**ოტავა-ბაფალო 1:5**

0:0, 0:1, 1:4

**გოლები:** 0:1 ვანეკი-18 (ბ. კემპბელი-36, დ. რუა-25), 0:2 ვანეკი-19 (ბ. კემპბელი-37, კონოლი-25), 1:2 რ. რობიტაილი-9 (მეზაროში-18, სტილმანი-26), 1:3 მაკარტური-7 (ჰეხტი-19, პომინვილი-35), 1:4 ვანეკი-20 (კონოლი-26, კოტალიკი-17), 1:5 პომინვილი-16 (ჰეხტი-20, მაკარტური-7).

**ტამპა ბეი-მონრეალი 3:2**

2:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰიგინსი-17 (ა. მარკოვი-29), 1:1 ულეტი-7 (პლავაჩი-11, გრეტონი-11), 1:2 პლეკანეცი-21 (მტრაიტი-30), 2:2 პროსპალი-24 (ლეკავალიე-41, სენტ ლუისი-47), 3:2 პროსპალი-25 (ლეკავალიე-42).

**ნეშვილი-დეტროიტი 4:2**

3:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 რადულოვი-22 (არნოტი-32, დუმონი-31), 2:0 ერატი-17 (ჰევერლეი-4, ჰამჰუისი-20), 3:0 დუმონი-21 (არნოტი-32, ჟიდლიცკი-27), 3:1 ფრანცენი-12 (ფილპულა-12, ჰუდლერი-23), 4:1 რადულოვი-23 (ერატი-25, სატერი-17), 4:2 დაციუკი-20 (ლიდსტრომი-49).

**სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი 4:2**

0:1, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ფროლოვი-15 (ო'სალივანი-18, დალმანი-1), 1:1 ე. მაკდონალდი-11 (ჯეკმენი-5, კარია-35), 1:2 დ. ბრაუნი-25 (მოულსონი-4, კოპიტარი-30), 2:2 რუჩინსკი-4 (მაკლემანი-8, ბექსი-13), 3:2 მაკკი-2 (რუჩინსკი-8, მაკლემანი-9), 4:2 ბექსი-8 (მეიერსი-12, ტკაჩუკი-23).

**ედმონტონი-მინესოტა 4:2**

1:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 პიზანი-5 (კოლიანო-18), 1:1 დემიტრა-12 (ფოსტერი-9, გაბორიკი-29), 2:1 სტოლი-10 (სემ განიე-22), 3:1 ბროძიაკი-7 (გლენკროსი-7, სტორტინი-3), 4:1 ბროძიაკი-8 (გერებეშკოვი-7, გლენკროსი-8), 4:2 როლსტონი-23 (პილი-3).

**კოლორადო-ანაჰაიმი 1:2**

1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 სვატოსი-25 (ვოლსკი-24, ჰენანი-14), 1:1 სელიანე-1 (გეტცლაფი-42, პრონგერი-28), 1:2 პალსონი-4 (მოენი-3, რ. ნიდერმაიერი-6).

**სან ხოსე-კალგარი 3:4 (ო)**

1:1, 1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ლენგკოუ-22 (ნოლანი-8, პუსელიუსი-31), 1:1 გოკი-4 (შელეი-2, ვლასიჩი-8), 1:2 მ. სმიტი-1 (ლომბარდი-17), 2:2 მ. მიხალეკი-19 (რივე-22, ჩიჩუ-9), 3:2 რისმილერი-7 (გრირი-10, ტ. მიტჩელი-9), 3:3 ფანოფი-11, 3:4 იგინლა-35 (ფანოფი-28).

### ტურის მოვლენები

- "კაროლინას" ფორვარდმა **რეი უიტნიმ** კარიერაში მე-900 მატჩი ჩაატარა. უიტინისთვის ეს იყო მე-200 შეხვედრა "კაროლინას" მაისურით.

■ ■ ■

- "აილენდერსმა" სეზონში პირადი რეკორდი დაამყარა - 47 ზუსტი დარტყმა შეასრულა.

- ნიუიორკულმა კლუბმა შეწყვიტა შინ შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია. "კუნძულელებს" 29 დეკემბრის შემდეგ არ ჰქონდათ მოგებული საკუთარ მოედანზე.

■ ■ ■

- "ბაფალოს" ფორვარდმა **ტომაშ ვანეკმა** კარიერაში პირველი ჰეთ-ტრიკი შეასრულა.

- "სეიბრზმა" ბოლო 9 მატჩში შვიდი მოიგო და ორი ოვერტაიმში წააგო. ამ სერიის წყალობით, "ბაფალომ" მერვე ადგილზე გადაინაცვლა და პლეიოფის ზონაში შეაღწია.

■ ■ ■

- რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა, "დეტროიტ რედ უინგზმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო.

- "დეტროიტის" ფორვარდმა **ჰენრიკ ზეტერბერგმა** შეწყვიტა შვიდმატჩიანი სერია, რომლის დროსაც ის მინიმუმ ქულას აგროვებდა მატჩში.

■ ■ ■

- "სენტ ლუისმა" შეწყვიტა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია. ამ გუნდმა ბოლო 14 მატჩში მხოლოდ მესამედ მოიგო.

■ ■ ■

- "ედმონტონმა" ბოლო პერიოდი 2:1 მოიგო და ეს იმ დროს, როცა მისმა მეტოქემ 20 წუთში 21 ზუსტი დარტყმა შეასრულა, "ოილერზმა" კი, მხოლოდ 4.



- "ედმონტონმა" ბოლო 4 მატჩში მესამედ მოიგო და პლეიოფში მოსახვედრად იბრძვის. ამ გუნდს მერვე ადგილზე მყოფ "კალგარისთან" 9 ქულა აშორებს.

- "ოილერზმა" მესამე ჰოკეისტი დაკარგა სეზონის ბოლომდე. ფორვარდების - **შონ ჰორკოფისა** და **რაფი ტორესის** შემდეგ, წელს მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს მცველი **შელდონ სურეი**.

■ ■ ■

- დიდ ჰოკეიში დაბრუნების შემდეგ, **ტეემუ სელიანემ** პირველი გოლი იზეიმა. ეს ვეტერანი ფორვარდის 541-ე შაიბა იყო და NHL-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში ის 26-ე ადგილზე მყოფ **სტენ სიკიტას** დაეწია.

- "ანაჰაიმმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო. ეს სერია სწორედ მაშინ დაიწყო, როცა გუნდს სელიანე დაუბრუნდა. გარდა ამისა, "დაქსმა" საკლუბო რეკორდი დაამყარა - სტუმრად ზედიზედ მეცხრე შეხვედრაში გაიმარჯვა.

- "ანაჰაიმის" ფორვარდმა **რაიან გეტცლაფმა** კარიერაში მე-100 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

- "კოლორადომ" შეწყვიტა სამმატჩიანი მოგებათა სერია.

## მძლეოსნობა

### სეზონის წინ

# პაუელმა ტრავმა მიიღო



ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენს, იამაიკელ **ასაფა პაუელს** ამ სეზონში პირველად სიდნეიში, დიდი პრიზის სერიის ტურნირზე უნდა ესასპარეზა, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო, რომელიც ავსტრალიაში, სეირნობის შემდეგ მიიღო, სეზონში თავისი დებიუტი ცოტა ხნით გადადო.

პაუელი სეირნობის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებოდა, როცა კიბეზე არბენისას დაეცა და მუხლი დაიზიანა. ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ მას ქრილობაზე რამდენიმე ნაკერი დაადეს. *"როცა დიდი აღნაგობის ადამიანი მუხლზე ეცემა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მტკივნეულია"*, - ამბობს პაუელი, ვინც იძულებული გახდა, ამ ტრავმის გამო ვარჯიში რამდენიმე დღით შეეწყვიტა, თუმცა ირწმუნება, რომ პეკინის ოლიმპიადისთვის სამზადისში ეს ხელს არ შეუშლის.

*"ამ კვირაში მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშებსა და შემდეგ სიდნეის ტურნირზე გამოსვლას ვგეგმავდი. ასე რომ, ეს ტრავმა მზადების პროცესში ხელს დიდად არ შემიშლის. ტრავმაც არაა სერიოზული. ტკივილიც ახლა ნაკლებად მაწუხებს. ასე რომ, სავარჯიშო ბილიკს მალე დავუბრუნდები, თუმცა სიდნეიში გამოსვლაზე უარის თქმა მიწევს"*, - დასძენს 25 წლის პაუელი.

ავსტრალიაში მას დიდი პრიზის სერიის ორ ტურნირზე აქვს განაცხადი შეტანილი. სიდნეის ტურნირს მელბურნისა მოსდევს და პაუელი იმედოვნებს, რომ იქ მაინც შეძლებს ასპარეზობას. თუმცა ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რეკორდსმენს ჯერ არც მსოფლიო ჩემპიონატზე და არც ოლიმპიადაზე არ მოუპოვებია ოქროს მედალი. ამ ნაკლის გამოსწორება მას შარშან, ოსაკას (იაპონია) მსოფლიო ჩემპიონატზე შეეძლო, მაგრამ ზედმეტმა ნერვიულობამ ცუდი სამსახური გაუწია და შინ მხოლოდ ბრინჯაო გაიყოლა. სამაგიეროდ, ჩემპიონატიდან რამდენიმე დღის შემდეგ, იტალიის ქალაქ რიეტიში ასპარეზობისას, სპორტული სამყარო ფენომენური შედეგით გააოცა - ასი მეტრი 9.74 წამში გაირბინა. ერთადერთი დიდი ტურნირი, რომელზეც მას ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებია, რომელზეც მან ორი წლის წინათ (მელბურნში) გაიმარჯვა.

## ავტოსპორტი

### ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# რუსეთი ავსტრალიის ნაცვლად?



ბრიტანულ პრესაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ **ბერნი ეკლსტოუნს** განზრახული აქვს, ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრიდან ავსტრალიის დიდი პრიზის ამოღება, რითაც ადგილს გაუთავისუფლებს რუსეთის დიდ პრიზს.

საქმე ისაა, რომ ეკლსტოუნს კვლავაც ძალიან უნდა, რომ კალენდარში რუსეთის ეტაპი ჩასვას. ავსტრალიაში კი ღამის რბოლის ჩატარება სურს, რაც მისი რეპორტაჟის ევროპაში ხელსაყრელ დროს ტრანსლირების საშუალებას მისცემდა. მაგრამ ავსტრალიის დიდი პრიზის ორგანიზატორებისგან ამაზე უარი მიიღო.

"დეილი მირორი" იუწყება, რომ ფორმულა ერთის 77 წლის ბოსი სანკტ პეტერბურგში აპირებს გამგზავრებას, რათა იქაურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება გამართოს. ბერნის სურს, რომ რუსეთის ძველ დედაქალაქში რბოლა 2010 წელს ჩაატაროს. და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ქალაქი მალე "ევროპის დეტროიტი", ანუ ევროპის საავტომობილო დედაქალაქი გახდება (მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები თავიანთ ქარხნებს რუსეთში სწორედ სანკტ პეტერბურგის ოლქში აშენებენ), დიდი შანსია იმისა, ბერნისა და ქალაქის ხელისუფლებას შორის შეთანხმება შედგეს. გაზეთის ცნობით, ეკლსტოუნი შეხვედრას სანკტ პეტერბურგის გუბერნატორთან და თვით რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმირ პუტინთანაც** კი გეგმავს.

*"ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერი გვაქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ რუსეთში რბოლის ჩატარება ჩვენი სპორტისთვისაც სასარგებლო იქნება და რუსეთისთვისაც. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ რუსეთის ეტაპი კალენდარში რაც შეიძლება მალე ჩავსვათ, მაგრამ ბევრი რამ მათზე იქნება დამოკიდებული,"* - ამბობს ბერნი.

ამის პარალელურად, ბრიტანელ მილიარდერს ნათქვამი აქვს, რომ ავსტრალიის დიდი პრიზის ორგანიზატორებთან დადებული კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, მის გაგრძელებას აღარ აპირებს. კონტრაქტს კი ვადა სწორედ 2010 წელს გასდის.

## ცურვა

### პეკინი 2008

# ფელპსი რვა ოქროს აიღებს

ასე თვლის სახელოვანი ავსტრალიელი მოცურავე **გრანტ ჰეკეტი**. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონი ჰეკეტი დარწმუნებულია, რომ დიდი მიზნის მიღწევაში, ამერიკელ სუპერმოცურავეს გამძლეობა, მეომრის ჟინი და მომზადების დონე დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ **მაიკლ ფელპსის** მიზანს მისი სახელოვანი თანამემამულის, **მარკ სპიცის** მიღწევის გაუმჯობესება სურს. სპიცმა 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე ოქროს შვიდი მედალი დაისაკუთრა და ეს მიღწევა აქამდე განუმეორებელია. არადა, თითქმის ყოველ ოლიმპიადას ჰყავს ისეთი ვარსკვლავი, რომელსაც მულტიჩემპიონობის შესაძლებლობა გააჩნია.

*"ვფიქრობ, მაიკლი უნიკალური მოცურავეა, რომელსაც უსაზღვრო შესაძლებლობანი გააჩნია. ყველაფერთან ერთად, მას ფენომენალური მონაცემები აქვს და ჟინიანი მოასპარეზეა. ის შესანიშნავი პიროვნება და ბრწყინვალე ათლეტია და მუდამ კარგ ფორმაში იმყოფება. არ მახსოვს ტურნირი, რომელზეც ბოლომდე არ გარჯილიყოს და თავი დაეზოგა, ან ძალები სხვა ტურნირისთვის შემოენახა. თუ ის ტურნირზე გამოდის, ესე იგი, ბოლომდეც დაიხარჯება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველი გამოსვლა შეიძლება რეკორდით დასრულდეს. მოკლედ, როცა საქმე შეჯიბრზე მიდგება, ის ნამდვილ ცხოველს ემსგავსება, რომელიც მსხვერპლს მისდევს"*, - თავის კოლეგას ასე აფასებს ჰეკეტი, ვინც თავის მხრივ, პეკინში საკუთარ უნიკალურ მიღწევებზე იზრუნებს.

ჰეკეტს შეუძლია, გახდეს ცურვის ოლიმპიური ტურნირების ისტორიაში პირველი მამაკაცი, ვინც ერთსა და იმავე დისციპლინაში ოქროს მედალს სამ ოლიმპიადაზე მოიპოვებს. ეს დისციპლინა 1 500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაა, ყველაზე გრძელია აუზის დისციპლინებს შორის. ამ დისტანციაზე ჰეკეტმა სიდნეისა და ათენის ოლიმპიადებზე მოიპოვა ოქროს მედლები. თანაც, მსოფლიოს რეკორდიც მასვე ეკუთვნის. სხვათა შორის, ათენში რომ ასპარეზობდა, ჰეკეტს მა-



მაიკლ ფელპსი საცურაო კოსტუმების მწარმოებელ "სპიდოს" სარეკლამო გადაცების დროს

ღალი სიცხე და ბრონქიტი აწუხებდა. უფრო მეტიც, მოგვიანებით დადგინდა, რომ ასპარეზობის დროს, მას ცალი ფილტვი, ფაქტობრივად, დახურული ჰქონდა.

მაგრამ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე, რომელიც მელბურნში (ავსტრალია) ჩატარდა, ჰეკეტს ხელი მოეცარა. მართალია, ტურნირისთვის ის სრულად იყო მომზადებული, მაგრამ ჩემპიონატი მაინც ოქროს გარეშე დაასრულა. ის თვლის, რომ ამ მარცხმა მის მოტივაციაზე კარგად იმოქმედა, რაც პეკინში ძალიან გამოადგება.

*"მელბურნში ჩემს უხეირო გამოსვლას საკუთარ თავს ვაბრალებ. ყოველგვარი მონდომების გარეშე გამოვედი. არ ვიცი, ასე რისი მიღწევის იმედი უნდა მქონოდა. სამაგიეროდ, ახლა ვიცი, როგორ არ უნდა მოვიქცე. აღარ მსურს იმის ხელმეორედ განცდა, რაც შარშან მელბურნში განვიცადე. ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება"*, - ამბობს ჰეკეტი.

## TV სპორტი

**14 თებერვალი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. კუკუტა (კოლუმბია)-სანტოსი (ბრაზილია).
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:20** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. კუკუტა (კოლუმბია)-სანტოსი (ბრაზილია).
**22:35** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:25** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:25** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:30** სპორტდოსიე.
**08:58** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**09:27** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
**10:00** სპორტკლუბი.
**10:13** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-ვილიარეალი.
**12:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:55** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ვერდერი-ბრაგა.
**14:40** ფიტნესი.
**15:07** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლივორნო.
**16:45** სპორტის სამყარო.
**17:23** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. საბერძნეთი.
**19:46** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**20:13** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**20:42** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ვაშინგტონი.
**22:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**22:45** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:02** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რუსენბორგი-ფიორენტინა (LIVE).
**01:40** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**01:55** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP 16. I ტური. რეალი-ჟალგირისი.
**03:30** სპორტკლუბი.
**03:47** სპორტდოსიე.
**04:14** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-ვილიარეალი.
**06:01** სპორტის სამყარო.
**06:29** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლივორნო.
**08:16** ფიტნესი.

**EUROSPORT**

**11:30** ავტოსპორტი. დეიტონას 24 საათიანი რბოლა. აშშ.
**12:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-პანათინაიკოსი.
**13:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. გალათასარაი-ლევერკუზენი.
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. IV დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
**17:00** სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. IV დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
**21:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:00** სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. IV დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი.
**02:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.
**02:30** კიკბოქსინგი.
**03:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
**03:15** კიკბოქსინგი.
**04:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.
**15:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. ლატვია (LIVE).
**15:45** ახალი ამბები.
**16:15** ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ლატვია (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბრანი-ევერტონი.
**17:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-პანათინაიკოსი.
**18:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. გალათასარაი-ლევერკუზენი.
**19:15** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.
**20:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. კანადა.
**22:30** ახალი ამბები.
**23:15** კრივი. WBA. მჩატე წონა. ვ. სიდორენკო (უკრაინა)-ნ. იკეჰარი (იაპონია). ოსაკა. იაპონია.
**00:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. ჰამბურგი (გერმანია)-ზაგრები (ხორვატია).
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
**03:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალია**

**მილანი-ლივორნო 1:1**

**მილანი:** კალაჩი, ბონერა, ფავალი, კალაძე, ოდო, გატუზო, პირლო, ამბროზინი, გურკუფი, ჯილარდინო (57. რონალდო/60. სერჟინიო), პალოსკი (57. ინძაგი).

**ლივორნო:** ამელია, გალანტე, პასკუალე, გრანდონი, კნეჟევიჩი, ა. ფილიპინი, ვიდიგალი (84. პავანი), დე ვეცე, პულძეტი, დიეგო ტრისტანი (78. როსინი), ტავანო (46. დაიმანტი).

**გოლები:** 0:1 პულძეტი (50), 1:1 პირლო (61-პენ)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 21(9)-10(2); **კუთხური:** 10-0; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 15-14; **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 17 | 5 | 0 | 46-13 | 56 |
| 2. რომა | 22 | 14 | 6 | 2 | 40-22 | 48 |
| 3. იუვენტუსი | 22 | 12 | 8 | 2 | 42-19 | 44 |
| 4. ფიორენტინა | 22 | 10 | 8 | 4 | 34-21 | 38 |
| 5. მილანი | 22 | 10 | 7 | 5 | 34-17 | 37 |
| 6. უდინეზე | 22 | 9 | 6 | 7 | 25-27 | 33 |
| 7. სამპდორია | 22 | 9 | 4 | 9 | 29-26 | 31 |
| 8. ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 34-32 | 30 |
| 9. ჯენოა | 22 | 7 | 8 | 7 | 23-29 | 29 |
| 10. პალერმო | 22 | 7 | 7 | 8 | 29-37 | 28 |
| 11. ნაპოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 33-34 | 27 |
| 12. ტორინო | 22 | 4 | 12 | 6 | 23-26 | 24 |
| 13. ლაციო | 22 | 5 | 8 | 9 | 24-31 | 23 |
| 14. კატანია | 22 | 5 | 8 | 9 | 19-26 | 23 |
| 15. ლივორნო | 22 | 5 | 8 | 9 | 25-34 | 23 |
| 16. სიენა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-32 | 20 |
| 17. პარმა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-33 | 20 |
| 18. ემპოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 16-29 | 19 |
| 19. რეჯინა | 22 | 3 | 9 | 10 | 18-34 | 18 |
| 20. კალიარი | 22 | 3 | 6 | 13 | 17-39 | 15 |

**ინგლისი**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-პიტერბრო | 1:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| სტივენეიჯი-ფორესტ გრინი | 0:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| ჰიბერნიანი-გრეტნა | 4:2 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-სტ. მირენი | 0:1 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| ოფი- აპოლონკოსი | 5:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-რომა | 72:71 |
| ლეტუვოს რიტასი-ტაუგრესი | 81:84 |
| ეფესი-პანათინაიკოსი | 74:64 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ს. იულაევი | 3:0 |
| ტრაქტორი-სიბირი | 3:3 პენ. 4:3 |
| ლადა-ტორპედო | 1:0 |
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 3:0 |
| დინამო-მეტალურგი (მ) | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (ნ) | 2:0 |
| სევერსტალი-ვიტიაზი | 2:3 |
| ხიმიკი-სკა | 3:2 |
| მვდ-სპარტაკი | 2:4 |
| ცსკა-ამური | 4:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კლადნო-ლიტვინოვი | 5:1 |
| პლზენი-ზლინი | 4:4 |
| სლოვანი-ტრშინეცი | 2:6 |
| ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 0:3 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 6:1 |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 3:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| სიმონი-გეზი | 6:2, 6:4 |
| იუჟნი-ჩილიჩი | 6:4, 7:6 |
| ლოდრა-სეპი | 6:2, 7:6 |
| გასკე-ბოლელი | 6:3, 6:3 |
| კარლოვიჩი-ლოპესი | 6:7, 7:5, 7:6 |
| ცონგა-ანჩიჩი | 5:7, 6:7 |
| ჯოკოვიჩი-დოდიგი | 6:1, 6:4 |

**ATP. კოშტა დო სოიპე**

| | |
|---|---|
| მონტანიესი-ფონინი | 5:7, 3:6 |
| როიტმანი-ერნანდესი | 3:6, 6:2, 4:6 |
| ბერლოკი-მინარი | 4:6, 4:6 |

**WTA. ანტვერპენი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-ციბულკოვა | 6:4, 6:3 |
| ბაშჩინსკი-გოვორცოვა | 6:3, 3:6, 7:5 |
| შნიდერი-სუგიამა | 6:3, 6:4 |
| კ. ბონდარენკო-პერებიინისი | 7:6, 6:3 |
| ჰანტუხოვა-ვიკმაიერი | 6:4, 6:3 |

**WTA. ვინია დელ მარი**

| | |
|---|---|
| ზაკოპალოვა-ბიჩკოვა | 7:6, 2:6, 6:3 |
| მარტინეს სანჩესი-იოჰანსონი | 6:0, 3:6, 4:6 |
| კორიტცევა-ჩეტკოვსკა | 6:3, 6:4 |
| შრუფი-მიულერი | 3:6, 2:6 |

სკანდალი

# ტრიბუნებზე ფსონებს არ აკეთებენ

ორი რუსი და ერთი გერმანელი გულშემატკივარი გააძევეს ანტვერპენის საჩოგბურთო სტადიონის ტრიბუნებიდან მას შემდეგ, რაც ორგანიზატორებმა გაიგეს, რომ ისინი ნოუთბუკების საშუალებით მატჩის მსვლელობისას ონლაინ ფსონებს აკეთებდნენ.

*"სამი ადამიანი ტრიბუნებიდან გავაძევეთ. ისინი თავიანთი ნოუთბუკებით ერთ-ერთი საბუკმეიკერო კანტორის ვებ-გვერდზე შევიდნენ და მიმდინარე მატჩებზე აკეთებდნენ ფსონებს"*, - განაცხადა ანტვერპენის ქალთა ტურნირის ორგანიზატორმა.

მისი სიტყვებით, ეს სამი მამაკაცი იყენებდა დროის იმ სხვაობას, რომელიც მოგებული ქულისა და ამ ქულის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაფიქსირებისას წარმოიშვებოდა.

მამაკაცების ტრიბუნებიდან გაძევების გადაწყვეტილება WTA-ს ხელმძღვანელებთან კონსულტაციების შემდეგ იქნა მიღებული. *"მათ ან ტრიბუნების დატოვება ან ნოუთბუკების გამორთვა შევთავაზეთ. მათ პირველი ვარიანტი აირჩიეს. სამწუხაროდ, ჩვენ ზემოქმედების სხვა საშუალებები არ გაგვაჩნია"*, - დაამატა ტურნირის ორგანიზატორმა.

ჩოგბურთში ჩაწყობილი მატჩებისა და ტოტალიზატორზე თამაშის თემა შარშან, აგვისტოს შემდეგ აგორდა, როცა საბუკმეიკერო კანტორა Betfair-მა რუს **ნიკოლაი დავიდენკოსა** და არგენტინელი **მარტინ ვასალო-არგელოს** მატჩზე ყველა ფსონი გააუქმა. მაშინ დავიდენკო აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ ტრავმა მოიმიზეზა და თამაში არ გააგრძელა. Betfair-ის ეჭვი იმან გააღრმავა, რომ მატჩის წინ, არგენტინელის მოგებაზე უჩვეულოდ დიდი ფული შევიდა.

გარდა ამისა, შარშან რამდენიმე ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ მათ მატჩების შეგნებულად დათმობის სანაცვლოდ ფულს სთავაზობდნენ. ამ მოთამაშეებს შორის იყვნენ ფრანგები **რიშარ გასკე, არნო კლემანი**, ბრიტანელი **ენდი მარეი**, ბელგიელი **ჟილ ელსენერი...**

2007 წლის ბოლოს კი, სამი იტალიელი ჩოგბურთელი - **პოტიტო სტარაჩე, დანიელე ბრაჩიალი** და **ალესიო დი მაურო** ტოტალიზატორში უკანონო თამაშისთვის დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

ATP-ის ტური

# სარეიტინგო ქულები ოლიმპიადაზეც დარიგდება

მამაკაც ჩოგბურთელთა ასოციაცია (ATP) აცხადებს, რომ ჩოგბურთელებს სარეიტინგო ქულებს ოლიმპიური ტურნირების შემდეგკვლავ დაურიცხავს. ქულათა დარიცხვის სისტემა ჩვეულებრივია და მისი მიზანი ოლიმპიურ საჩოგბურთო ტურნირებზე წამყვან მეჩოგნეთა მიზიდვაა.

*"ოლიმპიური თამაშები ჩვენი სპორტის ისტორიის ნაწილია და ის ამ სეზონის კალენდარშია შეტანილი. ასე რომ, ოლიმპიური ტურნირის მონაწილეებიც სარეიტინგო ქულებს ჩვეულებრივად მიიღებენ"*, - ნათქვამია ATP-ის აღმასრულებელი თავმჯდომარის, **ეტიენ დე ვილიერსის** განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (WTA) მსგავსი განცხადება ჯერ კიდევ შარშან გააკეთა. არადა, ცნობილია, რომ ჩოგბურთელები სარეიტინგო ქულებს სიდნეისა და ათენის ოლიმპიადებზეც ღებულობდნენ.

ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირის ორივე ბადეში 64 ჩოგბრთელი მიიღებს მონაწილეობას. აქედან 56-ს რეიტინგების მიხედვით შეარჩევენ. დარჩენილი რვა ადგილიდან 6-ს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ოლიმპიური კომისია შეარჩევს, კიდევ ორ მონაწილეს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ევროწული ოლიმპიური კომიტეტებისა და ITF-ის ერთობლივი კომისია აირჩევს. თითოეულ ქვეყანას ოლიმპიადაზე მაქსიმუმ 6 ჩოგბურთელის გამოყვანის უფლება აქვს. აქედან ორ-ორი ერთეულების, თითო კი წყვილთა ტურნირებზე გამოვა.

ITF-ის პრეზიდენტი **ფრანჩესკო რიჩი ბიტი** დარწმუნებულია, რომ პეკინის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირებზე საუკეთესო ჩოგბურთელები მოიყრიან თავს.

ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირი სტარტს ოლმპიადის გახსნიდან ორ დღეში, 10 აგვისტოს აიღებს და ერთ კვირას გასტანს.

## ATP

ბრაზილიის ლია
კოშტა დო საუიპე (ბრაზილია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 485 000 დოლარი

**I წრე**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 2)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:3, 6:2; **ედუარდო შვანკი (არგ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 3), 6:3, 6:2; **ივო მინარი (ჩეხ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 4) 6:4, 4:6, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 5)**-დანიელ სუნიოს-დელა ნავა (ესპ) 6:2, 6:4; **სერხიო როიტმანი (არგ)**-აგუსტინ კალერი (არგ, 6) 6:3, 6:2; **სებასტიან დეკუ (არგ)**-ხოსე აკასუსო (არგ, 7) 6:3, 1:6, 7:6 (3); **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-პაბლო კუევასი (ურუ) 7:6 (5), 6:4; **პეტერ ლუჩაკი (ავსტრა)**-მარკუშ დანიელი (ბრა) 7:5, 6:4; **გილერმო კორია (არგ)**-ფრანჩესკო ალდი (იტა) 6:4, 7:5; **ოლივიე პატიენსი (საფ)**-ხუან პაბლო ბრჟეჟიცკი (არგ) 6:3, 7:5; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-გუსტავო კუერტენი (ბრა) 7:5, 6:1.

## Open 13

მარსელი (საფრანგეთი). პარდი
**საპრიზო ფონდი:** 534 000 ევრო

**I წრე**

**ენდი მარეი (ბრიტ, 4)**-იესე პუტა გალუნგი (პოლ) 6:4, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 5)**-ჰიუნ ტაიკ ლი (კორ) 6:4, 6:1; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 6)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 3:6, 6:4, 6:4; **ნიკოლას მაუ (საფ)**-მიხაილ ელგინი (რუს) 6:3, 6:3; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:2, 1:0 პაველის უარი; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-მიხაელ ბერერი (გერ) 7:6 (5), 6:4.

## Delray Beach International

დელრეი ბიჩი (აშშ). პარდი
**საპრიზო ფონდი:** 436 000 ევრო

**I წრე**

**მარდი ფიში (აშშ, 8)**-მარკო კრუნოლა (იტა) 6:1, 7:5; **იგორ კუნიცინი (რუს)**-ბენჯამინ ბეკერი(გერ) 6:3, 7:6 (1); **ჟილ მიულერი (ლუქ)**-იესე ლევინე (პოლ) 7:5, 7:6 (4); **მაიკლ რასელი (აშშ)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:1, 6:0; **მაქს მირნი (ბლრ)**-ლუკა გრეგორცი (სლოვენ) 7:6 (5), 6:2.

## WTA

PROXIMUS DIAMOND GAMES
ანტვერპენი (ბელგია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**ალისა კლეიბანოვა (რუს)**-აგნეს შავაი (უნგ, 6) 6:2, 6:3; **ჯული დიტი (აშშ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 8) 4:6, 6:3, 6:4; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-მეილინ ტუ (აშშ) 6:1, 6:1; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ან კრემერი (ლუქ) 6:1, 6:1; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:3, 3:6, 6:3; **აი სუგიამა (იაპ)**-კაროლინ მაესი (ბელ) 7:5, 6:3.

**II წრე**

**კარინ კნაპი (იტა)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 3:6, 6:4, 6:2.

## Cachantun Cup

ვინია დელ მარი (ჩილე). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 200 000 დოლარი

**I წრე**

**ფლავია პენეტა (იტა, 1)**-გრეტა არნი (უნგ) 6:2, 6:2; **მარტინა მიულერი (გერ, 5)**-კარინა ანდრეა ბენვენუტო (ჩილ) 6:4, 6:1; **სარა ერანი (იტა, 6)**-ოლივია სანჩესი (საფ) 1:6, 6:2, 6:1; **კაია კანეპი (ესტ, 7)**-ევგენია როდინა (რუს) 6:3, 6:4; **მარია ელეა კამერინი (იტა)**-მელისა მირანდა ოტაროლა (ჩილ) 6:3, 7:5; **ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 4:6, 7:6(5), 7:6(3); **როსანა დე ლოს რიოსი (პარ)**-კარლოს სუარეს ნავარო (ესპ) 7:6(8), 6:4; ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)-კამილ პინი (საფ) 6:4, 7:6(5).



უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები

**ზენიტი-ვილიარეალი 1:0**

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, დონ-ჟინ კიმი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, შირლი, შიროკოვი, ფაიზულინი, არშავინი, პოგრებნიაკი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ხოსემი, კაპდევილა, გონსალო როდრიგესი, გოდინი, ხოსიკო, კანი, სანტი კასორლა (75. ტომასონი), სორიაწო (82. სიგანი), ნიჰათი (66. როსი), ფრანკო.

**გოლი:** 1:0 პოგრებნიაკი (63)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 13(7)-6(4); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 29-20; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 21 500

**გალათასარაი-ლევერკუზენი 0:0**

**გალათასარაი:** ორქუნი, სერვეთ ჩეთინი, გიუნგორი, ვოლქან იამანი (83. სუარეში), უგიურ უჩარი, აიჰან აქმანი (65. ჰაქან ქადირი), მეჰმეთ თოფალი, ბარიშ ოზბექი, არდა თურანი, ჰაქან შუქური (78. ნონდა), უმით ქარანი.

**ლევერკუზენი:** ადლერი, მ. ფრიდრიხი, კალსენბრაკერი, ბარბარესი, შნაიდერი (61. ფრაიერი), სარპეი, როლფსი, ბარნეტა, გონსალო კასტრო, კისლინგი, ვიდალი (87. შვეგლერი).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 3(2)-1(0); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 20 006

**აეკ-ხეტაფე 1:1**

**აეკ:** მორეტო, დელასი, არუაბარენა, პაპასტოპულოსი, რივალდო, ციკოსი, კაფესი, ნსალივა, პაპასი (82. ბლანკო), ლიბეროპულოსი (75. კალონი), მანდუკა (66. მანუ).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, სინიორინო, დიასი, სელესტინი, კასკერო (68. დე ლა რედი), გავილანი (61. კორტესი), უჩე (78. მანუ დელ მორალი), ბრაულიო, პაბლო ერნანდესი.

**გოლები:** 0:1 დე ლა რედი (86), 1:1 ისმაელ ბლანკო (90)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 6(1)-8(5); **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 13-15; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 13 080

**ბრანი-ევერტონი 0:2**

**ბრანი:** ოპდალი, დალი (89. ტვაიტი), ბიარნასონი, ელ-ფაკირი (75. ჰუსეკლეპი), ჰანსვეიტი, სიგურდსონი, ბაკე, სოლი, მოენი, კარადასი (69. დემბა-ნირენი), ჰელსტადი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესქოთი, ფ. ნევილი, იობო, იაგიელკა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი, მანუელ ფერნანდესი (89. ჰიბერტი), ე. ჯონსონი (76. ანიბაჩე), აიეგბენი (90. ბეინსი).

**გოლები:** 0:1 ოსმანი (59), 0:2 ანიბაჩე (88)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 9(5)-11(7); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 0-5; **ჯარიმა:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 16 207

**ვერდერი-ბრაგა 3:0**

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ოვომოიელა, ბაუმანი, დ. იენსენი, ჰუნტი (59. ბოროვსკი), დიეგო (74. ოზილი), როზენბერგი, უგო ალმეიდა.

**ბრაგა:** პაულო სანტოსი, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟე, როდრიგესი, კარლოს ფერნანდესი, კონტრერასი (62. სტელვიო), ფრეშო, ვანდინიო, ჟორჟინიო (78. ჟაილსონი), ლინცი, მათეუსი (68. ვენდერი).

**გოლები:** 1:0 ნალდო (2), 2:0 იენსენი (27), 3:0 უგო ალმეიდა (90+4)

*მე-11 წუთზე ლინცმა (ბრაგა) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

*მე-36 წუთზე ჟორჟინიომ (ბრაგა) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 14(9)-4(1); **კუთხური:** 6-9; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 11-18; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 25 000

**ანდერლეხტი-ბორდო 2:1**

**ანდერლეხტი:** ზიტკა, იუჰაში, პარეჟა, ვან დამი, ვასილევსკი, ბილია, ბუსუფა, შატელი (84. ლეგერი), გოორი (71. მ. მპენზა), პოლაკი, სერჰათი.

**ბორდო:** რამე, შალმე, ს. დიავარა, ენრიკე, ჟურიეტი, ალონსო (60. ვენდელი), ალუ დიარა, დუკასი, შამახი (75. კავენაგი), იუსი (81. მიკუ), ობერტანი.

**გოლები:** 0:1 იუსი (68-პენ), 1:1 პოლაკი (78), 2:1 მ. მპენზა (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 9(4)-3(0); **კუთხური:** 10-2; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 30 000

**მარსელი-სპარტაკი 3:0**

**მარსელი:** მანდანდა, ჟივე, ბონარი, ფატი (46. კაბორე), ტაივო, ბენ. შეირუ, კანა, ნასრი, ვალბუენა (76. ზენდენი), ნიანგი (82. ორუმა), ჯ. სისე.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, შტრანცლი, კუდრიაშოვი, პავლენკო (82. პრუდნიკოვი), ტიტოვი, რადოსლავ კოვაჩი, მოცარტი, ბისტროვი, პარშივლიუკი, მაიდანა, ველიტონი.

**გოლები:** 1:0 ბენ. შეირუ (60), 2:0 ტაივო (67), 3:0 ნიანგი (78)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(9)-5(1); **კუთხური:** 9-1; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 11-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 48 000

**ეინდჰოვენი-ჰელსინგბორგი 2:0**

**ეინდჰოვენი:** გომეში, კრომკამპი, ცონეველდი, სალსიდო, მარსელისი, სიმონსი, ბაკალი, აფელეი, ედაურდო მენდეში (65. რაიკოვიჩი), ლაზოვიჩი (71. კოვერმანსი), დჟუდჟაკი.

**ჰელსინგბორგი:** დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი, იაკობსონი, ეკსტრანდი, ლანტცი, კოლარი (77. უნკური), სკულასონი, ლანდგრენი, ჰ. ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი (88. ოლსონი).

**გოლები:** 1:0 სიმონსი (7-პენ), 2:0 ლაზოვიჩი (33)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 11(3)-10(5); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 8-0; **ჯარიმა:** 10-13; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 000

**რეინჯერსი-პანათინაიკოსი 0:0**

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, უეირი, ბროდუფუტი, პაპაჩი, კუელარი, მაკკალოხი, ფერგიუსონი, ჰემდანი, დევისი, ადამი (67. კუზენი), ნოვო (81. ბურკი).

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, გუმასი, მორისი, ვინტრა, ნილსონი, კარაგუნისი, ციოლისი, მატოსი, ჟუნიორ სიმაო, სალპიგიდისი (66. ელდერ პოშტიგა), ნდოიე.

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 11(9)-9(3); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 16-10; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 45 203

**სპორტინგი-ბაზელი 2:0**

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, ტონელი, აბელი, ანდერსონ პოლგა, გრიმი, იზმაილოვი (72. ბრუნო პერეირინია), ვუკჩევიჩი (72. როჩა), ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ველოზო, ლიედსონი.

**ბაზელი:** კოსტანცო (46. კრეიტონი), მაისტოროვიჩი, ჰოდელი, მარკი, ერგიჩი, ჰუგელი, დ. დეგენი (64. კაბრალი), კარლიტოსი, პ. ბა, ედუარდო, დერდიოკი.

**გოლები:** 1:0 ვუკჩევიჩი (8), 2:0 ვუკჩევიჩი (58)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 9(6)-6(1); **კუთხური:** 9-5; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 40 000

ჩოგბურთი

## გონსალესმა ტრავმა მიიღო

დაახლოებით ერთი თვით გამოაკლდება ATP-ის ტურნირებს ჩილელი ჩოგბურთელი **ფერნანდო გონსალესი**. რეიტინგის საუკეთესო ათეულში შემავალმა მოთამაშემ უკვე გამოიტანა განაცხადი სან ხოსესა და მემფისის ტურნირებიდან, მიზეზად კი, მუცლის კუნთის ტრავმა დაასახელა. *"ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, ვინია დელ მარის ტურნირის მსვლელობისას ვიგრძენი ტკივილი. მაშინ სამედიცინო გამოკვლევამ ვერაფერი აჩვენა და მე ტურნირის ჩამთავრება მოვახერხე. ახლა კი, დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ მუცლის კუნთი დავიჭიმე და ამის გამო, იძულებული ვარ უარი ვთქვა სან ხოსეში და მემფისში გამოსვლაზე. დაგეგმილი მაქვს, რომ სეზონის პირველ "მასტერსს" - Pacific Life Open-ს სრულ მზადყოფნაში უნდა შევხვდე"*, - ამბობს გონსალესი.

შეგახსენებთ, რომ Pacific Life Open 13-23 მარტს, ინდიან უელსის (აშშ) კორტებზე გაიმართება.

## ანენმა შარაპოვას მამაზე დაიჩივლა

ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** პირველად გააკეთა კომენტარი **იური შარაპოვას** იმ ჟესტზე, რომელიც ამ უკანასკნელმა ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალის შემდეგ გააკეთა. როდესაც **მარია შარაპოვამ** მსოფლიოს პირველი ჩოგანი დაამარცხა, კომუფლაჟიურ ფორმაში გამოწყობილმა იური შარაპოვმა ხელი ყელზე გაისვა.

*"ამ ჟესტმა საშინლად გამაღიზიანა. WTA-ს აღმასრულებელ დირექტორს, ლარი სკოტს დავურეკე, რათა მისი აზრი გამეგო. მან მიპასუხა, რომ ასეთი ჟესტი დაუშვებლად მიაჩნია, - ამბობს ბელგიელი, - ასეთ რამეს საჩოგბურთო კორტებზე არ უნდა ვხედავდეთ. ეს დიდ ზიანს აყენებს ქალთა ჩოგბურთის პრესტიჟს და სხვადასხვა პრობლემებამდე მივყავართ"*.

## ნასტასემ ფედერაცია დატოვა

რუმინეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, წარსულში ლეგენდარული ჩოგბურთელი **ილიე ნასტასე** თანამდებობიდან გადადგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დევისის თასის პირველ წრეში, რუმინეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე 0:5 წააგო საფრანგეთის ნაკრებთან.

*"ჩემი გადადგომა საკანონმდებლო სისტემისა და რუმინული პრესის ბრალია"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე ნასტასემ.

## სამპრასი საფინის ნაცვლად ჰაასს შეხვდება

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, რუს **მარატ საფინს** ისევ პრობლემები აქვს. ჩოგბურთელმა მორიგი ტრავმა მიიღო და ამის გამო, მომავალ კვირას სან ხოსეს ტურნირში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

გარდა ამისა, საფინს ორშაბათს საჩვენებელი მატჩი უნდა გაემართა ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელთან, **პიტ სამპრასთან**. როგორც სააგენტო "როიტერი" იუწყება, რუსის ნაცვლად პიტის წინააღმდეგ გერმანელი **ტომი ჰაასი** ითამაშებს.


ლელო
სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე
ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი
კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბიჭი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა